ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№238 (297) 24 სექტემბერი – 1 ოქტომბერი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ალექსანდრე ჭაჭია: არ მოველოდი, რომ ივანიშვილის “ქართული ოცნება” ასე სწრაფად გადაიქცეოდა მორიგ “ქართულ ფანტაზიად”

გაზეთ **«საქართველო და სოფლიოს»** ესაუბრება პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია.**

– ბატონო ალექსანდრე, ბოლო დროს ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ, მათ შორის საერთაშორისო შეხვედრებზეც, დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე. როგორ შეაფასებთ ამ გადაწყვეტილებას?

– დიახ, ივანიშვილი, როგორც ჩანს, ტოვებს თავის პოსტს. ეს სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს, მათ შორის ძალიან ნეგატიურადაც, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მან უდიდესი ეროვნული საქმე გააკეთა – ხელისუფლებას მოაშორა და მარგინალად აქცია სამარცხვინო **«ნაციონალური მოძრაობა».** ივანიშვილის გარდა, ამ საქმეში ამერიკელები მხარს არავის დაუჭერდნენ. პარალელურად მან, რა თქმა უნდა, შეასრულა ამერიკელების დავალება – ითამაშა ლოკომოტივის როლი და ხელისუფლებაში მოიყვანა ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც დამოუკიდებლად ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. იქნებ მისი წასვლა უკეთესიც იყოს. ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, მოსახლეობა ქვეყანაში მდგომარეობის მალე უკეთესობისკენ შეცვლის იმედით კიდევ ორიოდე წელიწადი ილუზიებში, მოლოდინის რეჟიმში იქნებოდა და ბოლოს უფრო მეტად იმედგაცრუებული აღმოჩნდებოდა. საქმე ისაა, რომ, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლება უმნიშვნელოდ თუ გამოირჩევა წარმავალი რეჟიმისგან, ამიტომ უახლოეს წლებში არანაირი თვისობრივი პოზიტიური ცვლილებები არ იქნება, მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, სოციალური, ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი დაპირისპირება გაიზრდება.

– კი მაგრამ, ივანიშვილი გვპირდება, რომ დაგვიტოვებს ძლიერ მთავრობას, რომელიც მოახდენს მისი პოლიტიკური კურსისა და აღორძინების პროგრამის რეალიზებას.

– ჯერ ერთი, არ ვიცი, რა არის **«ივანიშვილის პროგრამა»**, და ვფიქრობ, საქართველოში ეს არც არავინ იცის, თვით ივანიშვილის ჩათვლით. მეორე – ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტიანი პაკეტი აქვს და სადაც მინისტრები, დეპუტატები – მისი თანაშემწეები, კლერკები, ნება-სურვილის შემსრულებლები არიან. მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს **«საინტერესო»** პრეზიდენტს და **«საინტერესო»** პრემიერს, ხოლო თვითონ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას, არის ბიზნესმენის ტიპიური მიდგომა ბიზნესსტრუქტურისადმი: შევქმნი კომპანიას, დავნიშნავ ჩემს ხალხს და გავაკონტროლებო, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის. სახელმწიფოს მართვაში სულ სხვა პრინციპები მოქმედებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ივანიშვილს არ ესმის. საერთოდ, ბიზნესი და პოლიტიკა მოღვაწეობის სრულიად განსხვავებული სფეროებია. სიტყვამ მოიტანა და, პირადად მე ვერ ვიხსენებ ისტორიაში შემთხვევას, როდესაც ბიზნესმენი წარმატებული სახელმწიფო მოღვაწე გახდა; უფრო მეტიც – კერძო ბიზნესი და ქვეყნის ეკონომიკის მართვაც კი ასევე ძალიან განსხვავებული სფეროებია.

– გულისხმობთ, რომ მისი დაპირებები მსხვილი ინვესტიციების მოზიდვასა და სერიოზული ეკონომიკური ზრდის შესახებ არაკომპეტენტურობის შედეგია?

– თუ საუბარია ინვესტიციებზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მაშინ უნდა ითქვას, რომ საქართველოს შიდა ბაზარი ძალიან მცირეა იმისთვის, რათა მსხვილი ინვესტორები დაინტერესოს. მსხვილი ინვესტიციებისთვის საჭიროა გასაღების მასშტაბური ბაზარი, ქართული პროდუქციისთვის კი ასეთი ბაზარი მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს. უფრო მეტიც, ამ მსხვილი ინვესტიციების განხორციელებაც მხოლოდ რუსულ კაპიტალს შეუძლია, რომელიც თვითონვე უზრუნველყოფს პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გასაღებას. ქართულ წარმოებაში ფულს სხვა არავინ ჩადებს. რუსული კაპიტალის მოსაზიდად კი საჭიროა რუსეთთან სრულფასოვანი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების აღდგენა, რაც, ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეოპოლიტიკური კურსის გათვალისწინებით, უბრალოდ გამორიცხულია.

გგონიათ, სააკაშვილს არ უნდოდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვა? უნდოდა, მაგრამ არავინ დებდა ინვესტიციას. დასავლეთს არ სჭირდება საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამდენად, ამ სფეროებში დასავლური კაპიტალი ინვესტიციას არ ჩადებს. სწორედ ამიტომ შევარდნაძეც და სააკაშვილიც დასავლეთისგან მხოლოდ კრედიტებს იღებდნენ, ანუ ფულს სესხულობდნენ. დღეს საქართველოს საგარეო ვალი, თუ არ ვცდები, 13 თუ 14 მილიარდი დოლარია. საკუთარი ეკონომიკის არარსებობის პირობებში, ამ ვალის მხოლოდ პროცენტების გადასახდელად ახალ-ახალი კრედიტები უნდა ავიღოთ. ეს კაბალაა.

– ივანიშვილმა ამას წინათ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველო შეიძლება «მეორე დუბაიდ» იქცეს...

– საინტერესო კანონზომიერებაა: შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ **«მეორე შვეიცარიად»** ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ **«მეორე სინგაპური»** გავხდებოდით, ივანიშვილი კი **«მეორე დუბაიდ»** გადაქცევას გვპირდება. მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არც ერთი ამ ორიენტირთაგანი ჩვენთვის პრინციპულად ვერ იქნება რეალური მიზანი. და მადლობა ღმერთს, რომ ვერ იქნება. ამ ადამიანებმა ვერა და ვერ გაიგეს, რომ ჩვენ გვსურს, ვიყოთ საქართველო და მხოლოდ საქართველო. მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც ჩვენს მმართველებს არ გააჩნიათ არც ქვეყნის აღორძინების რეალური პროგრამა, არც მკაფიო წარმოდგენა საქართველოს მომავალზე, ცდილობენ, საზოგადოებას თავს მოახვიონ ფანტასტიკური მიზნები და იმედოვნებენ, ამით ადამიანებს გონება დაუბინდონ. გულწრფელად გითხრათ, არ მოველოდი, რომ ივანიშვილის **«ქართული ოცნება»** ასე სწრაფად გადაიქცეოდა მორიგ ფუყე **«ქართულ ფანტაზიად».**

– ივანიშვილმა განაცხადა, რომ ძალაუფლებას გადასცემს ძალიან ძლიერ სამთავრობო გუნდს, რომელიც ააღორძინებს საქართველოს და ხაზი გაუსვა, რომ ამ გუნდზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს...

– და რა ფორმის პასუხისმგებლობაზეა საუბარი? როგორ აგებს ივანიშვილი პასუხს თავისი გუნდის ნამოქმედარზე? გადადგომის შემდეგ ივანიშვილი იქნება რიგითი მოქალაქე, თანაც საფრანგეთის. უბედურება სწორედ ისაა, რომ ჩვენი მმართველები, თავიანთი შეუსრულებელი დაპირებების გამო, პასუხს არ აგებენ და ვერც აგებენ, რადგან მსგავსი პასუხისმგებლობის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. განაცხადოს ივანიშვილმა ის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები, რომლებიც მისმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სამი წლის შემდეგ, მერე კი საჯაროდ თქვას და ნოტარიალურადაც დაამოწმოს, რომ ამ პარამეტრების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი, როგორც სამთავრობო გუნდის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი, ამ პასუხისმგებლობის ფარგლებში საქართველოს თითოეულ მოქალაქეს გადაურიცხავს ათას დოლარს. სულ 4 მილიარდი დოლარი გამოდის. აი, ეს იქნება მისი პირადი პასუხისმგებლობის რეალური ზომა. მზად არის ივანიშვილი ასეთი პასუხისმგებლობისთვის?

შევარდნაძეს 10 წელი მიყავდა საქართველო კატასტროფების გზით და ყოველი ახალი კატასტროფის წინ აცხადებდა: **«მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ».** ეს ფრაზა სააკაშვილისგანაც ძალიან ხშირად გვესმოდა. ქვეყანა დაანგიეს და დაშალეს, ეკონომიკა დაასამარეს, ხალხი გაძარცვეს და ვინმემ აგო პასუხი? ივანიშვილი ამბობს, რომ ჩვენს ხალხს დაბალი პოლიტიკური კულტურა აქვს და რომ მას სურს საკუთარი თავი ამ კულტურის ამაღლებას მიუძღვნას. არადა, ამჟამინდელ ვითარებაში, მთავრობის საქმიანობის გამო ივანიშვილის მიერ პირადი პასუხისმგებლობის შესახებ განცხადება მხოლოდ საზოგადოების დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე გათვლით შეიძლება აიხსნას. სხვათა შორის, ერისადმი მიმართვაში ივანიშვილს ჩამოთვლილი აქვს თავისი წინასაარჩევნო დაპირებები და აცხადებს, რომ მან ეს დაპირებები შეასრულა და ამდენად, ასე ვთქვათ, თავისუფალია. ესეც არის გათვლა დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე, რადგან მცირედ მოაზროვნე ადამიანისთვისაც კი ნათელია, რომ ამ დაპირებათა 90 პროცენტი შესრულებისგან ძალიან შორს არის. იგი აცხადებს, რომ სამოქალაქო სექტორში მისი საქმიანობით, ჩვენს საზოგადოებას ასწავლის ხელისუფლების გონებით და არა ემოციებით არჩევას, მაგრამ ამასთანავე მოუწოდებს საზოგადოებას, ენდონ მას სიტყვაზე და ხმა მისცენ პრეზიდენტობის მისეულ კანდიდატს, ანუ კვლავ მიიღონ გადაწყვეტილება ემოციებზე – ივანიშვილისადმი ნდობასა და პატივისცემაზე დაყრდნობით.

– პრემიერი ხშირად უსვამდა ხაზს სიტუაციის ანალიზისა და «უშეცდომო პროგნოზების» კეთების მისეულ უნარს. ქართული საზოგადოების ნაწილი სწორედ ივანიშვილის ამ უნარების იმედადაა...

– მას რომ სწორად გაეანალიზებინა და **«უშეცდომო პროგნოზები»** გაეკეთებინა, მაშინ 8 წლის მანძილზე სააკაშვილის ანტიეროვნულ რეჟიმს ამდენ მხარდაჭერას არ გაუწევდა. უშეცდომო ადამიანები არ არსებობენ. შეცდომები ისეთ გენიოსებსაც კი დაუშვიათ, როგორიც სტალინი იყო... განა სტალინის შეცდომა არ არის ის, რომ ხელისუფლებაში ხრუშჩოვი, მიქოიანი, მალენკოვი, ბულგანინი თუ სხვა არამზადები და მოღალატეები დატოვა? ძალიან უნდა იყო საკუთარ თავზე შეყვარებული, რომ უშეცდომო ადამიანად მიგაჩნდეს თავი...

– პრემიერ-მინისტრი დაგვპირდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ე. წ. კოაბიტაციის პერიოდი დამთავრდება. ეს შესაძლებელია?

– გააჩნია, რა იგულისხმება კოაბიტაციაში. ფართო გაგებით, კოაბიტაცია ვერ დასრულდება იმიტომ, რომ პარლამენტის 40 პროცენტს **«ნაციონალური მოძრაობა»** შეადგენს, ხოლო რეგიონებში ძირითადად მათი კადრები აგრძელებენ მუშაობას. მეტიც, ვფიქრობ, რომ ივანიშვილის წასვლის შემდეგ **«ნაციონალების»** გავლენა ხელისუფლებაზე გაიზრდება. იდეოლოგიური უთანხმოება მათ არ აქვთ, კურატორებიც საერთო ჰყავთ, რაც შეეხება პირად უთანხმოებებს, მალევე შეთანხმდებიან.

თუკი კოაბიტაციის დასრულებაში ვგულისხმობთ რამდენიმე ჩინოვნიკის ისე გასამართლებას, რომ პრეზიდენტმა მათი შეწყალება ვერ მოახერხოს, ეს სავსებით შესაძლებელია. საზოგადოების დასაშოშმინებლად ამერიკელები რამდენიმე ცნობილი მოღვაწის დაპატიმრების ნებას დართავენ ახალ ხელისუფლებას.

– და რა რეაქცია ექნებათ ამაზე ევროპის ქვეყნებს?

– ევროპულ ქვეყნებს აბსოლუტურად არ ანაღვლებთ ქართველი **«რეფორმატორების»** ბედი. ვფიქრობ, ივანიშვილი ევროპულ ქვეყნებში ვიზიტების დროს დარწმუნდა, რომ იქაურ ხელისუფალთ იოტისოდენადაც არ აინტერესებთ არათუ ყოფილი ჩინოვნიკების, არამედ თავად სააკაშვილის ბედიც კი. აღარაფერს ვამბობ ძირითად ევროპულ ქვეყნებზე, რომელთაც არც საქართველო და არც მისი მმართველები არ აინტერესებთ. რაც შეეხება მოლაყბეებს ევროპარლამენტიდან, უნდა შევიგნოთ, რომ ევროკავშირის სტრუქტურები და ევროპული სახელმწიფოები ერთი და იგივე არ არის. ევროპარლამენტის წევრების ლაყბობა ევროპული ქვეყნების რეალურ პოლიტიკაზე გავლენას არ ახდენს. სააკაშვილის მმართველობისას, წლების მანძილზე ევროპარლამენტის დელეგაციები მუდმივად ბუდობდნენ საქართველოში, არ ჩამოდიოდნენ ჩვენი ტელეეკრანებიდან, მაგრამ დათვალეთ, ამ 9 წლის მანძილზე ევროპული ქვეყნების მეთაურთა რამდენი სახელმწიფო თუ ოფიციალური ვიზიტი შედგა თბილისში და თავად დარწმუნდებით, რომ ევროპისთვის საქართველო რეალური ინტერესის საგანს არასდროს წარმოადგენდა.

– პრესკონფერენციის მსვლელობისას ივანიშვილმა ასევე განაცხადა, რომ არ გამორიცხავს საქართველოს ევრაზიულ კავშირში ინტეგრაციის საკითხის განხილვას, რამაც «ნაცმოძრაობის» მხრიდან მკვეთრად აგრესიული რეაქცია გამოიწვია. როგორ შეაფასებთ პრემიერის ამ განცხადებას?

– მოვისმინე გამოსვლა, რომელშიც სააკაშვილი არწმუნებდა სტუდენტებს, თითქოს ივანიშვილმა ევროპულ გზას გადაუხვია, მან, სააკაშვილმა, კი მიიღწია, რომ ხვალ-ზეგ საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში მიიღებენ. რაც უფრო ხშირად გამოდის სააკაშვილი სიტყვით, მით უფრო სასაცილოდ გამოიყურება.

ნატოსა და ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებულ ზდაპრებზე ბევრჯერ გამომითქვამს აზრი, ამ თემაზე მეტს არაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რაც ქართულ საზოგადოებას დიდი ხნის წინ უნდა მიეღო აქსიომად: პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

სააკაშვილის მოშორებამდე დარჩა 33 დღე

ნაადრევად შეწყვეტილი ბავშვობა

თითქოს გუშინ იყო, არადა, ოცი წელი მიილია, რაც ოდაბადე აფხაზეთი დაგვატოვებინეს!..

აფხაზეთთან ერთად, ცხრა წლისა დავემშვიდობე ბავშვობას და მშობლებთან და უმცროს და-ძმასთან ერთად, რომ იტყვიან **„ცივ ქვაზე"**, უცხოობაში დავიწყეთ ცხოვრების აწყობა.

მაშინ, სტუმრადაც კი არ ვიყავი დიდხანს ნამყოფი და ვერაფრით ვერ ვაცნობიერებდი რატომ ვიყავით ასე დიდხანს სხვაგან და რატომ არ ვბრუნდებოდით ჩვენს სახლში – დრანდაში!

...მახსენდება, რამდენჯერმე ვკითხე დედაჩემს – სახლში რატომ არ მივდივართ-მეთქი!

ახლაც თვალწინ მიდგას მისი ნაღვლიანი სახე, როგორ გადახედავდა მამაჩემს და ჩემს უმცროს და-ძმას... გვიან მივხვდი, არ უნდა მეკითხა!

ოცი წელი გასულა მას შემდეგ... ჩემი უფროსი ქალიშვილი, მარიამი, ცხრა წლის გახდა ექვს სექტემბერს, სანდრო და ანდრიაც ზუსტად იმ ასაკისანი არიან, ჩემი და-ძმა მაკა და ლევანი რომ იყვნენ აფხაზეთიდან გამოდევნისას.

მარიამი მუსიკალურ სკოლაში დადის. პირველი საფორტეპიანო ჰანგები **„მეგრული ნანა"** ასწავლა მუსიკის მასწავლებელმა. ცოტა მეტი რომ ისწავლა, ლეილა მასწავლებლისთვის უთხოვია – აფხაზური სიმღერა მასწავლე, დედას გაუხარდება, იქ არის დაბადებულიო!..

ეს რომ გავიგე, გული დამეწვა, ნაადრევად შეწყვეტილი ბავშვობა დამიდგა თვალწინ და ოცი წლის წინ დედისთვის დასმული კითხვა გამახსენდა:

– რატომ არ ვბრუნდებით დრანდაში, ჩვენს სახლში, რატომ ვართ ამდენ ხანს სტუმრად?

ბატონო როლანდ, იქნებ გაიმეოროთ გაზეთ **„ილორი"**-ს 22-ე ნომერში გამოქვეყნებული ჩემი წერილი **„ქოთანში გამოყვანილი პალმა"**. ეს წერილი რომ დაიბეჭდა მარი და სანდრო პატარები იყვნენ. ახლა ისინი სკოლაში დადიან და პატარა ძამიკოს, ანდრიას, თვითონვე წაუკითხავენ, ოცი წლის წინანდელი, საკუთარი სახლებიდან გამოდევნილი, მათი ტოლების თავგადასავალს!..

დიდი პატივისცემით

ეკა თორდინავა

ქოთანში გამოყვანილი პალმა

თითქმის არ გვიგვრძვნია წელს გაზაფხული თბილისში. ისე მიილია ზამთარი, რომ პირდაპირ ზაფხულის ტანსაცმელზე გადავედით. დიდხანს არც ეს გვაცალა ამინდმა და საშინელი თქეშების სადამოები დადგა...

კოკისპირული წვიმის შემდეგ, თითქოს საგანგებოდ გამონათებულ ერთ დილას (ჩვენთან, აფხაზეთში **„გუმოტაროზუას"** რომ ეძახდნენ) მე და შოთა, მარი და სანდროსთან ერთად მცხეთაში წავედით.

მარცხენა სანაპიროზე, თამარის ხიდამდე არმისული, დეკორატიული მცენარეებს ჰყიდიან, რომელსაც გვერდს ვერ ვუვლი. მის ხილვაზე აუწერელი სურვილი მიჩნდება ყველა ნერგშეზრდილ ქოთანს, პალმით, კიპაროსით,

ლუნგუსტრუმებით, მაგნოლიებით, ვარდებით, წყავისმაგვარი მცენარით... და სხვა მწვანე ნარგავებით სავსე სანაპიროს მოვეფერო, ავივსო მათი ხილვით, რომელიც ჩემს ბავშვობას მახსენებს და ლამაზ მოგონებებთან

ერთად საშინელი განცდით სავსე გზით მთავრდება!..

...იმ დილასაც შევჩერდით, ავტოდან გადმოვედით, სამოთხის მცენარეები შევათვალიერეთ. სანდრო პალმას ჩაეჭიდა – მამიკო ეს მინდა!.. მთლად გამართულად ჯერ ვერ ლაპარაკობს, მაგრამ იმდენს ახერხებს, რომ აზრი გაგვაგებინოს... შოთა დინჯად უყურებს და არ ერევა სანდროს არჩევანში, თუმცა კი იცის, პალმის კი არა, ზედმეტი სკამის დასადგმელი ადგილიც არ გვაქვს სახლში... გავბრაზდი, სად წავიღოთ, პალმა-მეთქი!.. მეუღლემ გადმომხედა, გაიღიმა და პალმიანი ქოთანი მანქანის საბარგულში მოათავსა...

მცხეთა, შიომღვიმე, არმაზის ხევი, ანანური მოვიარეთ. საღამოს შინ წამოვედით. ნატახტარის გზაგასაყარზე ახალი ავტობანის **„ბანერზე"** წავიკითხე: **ბორი 59, ხაშური 130... სოხუმი 450 კილომეტრი...**

თვალთ დამიბნელდა!

...ღმერთო, განა იქნება ამდენი ტყუილი? როგორ შეიძლება მანძილი მხოლოდ კილომეტრებში გაიზომოს?!. ეს ალბათ მათთვისაა დაწერილი, ვისაც მხოლოდ გზაზე გამოსულს ავტობანის გსაგასაყარზე დაკიდული **„ბანერი"** გაახსენებს სოხუმსა და აფხაზეთს...

...ჟამიანი გაზაფხული გვიდგას წელს. ამინდიც ისეთივე არასანდოა როგორიც ჩვენი ქვეყნის მმართველთა პოლიტიკა!.. გუშინ რომ ქვეყნის იმედად და მხსნელებად გვიხატავდნენ, შინაური თუ უცხოელი, დღეს თურმე არაფრისშემძლეები და არაიშვიათად მოღალატენიც ყოფილან, რადგან ვერ შეძლეს, ქვეყნის უგუნურ მმართველთა მიერ არეული, საქმეების დალაგება გაველურებულ სეპარატისტებსა და მათ მფარველებთან!..

მთელი გზა თვალწინ მედგა ავტობანზე დანახული – სოხუმამდე 450 კილომეტრი...

მე კარგად მახსოვს რუსთაველის ქუჩა დრანდაში. ის მცენარეები, თბილისში თამარ მეფის ხიდთან რომ იყიდება, ყველგან სარეველასავით იზრდებოდა. გაზაფხულზე იმდენი პალმა ამოიყრიდა, სიმინდს არ ახარებდა...

სახლის წინ ყვავილების ტყე ამოდოდა და მის გამოხშირვას ბავშვებს გვავალებდნენ...

ბებია იტყოდა – ყვავილებს მხოლოდ ბავშვის ხელი უნდა შეეხოსო!..

მახსოვს, დრანდიდან წამოსვლის წელსაც ასე იყო. ფეხს ვერ ვადგამდით ეზოში, ყველგან ყვავილი ამოსულიყო. თითქოს რამდენიმე წლის გასაფურჩქნი კოკორი ერთად ამოიყარა და ბუნებამ საგანგებოდ გამოგვაცილა...

ქობულეთში **„გადმოსულმა"** სკოლაში სწორედ ეს გავიხსენე და ქართულის გაკვეთილზე თავისუფალ თემად დავწერე!..

აი, ასე მახსოვს ეს **„გადმოსვლა, სიკვდილს გამორიდება"** აფხაზეთიდან ქობულეთში: სექტემბრის ბოლო იყო. იმ დილას უცნაური ფაციფუცი ატყდა სახლში. რაღაცაში ვერ თანხმდებოდნენ უფროსები. ბებიამ ცელოფანის პარკებში ჩაგვილაგა თითო ხელი საზაფხულო ტანსაცმელი მე, მაკას და ლევანის – ჩემს და-ძმას და სასწრაფოდ გულრიფშის პორტისკენ გავუდექით გზას. ჭიშკართან უამრავ ყვავილებში პატარა, საოცრად ლამაზი პალმის ნერგი შევნიშნე; დედიკოს და მამიკოს პირველი მე დავემშვიდობე და სწრაფად პალმისკენ დავიხარე, თითქმის შეუმჩნეველად ამოვიღე იგი დამის ცვარით დარბილებული მიწიდან და რატომღაც ასევე მალულად ჩავდე ცელოფნის პარკში, სადაც ტანსაცმელთან ერთად ჩემი საყვარელი ფოტოალბომიც მედო. მეხუთე კლასი დავამთავრე იმ წელს.

ჩვენს გარდა უამრავი ხალხი დაძრულიყო პორტისკენ, ზოგი ტიროდა, ზოგი ვიღაცას ეძებდა, ზოგიც უკან აპირებდა დაბრუნებას – სახლში რაღაცა დამრჩა უიმისოდ თავი რად მინდა ცოცხალიო!.. ჩემთვის ყველაფერი ეს გაუგებარი იყო, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებდი, თუ რამე დაგვრჩა დედა და მამა ხომ სახლში დარჩნენ და ისინი გამოგვიგზავნიან მეთქი... აქამდი ხომ ორჯერ დაგვატოვებინეს სახლკარი და მეგონა ისევ მალევე მოვბრუნდებოდით. გზაში ბებია არ გვიცილებდა, არაფერი უთქვამს ისე მივადექით ზღვის ნაპირს, სადაც ხალხი ირეოდა. შევნიშნე, ბებია ნერვიულობდა და ვიღაცას ეძებდა. ვატყობდი ჩვენთვის არ უნდოდა ეთქვა და აი ისინიც, მამიდაჩემი და ჩვენი მამიდაშვილებიც გამოჩნდნენ.

გახარებულები მივადექით გემისკენ მიმავალ რიგს... მესმოდა უცნობების საუბარი – ეს ბოლო გემია და მეტი აღარ იქნებაო, ვაი თუ ვერ ავიდეთო!.. ვერ გამეგო რატომ წუხდნენ ასე, ისე მოვხვდით გემბანზე, სადაც იარაღიანი ხალხი იდგა და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ მამაკაცები არ ამოვიდნენო!

...შეიძლება გემს ესროლონ და ჩაიძიროსო!..

ამასობაში გემზე ჩოჩქოლი და პატარა ბავშვების წივილ-კივილი ატყდა... ვიღაც მამაკაცი ამოპარულიყო ცოლშვილთან ერთად, სამი პატარა ბავშვი მოჰყავდათ, ალბათ შენიშნეს, ან შეიძლება ვიღაცამ დააბეზღა კიდეც, მეთვალყურე იარაღიანებთან და იგი ბავშვების მოთქმაში **„მამი არ წახვიდე!.."** ისე გაიყვანეს გემიდან არც უცდია წინააღდეგობის გაწევა. ამ შემთხვევას გაბრაზებული მეთვალყურეების გამაყრუებელი ჰაერში სროლები მოჰყვა. მე შემეშინდა, ხელები ყურებთან მივიდე, ჩემი პატარა ფუთა გამივარდა ხელიდან, ერთმა ავტომატიანმა სროლა-სროლით რომ ჩაგვიარა, ჩემს ფუთას ფეხი ჰკრა და გემის ღია მოაჯირიდან ქვედა სართულისკენ გადაუძახა. არც მიფიქრია ისე გავიწიე მოაჯირისკენ, ახლა უკვე ბებიამ მტაცა ხელი არ გადავარდესო...

როგორც იქნა გემი დაიძრა. ჩვენ იქვე, იატაკზე მოვკალათდით სადაც ვიდექით. ვერ მოვისვენე სანამ არ გადავხედე, თუ სად დავარდა ჩემი ცელოფნის პარკი. მოაჯირს მივუახლოვდი. ქვედა სართულზე ჩავიხედე, კარგა ხანს ვეძებე, ვერ ვიპოვე. ბებიას ხმა მომესმა, სად ხარ ბებიაო!.. მაშინ შევნიშნე ბაგირებს შორის ჩავარდნილი პალმის პაწაწინა ნერგი, წყლის შხეფები და ქარი საცაა ზღვაში გადააგდებდა. ჩემი წრიალი ავტომატიანმა მეთვალყურემ შენიშნა. შემეშინდა და გავჩუმდი. მომიახლოვდა და მითხრა – ის პალმა შენი იყო? თავი დავუქნიე და ჩუმად ჩავილაპარაკე – კი ჩემი იყო, ის პარკი თქვენ რომ წიხლი კარით და ზღვაში გადაუძახეთ, იმ პარკში ჩემი ბავშვობა იდო მეხუთე კლასამდე, ზღვამ რომ წაიღო!.. პაწაწინა პალმის ნერგმა თავის გადარჩენა სცადა ეტყობა... ისიც ხომ ცოცხალი არსებაა, მას არც დედა გამოჰყოლია, არც მამა და არც ბებია, იგი ჩემი იმედით მოდიოდა თავის გადასარჩენად, მაგრამ მე ვერ მოვუარე...

... ქობულეთში თანაკლასელებიც ვიპოვე. მცირე საოჯახო ნივთებთან ერთად სკოლის სურათებიც წამოეღოთ და, ჩემგან განსხვავებით, შერჩენოდათ კიდეც. ბევრი სურათი აღვადგინეთ და გავამრავლეთ. დღესაც მისით ვიგონებთ აფხაზეთში გატარებულ ბავშვობას...

...მალე დაღამდა და იატაკზე დავიძინეთ. გამთენიისას, არც თუ შორს პატარა ქალაქი გამოჩნდა. მახსოვს, ხალხი გახარებული ულოცავდა ერთმანეთს გადარჩენას, ქობულეთიაო, ამბობდნენ. ჩემი პალმა გამახსენდა

და მოაჯირს მივვარდი... გული დამწყდა, იგი არ დამხვდა ბაგირებს შორის. გამახსენდა თუ როგორ უწეწავდა გუშინ საღამოს ზღვის ნიავი პატარა რტოებს... ვიფიქრე (უფრო ვისურვე!), ეტყობა მარაოსავით ფრთებმა აიყვანეს ალბათ ჰაერში და ვინ იცის, თავის გადარჩენა სცადა და იქნებ ნაპირსაც მიაღწია?!.

... სამ წელიწადში ქობულეთიდან თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად. მეათე კლასში ვიყავი, როცა მამაჩემის ნაცნობმა აფხაზმა სურათი გამოგვიგზავნა დრანდიდან. ყვავილების ულამაზეს სანმორგებულ პალმებს შორის მოჩანდა ჩვენი სახლი. იმ წელს დაიწყეს სწორედ თბილისში, თამარის ხიდთან, პალმების და დეკორატიული მცენარეების გასაყიდად გამოტანა.

მახსოვს შავებში ჩაცმულ ქალბატონს ვკითხე ერთხელ – საიდან არის მეთქი ეს პალმები?

– აფხაზეთიდან, ნანასქუა!.. – სევდანარევი ხმით მიპასუხა.

...დღემდე მომყვება გულშიჩაყოლილი დარდი, ჩემი ეზოდან წამოღებულ პალმას რომ ვერ ვუპატრონე და გზაში დავკარგე...

16 წელი გავიდა მას შემდეგ. ნამეტნავად დატყობია პალმების გამყიდველ ქალს ეს დრო.

მაშინვე ვიცანი, ისევ შავები ეცვა და ხმაც ძველებურად სევდიანი ჰქონდა. არ მიკითხავს საიდან არის-მეთქი პალმა. მივხვდი გულს ვატკენდი...

სახლში მოვიტანეთ ქოთანში გამოყვანილი პალმა. ბავშვები თავს ევლებიან, დილით რწყავენ და ყველას უყვებიან – **„ეს პალმა მამიკომ უყიდა დედიკოს, იმიტომ, რომ აფხაზეთიდან წამოღებული პალმა გზაში დაეკარგა, მაშინ, როცა დედიკო პატარა იყოო!.."**

ამას რომ ვისმენ თვალებზე ცრემლები მადგება.

მარიმ და სანდრომ არც აფხაზეთი იციან სად არის და არც ის, რომ სამუდამოდ დავკარგეთ!..

P.S ***...ანაზდად გემზე ატეხილი ჩოჩქოლი გამახსენდა. თვალწინ დამიდგა ბავშვების კივილი: „არ წახვიდე მამიკო!.." ბავშვების გაქვავებული დედა, ხმას რომ ვერ იღებდა და ავტომატიან მეთვალყურეთა ჰაერში სროლა, უხეში ყვირილი და გინება... გაფითრებული მამის თვალები, ერთადერთი რითაც დაემშვიდობა ცოლ-შვილს!.. წიხლნაკრავი და ზღვაში გადასროლილი პატარა ფუთა, რომელსაც ჩემი უსაყვარლესი ალბომი გაყვა აფხაზეთში გატარებულ ბავშვობასთან ერთად... გემის კიჩოზე მოფარფატე პატარა პალმა, 16 წლის შემდეგ თბილისში, სიყვარულმა და შვილებმა რომ დამიბრუნა!..***

ჩვენ ბედმა გაგვიღიმა და ჩვენი დედამამა იმ აფხაზმა გადმოგვიყვანა სამშვიდობოს, ჩვენი სახლის სურათი რომ გამოგვიგზავნა.

ის ბავშვები დიდები იქნებიან ახლა და მინდა ხმა მივაწვდინო მათ – როგორ ხართ?

ჩემო დებო და ძმებო, დედებო და მამებო, ბებიებო და ბაბუებო, შვილებო – მოვიკითხოთ და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, სადაც არ უნდა ვიყოთ!.. გვახსოვდეს, ჩვენი პატრონი არავინაა!..

თორემ ამბობენ: „საბოლოოდ გაიყიდაო აფხაზეთი და მალე ისე იზამენ, ჩიტი ვერ გადაფრინდებაო ენგურს გაღმა!.."

ალექსანდრე ჭაჭია: არ მოველოდი, რომ ივანიშვილის "ქართული ოცნება" ასე სწრაფად გადაიქცეოდა მორიგ "ქართულ ფანტაზიად"

(გაგრძელება I გვერდიდან)

რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, ამ კავშირის რეალური პროექტი არ არსებობს, მეტიც, მის შესაქმნელად არანაირი სერიოზული მუშაობა ჯერ არ მიმდინარეობს. ასეთი კავშირი თუკი ჩამოყალიბდა, ეს იქნება რუსეთის, ბელარუსის, უკრაინისა და ყაზახეთის, ანუ მდიდარი და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბაზაზე. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ქვეყნები დათანხმდებიან საკუთარ რიგებში გაღატაკებული საქართველოს მიღებას მრავალმილიარდიანი საგარეო ვალითა და ნულოვანი ეკონომიკით. თუმცა, რა თქმა უნდა, საქართველო გეოპოლიტიკურად და მენტალურად ევრაზიული ცივილიზაციური სივრცის ნაწილია, მეტიც, რამდენიც არ უნდა იფურთხებოდეს სააკაშვილი, საქართველო კლასიკური ევრაზიული ქვეყანაა. ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელმაც გეოგრაფიის, ისტორიის, ფსიქოლოგიის, გეოპოლიტიკის ანაბანა იცის.

ამ თემასთან დაკავშირებით, მინდა, ხაზი გავუსვა ერთ მნიშვნელოვან მომენტს. ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, თითქოს რუსეთი დღეიადაგ ოცნებობს საქართველოსთან გაერთიანებაზე და მზადაა, ამისთვის ყველაფერი გააკეთოს. **«მედასავლეთეები»** და რუსოფობები თვლიან, რომ კრემლში დღედაღამ აწყობენ ხრიკებს, რომ როგორმე მიიერთონ საქართველო; რუსოფილები მიიჩნევენ, რომ თითქოს საკმარისია, საქართველოს ხელისუფლებამ გამოთქვას რუსეთთან მეგობრობის და ძმობისკენ მისწრაფება და უცებ დაიწყება რეინტეგრაციული პროცესები. სინამდვილეში ეს ასე არ არის. 90-იან წლებში არაერთხელ ვაფრთხილებდი ყველას, რომ დადგება დრო და რუსეთში გაბატონდება აზრი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ლენინი, როდესაც 1920 წელს დაწერა: **«რად გვინდა საქართველო? მოგვიწევს მისი რჩენა».** დღეს რუსეთის ხელმძღვანელობაში და, საერთოდ, რუსეთის პოლიტიკურ კლასში უმრავლესობა სწორედ ასე ფიქრობს. და ეს ეხება არამარტო საქართველოს, არამედ სხვა ამიერკავკასიურ ქვეყნებსაც და შუააზიურ რესპუბლიკებსაც. მიზეზი მარტივია: მათ მოუწევთ, რუსეთის ხარჯზე არჩინონ ეს ქვეყნები. რას ნიშნავს რუსეთისთვის საქართველოსთან ევრაზიულ კავშირში გაერთიანება? ეს ნიშნავს 13-მილიარდიანი საგარეო ვალის გადახდას, ქარხნების, ფაბრიკების ხელახლა აშენებას, მილიარდების ჩადებას სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, განათლებაში და ა.შ., ანუ პასუხისმგებლობის აღებას სახელმწიფოს განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ამიტომაც საქართველოს მიმართ ყველაზე კეთილგანწყობილი პოლიტიკოსებიც კი დელიკატურად დუმან, როგორც კი საუბარი რეინტეგრაციის პერსპექტივებს შეეხება. საქართველოს ეროვნულად ორიენტირებულ, პატრიოტულ ხელისუფლებას, თუკი ასეთი ოდესმე გვეყოლება, მოუწევს კოლოსალური მუშაობა რუსეთის პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური წრეების დასარწმუნებლად, რომ დახმარება და მხარდაჭერა, რომელსაც საქართველოს აღმოუჩენენ, მომავალში რუსეთს სერიოზულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მოგებას მოუტანს. ასეთია რეალობა. სხვათა შორის, არ მომისმენია, რომ ახალი ფორმაციის რუსი პოლიტიკოსები სააკაშვილს საქართველოს რუსეთისგან დაშორების გამო აგინებდნენ; აგინებენ იმის გამო, რომ აგვისტოს ავანტიურით აიძულა რუსეთი, ედიარებინა და სარჩენ კმაყოფაზე აეყვანა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი.

– წინა წლებში ხშირად გითქვამთ, რომ ადრე თუ გვიან აშშ წავა კავკასიიდან დასაქართველო კვლავ აღმოჩნდება არჩევანის წინაშე – თურქეთი თუ რუსეთი. ეს პერსპექტივა კვლავ აქტუალურია?

– დიახ, დღესაც ასე ვთვლი, მაგრამ ვფიქრობ, რომ არჩევანი, როგორც ასეთი, აღარ გვექნება. საქმე ისაა, რომ აშშ ასე უბრალოდ არ წავა, იგი საქართველოს თავის სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეს – თურქეთს გადასცემს. ამიტომაც ამერიკელები აქტიურად უწყობდნენ ხელს თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურ ექსპანსიას საქართველოში, რომლის შედეგადაც თურქებმა არამარტო მოიპოვეს გადამწყვეტი გავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე, არამედ მთელ აჭარას დაეპატრონენ. როდესაც სააკაშვილმა ასლან აბაშიძის გაძევების შემდეგ განაცხადა, რომ **«აჭარა დაიბრუნა»,** საზოგადოების გაბრიყვებული ნაწილი აღფრთოვანებისგან ყიყინას სცემდა და ამ ყიყინის ფონზე სააკაშვილმა აჭარა დედაბუდიანად გადასცა თურქებს! საპასუხოდ თურქები მას ეპატიჟებოდნენ წითელი ლენტების გასაჭრელად, იმ ობიექტების გასახსნელად, რომლებიც მათ თავიანთთვის, კავკასიაში თურქეთის დამკვიდრებისთვის ააშენეს... ამ დღეებში სააკაშვილმა ათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა და ამით სერიოზული პრეცედენტი შექმნა. თუკი მომავალ წელს ათი ათასი თურქი, რომელმაც ასამდე ქართული სიტყვა იცის, გამოთქვამს საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილს, ხელისუფლებას აღარ ექნება მათთვის უარის თქმის საფუძველი. უარი თურქეთის მიერ განხილული იქნება, როგორც არამეგობრული ნაბიჯი და შეიძლება ამან ძალიან მძიმე შედეგები გამოიღოს.

– კი მაგრამ, რუსეთი ხომ დღემდე არის აჭარის ავტონომიის გარანტი – განა მისი თურქეთთან შეთანხმებანი არ არის ჩვენი უსაფრთხოების გარანტია?

– რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობების გათვალისწინებით, რუსეთი დიდხანს აღარ დარჩება ასეთ გარანტად. რაღაც პერიოდის შემდეგ რუსეთმა რომც გააქტიუროს თავისი კავკასიური პოლიტიკა და საქართველოს მხარდაჭერა გადაწყვიტოს, აჭარის შენარჩუნება, მე მგონი, მაინც აღარ გამოგვივა. იმ დროისთვის რუსეთი, ალბათ, ამერიკელების მსგავსად, თუ მთელ საქართველოზე არა, აჭარაზე ნამდვილად აღიარებს თურქეთის უფლებას. ნებისმიერ შემთხვევაში, აჭარისთვის რუსეთი მეტს აღარ იომებს. ამიტომ ძალიან მაშინებს სიხარულის ერთად შეგრძნება, ჩემი ქალიშვილი ლამის ზედ დააკვდა ხის ყუთს, რომელშიც ჩემი ვაჟი ესვენა, ზემოდან კი ის ქვა იდო, რომელიც აფხაზებმა თავის დროზე ნუკრის საფლავზე, ვარჩეში ჩემივე თხოვნით გააკეთეს. როცა ხარების ეკლესიაში დავასვენეთ ნუკრის ნეშტი, პანაშვიდებზე ხალხი არ წყდებოდა, მათ შორის ყველა პოლიტიკური შეხედულების ადამიანი იყო... ყოველთვის იარსებებენ ადამიანები, რომლებსაც სკამის გარდა არაფერი აინტერესებთ, მაგრამ ღირსეულებიც ხომ არიან? შვილის გადმოსვენებამ ჩემი ცხოვრება შეცვალა. ადრე სულ იმას ვფიქრობდი, ნეტავ ჩემი ნუკრი უგზო-უკვლოდ დაკარგულიყო ან მისი საფლავის ადგილსამყოფელი არ მცოდნოდა-მეთქი. ახლა ყოველდღე ავდივარ საფლავზე, ვტირი, ველაპარაკები, მერე ხარების ეკლესიაში მივდივარ და როგორც ჩემი ნუკრის სულის საცხონებლად, ასევე ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ვლოცულობ. ძალიან მინდა მივიდე იმ ადგილზე, სადაც ჩემმა ნუკრიმ სული დალია, მისი სისხლი კი მიწას შეერია (კინდღის ჩაის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიას ვგულისხმობ), ასევე მინდა მივიდე ვარჩეში, იქ, სადაც ნუკრი 19 წლის განმავლობაში განისვენებდა), იქ დადნა მისი სხეული. მითხრეს, რომ მხოლოდ თავის ნაწილი და ჩონჩხიღა იყო დარჩენილი...

– იდენტიფიცირება როგორ მოხდა?

– ბევრ ინიციატივას ვიღებ, ბევრ ადამიანს ვეხმარებ, ბევრ ადამიანს ვეხმარებიან ჩემი ოჯახიდან, ბევრ ადამიანს ეხმარებიან ჩემი ბავშვები, ბევრ ადამიანს

არა – სამეგრელო არ გასხვისდება!

საკითხის არსი თავიდანვე გასაგები რომ გახდეს, მკითხველს უნდა შევახსენო ჩემი წიგნის **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“** შესახებ გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** (15.01.2013, 7) გამოქვეყნებული აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **„ისტორიული დადგენილება“** (29.09.2012. 06) და მასზე დართული ინფორმაცია, რომელშიც უხვადაა უშვერი ლანძღვა-გინება, შოკისმომგვრელი ბრალდებები აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების ჩემეული ხედვისა და შეფასებების გამო. ეს ხდება მთელი სამი წლის დაგვიანებით – წიგნი ქართულ და რუსულ ენაზე გამოვიდა 2009 და 2011 წლებში.

აღნიშნული დადგენილება იმდენად ტენდენციური და შეთითხნილია, მან ჩემში ერთგვარი უკმარისობისა და სინანულის გრძნობა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, არ ჩავთვალე საჭიროდ პასუხი გამეცა ამ პასკვილის ავტორებისთვის – მხოლოდ მოკლე რეპლიკით შემოვიფარგლე. მით უფრო, რომ მათ ძალზე კვალიფიციური პასუხი გასცა პროფ. ზაურ კვარაცხელიამ თავის ვრცელ პუბლიკაციაში: **„ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“** (გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**. 2013 წლის 8 თებერვალი).

ვიფიქრე, ამით ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ შევცდი. ბატონმა ჯემალ გამახარიამ ერთი კვირაც არ იყო გასული კიდევ ერთი **„მამხილებელი“** პასკვილი გამოაცხო: **„როგორ სხვისხდებოდა“** თუ **„როგორ გასხვისდეს“...** (**„საქართველოს რესპუბლიკა“**, 20.11.2013, №32). მოგვიანებით, **„გამოიცხვა“ მეორე „კეთილმოსურნე“ კოლეგის – ბატონ ნუგზარ მგალობლიშვილის პასკვილიც სათაურით: „თანამედროვე შადიმანი“.**

მკითხველს მინდა ვაუწყო, რომ მალე გამოვა ჩემი ბროშურა **„სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულნი“,** სადაც ვრცლად გაეცა პასუხი ყველა **„გამოხმაურებას“,** მათ შორის, **„თანამედროვე შადიმანობასაც“**. ამჯერად კი თქვენს ყურადღებას მივაქცევ ბატონ ჯემალ გამახარიას ფაბრიკაციას (მას პუბლიკაციას უბრალოდ ვერ ვუწოდებ!) და **„შეშფოთებას“** იმის შესახებ, რომ მზადდება ახალი ტრაგედია: აფხაზეთის გასხვისება რა არის – ჯერი, თურმე, სამეგრელოს გასხვისებაზეც მიმდგარა და მისი შემოქმედი, როგორც **„მეგრული სეპარატიზმის“** წამქეზებელი, თურმე, მე – ნაპო მესხია გახლავართ! აი, ასე ამცნო ქვეყანას თავისი მორიგი **„აღმოჩენა“** ადამიანმა, რომელსაც ფუნქციადაკარგულ აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში **„კონფლიქტის დარეგულირება, დიასპორასთან ურთიერთობა, განათლება და კულტურა“** აბარია – სამწუხაროდ ნომინალურად, რამეთუ არამარტო ბატონ გამახარიას, არამედ, მთლიანად **„უმაღლესელებს“**, თუ არ დასწამებ, დღემდე ვერაფერი ღირსეული ვერ განუზრახავთ ამ მიმართულებით!

ხალხური სიბრძნისა არ იყოს: სისხლს სისხლით ვერ ჩამოიბან, ისევე, როგორც ცილისწამებასა და შეურაცხყოფას იგივე მეთოდით. მე ამ პოზიციიდან ვესაუბრები ყოველთვის ყველას, მათ შორის იმათაც, ვისაც ენით აუწერელი დანაშაული მიუძღვით ხალხისა და ქვეყნის, უპირველესად, აფხაზეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის წინაშე.

ის, რაც იყო მონაგონია, გუშინდელი დღეა, უარესი აწი გველოდება! მთავარია ეს **„გუშინდელი დღე“** ავად არ მოგვიბრუნდეს და ჩვენი ქვეყანა **„კალოუბნად“** არ იქცეს, – აი, რა **„ადარდებს“** ბატონ ჯემალ გამახარიას და ამ **„ავი წინათგრძნობის“** მეკვლედ, აწ უკვე **„მეგრული სეპარატიზმის“** ხელშემწყობად და გამღვივებლად ველანდები მე – მისი თანასოფლელი. მან სხვებზე უკეთ იცის, ვისი გორისა ვარ და რა შემიძლია ან რა არ შემიძლია!

ეს მის სინდისზე იყოს!

როგორც ჩანს, ჩემი **„კეთილი“** ოპონენტები არ ისვენებენ, ეტყობა მათ გზა-კვალი აერიათ და ხელისუფლებისა და საკუთარი შელახული ღირსების გადასაფარად, ხელს ჩემსკენ იშვერენ – ახალ-ახალ **„ბრალდებებს“** მიყენებენ: ცილისწამება და ცრუ ბრალდება, იმ სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ ოპონენტთა არსენალია, რომლებიც რეალური ფაქტებით სიმართლისმოქმელს ვერ იგერიებენ.

ჭეშმარიტად ცუდი სუნი ასდის იმ **„ორცხობილას“**, რომელიც ბატონმა ჯემალ გამახარიამ გამოაცხო. ეხება რა ქართველიზაციის საკითხებს, მან შეგნებულად გვერდი აუარა არა მარტო ივანე ჯავახიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს, იოსებ ყიფშიძეს და სხვ., არამედ თვით ნიკო მარსა და თავის ფავორიტ ფსევდოავტორს, ლეონტი მროველსაც კი, რომელთა მიხედვითაც, **„მეგრელებმა თავისი ყველაზე დიდი შენაძენი – სახელმწიფოებრიობა მსხვერპლად გაიღეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეისთვის.“** სწორედ ამ და ბევრ სხვა მიზეზთა გამო სამეგრელო არასდროს არ გასხვისდება. გონიერ კაცს ეს აზრადაც არ მოუვა, რადგან ეს იგივეა, რომ საძირკველი გამოუთხარო საკუთარ სახლს – ის უმალვე დაინგრევა, ვითარცა ბაბილონის გოდოლი. ამიტომ არცერთი ჭკუათმყოფელი საკუთარი სახლის დანგრევას არ განიზრახავს!!!

მკითხველს უთუოდ დავეთანხმები იმაში, რომ ეს ძალიან გაზვიადებული ნათქვამია, მაგრამ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პერიოდში, შორეულ წარსულში ასეთ **„იდეოლოგიას“** ამოფარებული ფეოდალები ხელმძღვანელობდნენ ცენტრისკენული მსოფლმხედველობით, რასაც, არც ისე იშვიათად, შიდაარეულობა და შეიარაღებული კონფლიქტებიც ახლდა. კოლხების **„ზემოდან“** ასეთი გაფრთხილება არ უნდა გვიკვირდეს. უნდა ვაღიაროთ და სიმართლეს უნდა გავუსწოროთ თვალი!

ბატონ ჯემალს უნდა შევახსენო, რომ საგანგაშოა ის, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ხდებოდა ქვეყანაში, თუ როგორ შეესივნენ კაციჭამია (გნებავთ პირდაპირი, გნებავთ გადატანითი მნიშვნელობით!) მხედრიონელები საქართველოს კუთხეებს, როგორ გაძარცვეს, გადაწვეს, ააოხრეს, შეურაცხყვეს სამეგრელო და მისი მოსახლეობა. დიახ, ასე გაუსწორდნენ საქართველოს ხერხემლად აღიარებულ სამეგრელოს! კიდევ უარესი – ამ ავაზაკებს ზოგიერთი ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი კულტურისა და ხელოვნების მუშაკი უმაგრებდა ზურგს. **„ქართველიზაციის“**ეს **„თანამედროვე“** ვარიანტი საქართველოსთვის უფრო საზიანო გამოდგა, ვიდრე, ეს იყო მისი სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების გარიჟრაჟზე.

მე ამ საკითხებს ისევ მივუბრუნდები. ახლა კი მინდა მკითხველს მურმან ლებანიძის (ძალიან მიჭირს მისი ამ კონტექსტში მოხსენიება) ერთი გაუაზრებელი სტრიქონი შევახსენო: **„...აგრეთვე ენას – ქართულთან მეგრულს ხმა ამოიღოს უფლება არ აქვს.“** რა ვქნათ, ბატონო ჯემალ, რომელ ენაზე უნდა ესაუბროთ თქვენ თქვენს მეზობელ აშორდიასა და ჟვანიას?! ხო, ხო ჩემსკენ უფრო ანჩაბაძეები და ალფენიძეები სახლობენ! რა ვქნათ, პირი ამოვიკეროთ?! ვისაც ჭკონია, რომ ჩვენი ცნობილი პოეტის ეს სიტყვები მხოლოდ მისი უნებლიე გადაცდომაა და **„ქართველიზაციის“** უხეშ ფორმებს არ ეხმიანება, ძალიან ცდება. ეს არის ის **„იდეოლოგია“**, რომელიც ხალხს აწუხებს და ქვეყნის ძლიერებასა და ტერიტორიულ მთლიანობას რომ არყევს. გიფიქრიათ ამაზე ოდესმე, ბატონო ჯემალ?!

აქ არ შევჩერდები იმ საკითხებზე, რომლებიც ბატონმა ზაურ კვარაცხელიამ თავის წერილში – **„ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“** უკვე გასცა საკადრისი პასუხი.

მორიგი ცილისწამება და **„ბრალდება“** აფხაზეთის 1925 წ. და 1931 წ. კონსტიტუციებს ეხება. მე ვსაუბრობდი იმის შესახებ, რომ აფხაზებმა იციან აფხაზეთი **„რა სტატუსით სარგებლობდა 1925 წლის კონსტიტუციის შემდეგ“.** ბატონო ჯემალ, რა არ მოგწონთ ამ სიტყვათა წყობაში? სულ მცირე განმარტება და ახსნაა საჭირო იმისათვის, რომ შექმნილ სიტუაციას ალღო ავუღოთ, კერძოდ, სეპარატისტულად განწყობილ აფხაზებს 1925 წ. კონსტიტუცია გარკვეულ **„პერსპექტივებს“** უსახავდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ერთიმეორეზე მიყოლებით ახალ-ახალი რესპუბლიკები, ოლქები, მხარეები და ავტონომიები ყალიბდებიან. მათ შორის, ბუმია ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაშიც. 1925 წ. კონსტიტუციას პრაქტიკულად არ **„უმუშავია“**. ამ პერიოდიდან მოყოლებული აფხაზები მოკავშირეს რუსეთში ეძებენ (მოძებნეს კიდეც!) და არა საქართველოში. რატომ?! არ გიფიქრიათ ამაზე?! ეს, ბატონო ჯემალ, ჩემზე უკეთ თქვენ უნდა იცოდეთ, მაგრამ ეტყობა მკითხველის შეცდომაში შეყვანა უფრო გაწყობთ, ვიდრე სიმართლის აღიარება!

იმოწმებს რა ჩემს სიტყვებს, რომ ფაშიზმისთვის გერმანელმა ხალხმა ბოდიში **„მოიხადა დანარჩენი მსოფლიოს წინაშე“** და მე ვამბობ, რომ იგივე უნდა გავაკეთოთ ჩვენც აფხაზების მიმართ, ბატონი ჯემალი ასკვნის: **„როგორც ვხედავთ, საქართველოს პოლიტიკა... აფხაზეთში გაიგივებულია ფაშიზმთან?!“.** თანაც კითხვას სვამს: **„...აქვს თუ არა გაცნობიერებული ბატონ ნაპოს, რას წერს?...“** ბატონო ჯემალ, სწორედ რომ გათვითცნობიერებული მაქვს! თქვენ რატომ არ აცნობიერებთ იმას, რომ სახელმწიფო საბჭოს, შემდგომში ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის რეჟიმები ქვეყნის შიგნით იყო ფაშისტური, ქვეყნის გარეთ კი დემოკრატიის შუქურად აღიარებული ბუტაფორია?!

შიშველი, მშრალი სტატისტიკით ვერ დაადგენ, ფაშისტურად ვინ უფრო იქცეოდა აფხაზეთში – ქართველები, აფხაზები თუ მოსკოვის მიერ დაქირავებული და ჩრდილოკავკასიიდან გადმოსული მკვლელები (?!).

აქ ისევ და ისევ პასუხისმგებლობის საკითხი დგება, რომელსაც საქართველო გაურბოდა და არ იცოდა, ჩატეხილი ხიდი როგორ უნდა აღედგინა (საუბარია მ. სააკაშვილის მთავრობაზე!), რამეთუ ვერ აცნობიერებდნენ, რომ მასმედიის საშუალებით ან სატელევიზიო, ზოგჯერ დამამცირებელი გადაძახილებით ვერ მოხერხდებოდა პრობლემების მოგვარება.

ვინც კავკასიელ ხალხთა (ქართველთა, აფხაზთა, ოსთა) ფსიქოლოგიას ოდნავ მაინც იცნობს და ცნობს მას, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფენომენს, მონანიება და ბოდიშის მოხდა არ გაუჭირდება. მით უმეტეს დიდსულოვან ერს – სწორედ ეს არის ის ამოსავალი წერტილი, საიდანაც უნდა დავიწყოთ აფხაზეთისკენ მოძრაობა. ეს უნდა გავითვიცნობიეროთ და დროზე უნდა დავადგეთ ამ ერთადერთ სწორ გზას!

როდესაც ბატონი ჯემალ გამახარია თითიდან გამოწოვილი **„ფაქტებით“ „მეგრულ სეპარატიზმში“** მდებს ბრალს, რომლის მოსალოდნელი შედეგიც საპასუხო წერილის სათაურშიც აქვს გამოტანილი და იმავდროულად **„სახალხო დიპლომატიის შემდგომი გააქტიურებისთვის“** მნიშვნელოვან როლს მანიჭებს, როგორც **„...ამ კუთხით „საკმარისი რესურსის...“** მქონე პიროვნებას, ლოგიკურად მივდივართ ბრალმდებლის აბსურდულ, წინააღმდეგობრივ, გაუცნობიერებელ (არ მინდა ვთქვა, გაცნობიერებულ) პოსტულატამდე იმის შესახებ, რომ შერიგებით თუ შევრიგდებით ეს ერთი მხარეა, მაგრამ ჩვენი აფხაზებთან – სეპარატისტებთან ერთად ყოფნა და თანაარსებობა საკითხავია.

ბატონები ჯემალ გამახარია, ნუგზარ მგალობლიშვილი და თემურ მჟავია ერთად (ცუდია, როცა 25 კაციან უმაღლეს საბჭოში საუბარი გვიხდება არა მის ფრაქციულ სტრუქტურაზე, არამედ – რაღაც დაჯგუფებაზე...) მებრძვიან საკუთარი მოსაზრების იმპერატიულობისათვის, რომელიც, არც მეტი-არც ნაკლები, ნეობოლშევიზმის მატარებელი სინდრომია. სწორედ ამ სინდრომით იყო დაავადებული წინა ორი ხელისუფლება (მოქკავშირი და ნაცმოძრაობა), რომელიც ქართველ ხალხს, მის დასავლეთში მცხოვრებ ნაწილს **„პროვინციულ ფაშიზმში“** დებდა ბრალს.

ნაცმოძრაობის მხრიდან ეს პროცესი დღესაც საკმაოდ გააქტიურებულია, რასაც აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმაც აუბა მხარი. ეს ის **„ფესვებია“,** რომელიც ბატონ თ. მჟავიას და ბატონ ჯ. გამახარიას ასაზრდოებს, რაც აპრიორშივე ბლოკავს ქართველთა და აფხაზთა (ქართველთა და ოსთა) შერიგების გარდაუვალ პროცესს.

ბატონი ჯემალი ოსტატურად (მუხანათურად) იყენებს კონტექსტიდან ამოგლეჯილ ცალკეულ ფრაზებს და **„მეგრული სეპარატიზმის“** სათავეებთან მივყავარ – „**„აშორდია-ჟვანიას მემკვიდრედაც...“**კი მასახელებს. იქვე დასძენს – **„რა საქმე აქვს ნაპოს სხვადასხვა ორღობის „აკადემიებში“ მოკალათებულ ძველ პარტნომეკლატურასთან?..“** – კითხულობს იგი.

ორღობის **„აკადემიაზე“** ცოტა მოგვიანებით. ამაზე უფრო ვრცელი საუბარი გვექნება მომდევნო პუბლიკაციაში, აქ კი ბატონ ჯემალს უნდა შევახსენო საუბარი იმ უმეცრებებზე, რომლებსაც ასე უხვად ხმარობს ჩემთან მიმართებაში. თუ შევნიშნე (არასპეციალისტმა!) მეგრული ენის ვერბალური და ლექსიკური სიმდიდრე და სხვებსაც მივანიშნე ამაზე, რატომ ითვლება ეს უმეცრებად? რატომ ითვლება უმეცრებად ასევე, თუ ყურადღება მივაქციე იმ ფანტასტიკურ და უნიკალურ მოვლენას, რომ ქართულ ასომთავრულში თითქმის ყოველი ასო-ბგერა მეგრულ ენაზე საგანს, მის დასახელებას ან მოვლენას ნიშნავს, რაც არ შეინიშნება მსოფლიოს არცერთ ენაში, მათ შორის ქართულშიც?! რატომ არის უმეცრების დადასტურება, რომ მეგრულ ენაში თითქმის ყველა ზმნა სამმაგი ინფორმაციის მატარებელია: მოქმედი პირის, მისი ქმედებისა და იმისა, თუ სად ხდება ეს ქმედება?! რატომ არის მეგრული ენის ყოველივე ეს ნიშანთვისებები მიუღებელი, ხოლო ამაზე ხმამაღლა საუბარი რატომ ითვლება სეპარატიზმად?!

ეს მაშინ, როცა არც მე და არც ვინმე სხვას არ გვითქვამს, რომ მეგრული ენა თავისი მნიშვნელობით დედა ენას, ქართულს უნდა გაუტოლდეს – სალიტერატურო, ან სახელმწიფო ენად იქცეს?! ეს ფიქრადაც არ მოსვლია არავის! იქნებ, ბატონმა ჯემალმა იყოჩაღოს და მისთვის ჩვეული ოსტატობით, ტექსტიდან ამოგლეჯილი სიტყვები მოიხმოს და **„გამაშავოს“,** მაგრამ ამას ის ვერ შესძლებს, რადგან, ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს!

უბედურება ის კი არ არის, ადამიანებს ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრებები (ამაში მე ვერ ვხედავ დანაშაულს), უბედურება ისაა, რომ მავანი საკუთარი **„მამულიშვილობის“** მტკიცებას სხვათა უკიდურესი შეურაცხყოფისა და დამცირების ხარჯზე რომ ცდილობს. შეიძლებოდა კამათი აქ დაგვემთავრებინა, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუარო ერთ გარემოებას. ჯ. გამახარიას აზრით, ჩემი ავტორობით გამოცემული წიგნი **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ „ეფუძნება წმინდა წყლის სეპარატისტულ და ოკუპანტის იმპერიულ იდეოლოგიას.”** ვწუხვარ, რომ პირდაპირ **„დასახვრეტად“** გავყავარ ბატონ ჯემალს და დასამარხი ორმოც გამზადებული აქვს! ფრთხილად, მეგობრებო, ფეხი არ დაგიცდეთ!

ქართული ლიტერატურის კლასიკოსი სამშობლოდან გადახვეწილი გრიგოლ რობაქიძე შავით თეთრზე წერდა: **„საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა საოცარ თავისებურებაშია. მე იმის მომხრეც ვიქნებოდი, მწერლობა აყვავებულიყო მეგრულად, ქართული მწერლობა ამით არას დაკარგავს, კიდევაც მოიგებს.“** მეგრულად მწერლობის **„აყვავებაზე“** ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ქართველურ ენებს, – მეგრულს, სვანურს, ლაზურს დღეს ახალი მტრები, ტ. ფუტკარაძის, თ. გვანცელაძის, გ. ჭელიძის და მათი თანამოაზრეების სახით გამოუჩნდნენ და კაცმა სადმე მეგრულად რომ წაიღიღინოს, სულ ცოტა **„მეგრელ სეპარატისტად“** იქნება შერაცხული.

პირდაპირ ვიტყვი: ვინც **„მეგრულ სეპარატიზმზე“** საუბრობს და ბრალს სდებს ვინმეს ამ უკეთურ საქმეში, ის თავად არის **„მეგრული სეპარატიზმის“** წამქეზებელი და პროვოკატორი! ვისაც მოძმეთა ხელით ცეცხლის ალში გახვეული სამეგრელო უნახავს (1992-1993 წ.წ.) გაახსენდება, ზუგდიდში, შ. დადიანის სახელობის თეატრის ერთი მშვენიერი სპექტაკლის აფიშა: **„მაინც შემოგევლე, ჩემო საქართველო!“** რა არის ეს: სეპარატიზმი თუ ქვეყნისადმი უსაზღვრო ერთგულება?!..

საქართველოს სიყვარულში ცილისწამებით შეჯიბრება, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, კონტრპროდუქტიულია. მხოლოდ სიმართლე, როგორ მწარედაც არ უნდა მოგვეჩვენოს, გადაარჩენს და გააერთიანებს საქართველოს!

დაძაბულ დროში გვიხდება ცხოვრება. იმდენი დანაშაულია ჩადენილი აფხაზეთის ომიდან დღემდე, რომ უდანაშაულოებს ავკიდეთ ყველა ცოდვები, ხოლო დამნაშავეებს – ღირსების ორდენები ჩამოვკიდეთ! მე კი არა, **„მეგრულ სეპარატიზმში“** ზვიად გამსახურდიასაც ადანაშაულებდნენ, ხოლო ქვეყნის დამაქცევარს – ჯაბა იოსელიანს ქვეყნის **„გამაერთიანებლის“** სტატუსს ანიჭებდნენ! გეკითხებით: ჯაბა იოსელიანი „ქვეყნის ერთგულია“ და მე, ნაპო მესხია, რომელიც დახვრეტას მხოლოდ უფლის ნებით გადაურჩა, მოღალატე და **„მეგრული სეპარატიზმის“** წამქეზებელი?! ამის შემდეგ, რა უნდა მიკვირდეს ამ ქვეყნად! მინდა ვკითხო ჯემალ გამახარიას, ჩემს წიგნებს სპეცსამსახურის თანამშრომლები რატომ ეძებენ მაინცდამაინც მასთან?! ჩემთან მხოლოდ ქვეყნის ერთიანობის და აფხაზეთში დაბრუნების მომხრე ხალხი დადის და მთხოვს წიგნის თითო-ოროლა შემორჩენილ ეგზემპლიარებს.

ერთი რამ ცხადია, ამ წიგნებს მართლა კითხულობენ დევნილი **„სეპარატისტები“.** ჩანს, რომ პატივცემული ჯემალი ამოვარდნილია მათი რიგებიდან და მათი არაკეთილმოსურნეების **„იდეოლოგიური უზრუნველყოფითაა“** დაკავებული. მომეცნიერო გამყალბებლის გარდა ვერავინ იკისრებს და არც არავინ იკადრებს ამას!

შეუმცდარი არავინაა ამ ქვეყნად. დანაშაულია სიმართლის დამალვა და იგნორირება. მეც ვცდებოდი, ალბათ, მაგრამ ჩემი მთავარი შეცდომა, ბატონო ჯემალ, თურმე ის არის, რომ მე შენში ვცდებოდი. მადლობა, რომ თვალი ამიხილეთ!

ისტორია ზუსტი მეცნიერებაა, თქვენ და თქვენი **„მხარდამჭერები“** ამაოდ ცდილობთ მის დამახინჯებას. ყველას მოგვიწევს სიმართლის აღიარება და მაშინ ხალხი იტყვის: ვინ არის ერისკაცი და ვინ – შადიმანი!

ამ წერილის ასეთ ნოტებზე დასრულება, მართლაც არ მინდოდა – მეგობრები ქუჩაში არ ყრია, მაგრამ...

მომავალ შეხვედრამდე, ჩემო ძვირფასო ოპონენტებო!

კვლავ უღრმესი პატივისცემით, თქვენი

ნაპო მესხია

(გაგრძელება იქნება)

გაზეთ “ილორის” მთავარ რედაქტორს!

ბატონი მთავარო რედაქტორო,

თქვენი გაზეთის 234-ე ნომერში (27 აგვისტო – 3 სექტემბერი, 2013 წელი) დაიბეჭდა ომისა და და სამხედრო ძალების ვეტერანის იუზა კატუკიას წერილი **“ჩვენ ვიყავით თქვენისთანა, თქვენს გახდებით ჩვენისთანა...”**, რომელშიც გულისტკივილით არის აღნიშნული, რომ **“ახალგაზრდა რეფორმატორთა”** ხელისუფლებამ დამსახურებულ ადამიანებს ჩამოართვა ყოველგვარი შედავათები, ფუნქციის გარეშე დატოვა ადამიანები, რომელთა გამოცდილებაც დიდად წაადგებოდა ქვეყანას!

ხელისუფლება სასტიკად არბევდა ვეტერანთა მშვიდობიან აქციებს. ვეტერანებს არ გააჩნიათ საზოგადოებრივ ტელევიზიაში საკუთარი სამაუწყებლო დრო. დაღუპულ მებრძოლთა მემორიალური ობიექტები მოუვლელია, ძეგლები და ბიუსტები მოპარულია, ან განადგურებული (მაგალითად, ქალაქ ქუთაისში).

შეწყვიტა გამოსვლა ვეტერანთა გაზეთმა.

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი სრულიად ეთანხმება ვეტერანის კრიტიკულ შენიშვნებს და თავისი კომპეტენციის, ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში ცდილობს პრობლემური საკითხების მოგვარებას ახალი ხელისუფლების ხელშეწყობით.

მიმდინარე წლის აპრილიდან გაუმჯობესდა ზოგიერთი კატეგორიის ვეტერანების საპენსიო უზრუნველყოფა და სამედიცინო მომსახურეობა. ეს პროცესი გაგრძელდება მომდევნო პერიოდშიც, კერძოდ – სექტემბრიდან.

მიღებულია ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გადაწყვეტილება ინტერნეტში ცენტრალური კავშირის ვებ-გვერდის გამოშვების თაობაზე, რაც გააუმჯობესებს ვეტერანების კომუნიკაციას საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანოებთან.

ვეტერანების გაზეთი **“საქართველოს ვეტერანი”** ეკუთვნოდა ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტს, რომლის გამოშვება შეჩერდა დაფინანსების შეწყვეტის გამო. ვეტერანთა ცენტრალური კავშირი უახლოეს პერიოდში აპირებს დააფუძნოს საკუთარი გაზეთი და მოზიდული სასხრებით გააგრძელოს გაზეთის გამოშვება.

ვიმედოვნებთ, რომ გაზეთის პირველი ნომერი გამოვა მიმდინარე წლის ოქტომბერში, კავკასიაში ფაშისტური ჯარების განადგურების 70 წლისთავთან დაკავშირებით. ამ თარიღს ასევე მიეძღვნება საქართველოში არსებული მემორიალური კომპლექსების ინვენტარიზაცია და დათვალიერება, რათა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების დახმარებით შეძლოთ მათი რესტავრაცია.

ვეტერანული ორგანიზაციების საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით 2015 წელს სრულდება ფაშიზმის განადგურების 70 წლისთავი, რაც საზეიმოდ აღინიშნება ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

ამ თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით შემუშავდება ღონისძიებათა სპეციალური გეგმა, რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას. დასახულ ღონისძიებათა შესრულება ხელს შეუწყობს ყოფილ მებრძოლთა სოციალური და სამართლებრივი უფლებების შემდგომ გაუმჯობესებას, განმტკიცებას და საზოგადოებრივი ავტორიტეტის ამაღლებას.

დასასრულს, მინდა გაცნობოთ ვეტერანთა ცენტრალური კავშირის მოსაზრება ბატონ იუზა კატუკიას წინადადებაზე – რიყის მოედნიდან ე.წ. **“ნაციონალთა ტრუბის”** სხვაგან გადატანის თაობაზე. ეს მართლაც **“საოცარი”** ნაგებობა სრულიად არ შეესაბამება არსებულ არქიტექტურულ იერსახეს და შეურაცხყოფს ისტორიულ გარემოს. ამიტომაა აუცილებელი მისი დემონტაჟი და თვალს მოფარებულ ადგილზე გადატანა.

პატივისცემით,

რ. ნაცარიშვილი,

აიპ “საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი”-ს

გამგეობის თავმჯდომარე, პოლკოვნიკი

მცირე ექსკურსია ფოთის მიდამოებში

ოდესღაც კოლხეთის მიწაზე დააბიჯებდა იაზონი (იასონი) – ძმისწული პელიასი, იოლკოსის მეფისა...

ამბავი ფრიქსესა და ფელესი და ამბავი იასონისა და მედეასი.

ოქრომენოსის მეფის ათამანტის ძესა და ასულს-ფრიქსესა და ჰელეს-დედინაცვლის ვერაგობისაგან დასახსნელად დედამ, ქალღმერთმა ნეფელემ, ცით მოუვლინა ოქროსმატყლიანი ვერძი. ვერძმა და-ძმა ზურგზე შეისხა და გაფრინდა. როდესაც ეგეოსის ზღვისა და პროპონდიტის სრუტეს (მარმარილოს ზღვის) მიუახლოვდნენ, ჰელე წყალში ჩავარდა. ამ ადგილს ჰელესპონტი ანუ ჰელეს ზღვა ეწოდა. ვერძმა ფრიქსე შავი ზღვის ნაპირზე მდებარე აიაში ანუ კოლხეთში მიიყვანა. კოლხთა მეფემ, ჰელიოსის ძემ აიეტმა, ფრიქსე სასახლეში შეიფარა და ცოლად შეირთო უფროსი ასული ქალკიოპე. ვერძი ღმერთებს შესწირეს მსხვერპლად, ხოლო მისი ოქროსმატყლიანი ტყავი ანუ ოქროს საწმისი მდ. ფაზისის (რიონის) ნაპირას, არესის ჭალაში დიდ მუხაზე ჩამოკიდეს და მცველად გველეშაპი მიუჩინეს. თესალიის (იოლკოსის) მეფემ პელიამ თავის ძმისწულს იასონს სამემკვიდრეო ტახტის მისაღებად აია-კოლხეთს გამგზავრება და ოქროს საწმისის ჩამოტანა დააკისრა. იასონმა ორმოცდაათხოფიანი ხომალდი **“არგო”** ააგებინა, ჩასხა შიგ ელადის რჩეული ვაჟკაცები და პონტოს ევქსინოსაკენ გაემართა. ხანგრძლივი ცურვის შემდეგ **“არგო”** ფასისის შესართავს მიადგა. არგონავტები მდინარეს აუყვნენ და კოლხთა გამგებლის აიეტის ციხე-სიმაგრეს კუტაიას (ქუთაისს) მიადგნენ.

არგონავტების მოგზაურობის რუკა (აბრაჰამ ორტელიუსი 1624 წ.)

ლეგენდა პალიასტომის შესახებ

პალიასტომის ტბის შესახებ გურიაში არსებობს ერთი ლეგენდა: ახლა რომ ტბაა იმ ადგილას თურმე ხმელეთი იყო. ზედ ხალხი იდგა და ამ ხალხს **“პავლიას ტომს”** ეძახდნენ. ერთ დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია, მიწა გაირღვა და უცებ ამოვარდნილმა წყალმა მთელი სოფელი დაფარა. მხოლოდ ერთი დიაკვანი გადარჩა რომელმაც მოასწრო მთავარანგელოზის ხატის გადარჩენა. ეს ხატი ჯუმათის მთაზე აიტანა და შემდეგ იქ ამ ხატს ეკლესია აუშენეს. ეს დიაკვანი – გვარად დარჩია, დეკანოზად დააყენეს. ჯუმათის მთაზე ეკლესია (მონასტერი) დღესაც არსებობს და დარჩიები ახლაც ცხოვრობენ ჯუმათში.

მალთაყვა

ჩვენამდე მოღწეული თქმულების მიხედვით მალთაყვის უბანი გაუვალი და ჭაობიანი ყოფილა. ხოლო აქ გამდინარე მდინარე მალთაყვა ღრმა. მტრების ერთ-ერთი შემოსევისას ადგილობრივმა მოსახლეობამ აქ მოიმწყვდია მომხდურები, რომელთაც სიმწრისგან აღმოხდათ **“მულტა აკუა”** – რაც დიდ წყალს ნიშნავს. მას შემდეგ შემორჩა ამ ადგილს სახელწოდება მალთაყვა.

ნაბადა

ნაბადა – ფოთის ერთ-ერთი უძველესი უბანია. ბევრს ეუცნაურება სახელწოდება ნაბადა. ზეპირი გადმოცემით, კოლხეთის ისტორიის ჩინებული მცოდნე ბესარიონ გოგოლიშვილი ასე ხსნის ამ სახელწოდების წარმოშობას: ქალაქის ამ ნაწილში უსიერი, ნაბადივით შავი ტყე იყო. ამის გამო დაარქვესო – ნაბადა.

– მეორე ვარიანტით: ყულევში იდგა სამხედრო ნაწილი. მათ მდინარეზე ნავით უხდებოდათ გადმოსვლა. რუსებიც ამიტომ ხმარობდნენ სიტყვას “на байду” რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობაში დამკვიდრდა ეს სიტყვა.

– არის კიდევ ერთი თქმულება: ფოთში ყულევის მხრიდან მოდიოდნენ აფხაზები, სწორედ იმ ადგილას ეწერიდან გამოდიოდა ჭაობის შტოებისაგან შემდგარი მდინარე და უერთდებოდა ზღვას შავ. აფხაზეთიდან წამოსულმა მგზავრმა ვერ შეძლო ამ დაჭაობებული ადგილის გადმოლახვა და დაიხრჩო. როდესაც ზღვაზე ღელვა შეწყდა და მდინარე კალაპოტში ჩადგა, ჭაობში იპოვეს ნაბადში გახვეული მგზავრის ცხედარი. ამიტომაც ამ ადგილის შესახებ იტყოდნენ **“იქ სადაც ნაბადიანი კაცი დაიხრჩო”** ანუ ნაბადა.

ნახუტური

ეხლანდელი ნინოშვილის უბნის სასაფლაოს ტერიტორიაზე რუსეთიდან გადმოსახლებული სტაროვერების ხუტორი არსებობდა თურმე. დროთა განმავლობაში ისინი უფრო მალთაყვის უბნისაკენ გადასულან საცხოვრებლად ხოლო ნამოსახლარზე სასაფლაო გაუხსნიათ რომელსაც ნახუტურს უძახიან ხოლმე.

კონსტანტინე ვოლანაკისი, არგო

(1837-1907

პოეზიის კუთხე

კიბე

ვერ მოვიშორეთ ჭირი და სენი,
ვართ მეჯგუფენი, ვართ მედასენი,
ხან რუსოსს ვეტრფით, ხანაც დასენი
მოგვწონს... ხან თვითონ ვმღერივართ გულში,
დღეს გვენატრება, რაც იყო გუშინ
და... მხიარულში გვერევა ქუში.
მიტომაც ასე ვართ გაფანტული,
შემოგვრღვევია ხამლი, ბანდული
და... ქართულს თითქმის არ ჰგავს ქართული.
გადმოპირქვავდა ქორონიკონი,
აქეთ – პეტრენი, იქით – ნიკონი
და... ამ ყველაფერს იღებს “ნიკონი”.
ვინც გაივაკა, წარბი აზიდა,
მას ბევრი უკან მიჰყვა ყასიდად
და... მართალს ამბობს ერთი ასიდან.
აჭრელდა ტექსტი წერტილ-მძიმეთი,
ხან ვაიმეთი, ხანაც იმეთი
და... გვაქვს იმედი მხოლოდ იმ ერთის.
რაც ააღლიტეს ხალხს სამკვიდრონი,
ჩაქრნენ თვალები დიდრონ-დიდრონი,
ხოლო სადგურნი ჩვენნი, ჰიდრონი,
სხვისთვის ავსებენ შუქით ნათურებს.
არც ჰოოპუნას, აღარც ნადურებს
მღერიან სადმე... ხელს აფათურებს
სულში ეშმაკი... ჩუქნის ვაუჩერს,
ვინც ტაშს დაუკრავს, მხარსაც დაუჭერს,
ჩვენ რა ვქნათ, თორემ ეშმაკს რა უჭირს!
მარადქართული კითხვა: “ვისია?”
დღეს იგივეა, რაც “რევიზია”
და ბევრი კიდეც ნანობს, ზიზია
სახლ-კარი რომ აქვს... ახლა ზიზიებს
რომ უთხრა “ოშკი” ან “აზიზიე”,
მეტი რომ არ ვთქვა, თავს გაგისიებს.
თუ ესმის ვინმეს რეკვა ზართანი?..
გარდანქეშანმა მორთო ზღართანი,
როცა აღმოჩნდა ბოლო ზღვართან ის
და გდია გრიმით პირმოთითხნული...
ცერებზე დგება ვიღაც დიდგული,
მისია კიბე, ცისთვის მიდგმული.

ოტი

მოგონებები წყებად მოდიან,
ყურში ნაცნობი ჟღერს მელოდია,
ეკრანზე ისევ ურმას ოტია.
ხელში გვიჭირავს ჭიქა ერთჯერი,
ცივი და მკაცრი, როგორც გლეტჩერი,
გორბაჩოვს ხვდება ლედი ტეტჩერი.
ბათუმში ფიფქი ცვივა ფაფუკი,
პერმში გასტროლებს მართავს კაბუკი,
რუსს ციმორისთვის უნდა ბამბუკი.
ანა, ანიკო – ხდება ანუკა,
ხან შუაში ვართ, ხან – წინ, ხან – უკან
და... კალენდარზე ჩნდება ხანუკა.
ექვსზე დრო არის რიგში დადგომის
ჯვართამაღლების, შობა-აღდგომის
სულისჩამდგმელი გახლავთ... პარტკომი.
მთავარი კერპი ურმას ოტია,
ჩიბუხს გვაბოლებს დიდი ოტია,
ქვეყანა ჯერაც იდიოტია.

რაულ ჩილაჩავა

ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **“ლიბერთი ბანკში”** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-237

ინდოეთის ქალაქ ჰაიდარაბადში გამართულ ეროვნულ სამეცნიერო სიმპოზიუმზე, განხილულ იქნა ქალაქ მოჰენჯოდაროს იდუმალებით მოცული ბედი,– ქალაქი მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენების შედეგად განადგურებულად მიჩნიათ.

სანეკრიტის ტესტებში თურმე აღმოჩნდა მასობრივი განადგურების აპარატების ტექნიკური აღწერილობა და გამოყენების ინსტრუქციაც.

არის ასეთი ლეგენდაც: 15 ათასი წლის წინათ რამას ინდური იმპერია მძლავრი იარაღის აფეთქებით აღგვილია მიწის პირისგან.

ინგლისელმა მეცნიერმა დევიდ დავენტროპმა უძველესი მოაზროვნის მაჰარაჯა შჰარავაჯას წიგნები შეისწავლა და დაასკვნა, რომ არა მარტო ქ. მოჰენჯო დარი, არამედ მდინარე ინდის აუზში მდებარე ქალაქებიც შეიძლება განადგურდა ბირთვული აფეთქებით.

მოჰენჯო-დარის ტერიტორიაზე (თანამედროვე პაკისტანი) თურმე შეიმჩნევა უდიდესი ტემპერატურებისა და დარტყმის უძლიერესი კვალი.

ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანია (თუ ეს ასეა) ის ფაქტი, რომ მეცნიერებმა დაასკვნეს: 15 ათასი წლის წინათ მცხოვრებ ადამიანებს ჰქონდათ ბირთვული იარაღი და მისი გამოყენებით არაერთი ცივილიზაცია უნდა იყოს განადგურებული.

ინდიკო კვეკვესკირი კითხულობს: როგორ მოხვდნენ ძველი იბერიელები მაიასა და ეგვიპტეში, ესპანეთსა და ბაბილონში, სირიასა და ძველ ელადაში, ტიბეტში, მექსიკაში?

როგორც ითქვა: **„საქმე ის არის, რომ 7000 წლის წინ ჩვენს პლანეტაზე მოხდა წარღვნა, რომელმაც აჰყარა ეს სანაშენო ხალხი და მთელს ქვეყანას მოსდო“** (ჯემალ შარაშენიძე, შუმერები და მათი კულტურა, თბ., 1980, გვ. 39-40 და სხვა. ინდიკო კვეკვესკირი, რა საიდუმლოს ინახავს წარღვნამდელი მეტყველების ზოგადიბერიული შიფრი?! გაზ. **„დიოსკურია“,** 2003; მაისი, №19.).

წარღვნის შემდეგ ადამიანთა ახალ საცხოვრებელ ადგილებში დასამკვიდრებლად საჭირო იყო წყალი, სითბო, ბუნებრივი საკვები, რომელიც იმ პერიოდში უპირატესად – შეიძლება ითქვას, მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში იყო და არა ეგვიპტეში და მცირე აზიაში.

* * *

აღსანიშნავია, რომ ქართველური და შუმერული სიტყვების თანადამთხვევაზე, პირველად მნიშვნელოვანი მასალები გამოაქვეყნა დიდმა მეცნიერმა მიხაკო წერეთელმა (ჟურნ. **„გვირგვინი“,** 1912). ამ საკითხზე დიდმნიშვნელოვანი მასალები აქვთ გამოქვეყნებული ჯემალ შარაშენიძეს, ზურაბ ქაფიანიძეს, თეიმურაზ მიბჩუანს და სხვებს. თეიმურაზ მიბჩუანმა ორასი შუმერული სიტყვის თანდამთხვევა გამოამზეურა. ამაში მოულოდნელი არაფერია, რადგან უძველეს დროში ე. წ. შუმერების ადგილებზე **„შუმერების“** მოსვლამდე (შუმერეთის **„შექმნამდე“**) კოლხები ცხოვრობდნენ, რომლებიც, რა თქმა უნდა, მეგრულად მეტყველებდნენ, ამ შემთხვევაში მეგრულ-**„შუმერული“** სიტყვების თანდამთხვევებზე კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, არამედ მეგრულ-შუმერული სიტყვების ერთიანობაზე. ბუნებრივია, ძველ და თანამედროვე მეგრულ სიტყვებსა და გამოთქმებს შორის ერთგვარი განსხვავება არსებობს (მხოლოდ უმნიშვნელო).

არ შეიძლება არ გავიხსენოთ XIX საუკუნის გერმანელი (ებრაელი) არქეოლოგ იულიუს ოპერტის მიერ შუამდინარეთში მცხოვრები მეგრელებისათვის ე. წ. **„შუმერის“ „დარქმევის“** ფაქტი.

სამეგრელოს სახელწოდების ტოლფასი სიტყვაა **„ოდიში“**, რომელიც უთუოდ უკავშირდება მეგრელთა ღვთაება **„ოდის“.** ამასვე ამტკიცებენ ვუკოლ ბერიძე, გიზო ჭელიძე და სხვები. **„ოდიში“** იხსენიება **„ქართლის ცხოვრების“** ფურცლებზე თამარის ისტორიკოსის მიერ. **„რო-დო-იში“ – „ოდიში“** სამეგრელოს სახელწოდებაა. ალბათ, აქედან შეიქმნა უძველესი მეგრული სიმღერა **„ოდოია“.**

როგორც ითქვა, თბილისის დამაარსებელი თუბალების ტომი წარღვნამდელი ხალხი იყო. აგრეთვე, ქართლის დამფუძნებელი ქართებიც ამ დონის ხალხია, ე. ი. ნოეს ეპოქამდელი ხალხი. ამას გარკვევით ამტკიცებენ უცხოელი მკვლევარები. ნათელა ფოფხაძეს ინტერნეტის საშუალებით მოუხმია კომპიუტერული კადრები – **„იუდეური ენციკლოპედიიდან“** და სხვა მრავალი წყაროდან, და ფირზე ამოიღო მასალები ძველი კოლხეთის მთავარი ქალაქის კოლხას, გერმანელი არქეოლოგის იულიუს ოპერტის და სხვათა შესახებ, რომელთა ანალიზის შედეგად აღნიშნავს, რომ **„კოლხა ქართული ლურსმული დამწერლობით – ჩვენი სახელმწიფოს უძველეს დედაქალაქად არის აღიარებული** (ამის შესახებ არსებულ წყაროებზე, ჩვენ ზემოთაც გვქონდა საუბარი). **უძველეს – კერძოდ ლურსმნის მსგავს დამწერლობას მისივე შემქმნელები უწოდებდნენ „ემეგრ“**-ს ანუ **„მეგრელს“.**

როგორც ითქვა, ანმარე მეფის ზეობის ხანა მისივე დროის საბუთებით მოიცავს ძვ. წ. 3185-3120 წლებს. მისი სურათი სამეფო გვირგვინით და კვერთხით. გამოქვეყნებულია ინტერნეტით არაქართველი მკვლევარების მიერ (ნათელა ფოფხაძე, ქიანა ენგურ ანუ სამეგრელო გაზ. **„დიოსკურია“,** 2004, დეკემბერი, №19.). იმ უძველეს დროში ანმარე განაგებდა ვრცელ მიწა-წყალს: სამხრეთით მეგრელთა ყურემდე (თანამედროვე სპარსეთის ყურე), დასავლეთით ნილოსის ხეობის ჩათვლით და სხვა ტერიტორიებს **(„მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე“).** ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები კოლხურ (მეგრულ-ლაზურ) ენაზე მეტყველებდნენ. აკად. თამაზ გამყრელიძე ამბობს: **„მაშასადამე, მედეა და აიეტი, აიას ძველი ხალხი მეტყველებდა მეგრულ-ლაზურის წინაპარ კოლხურ ენაზე. სახელი კოლხური, მართებულად უწოდა ამ წინაპარ ენას აკაკი შანიძემ“.**

ნ. ფოფხაძეს მოტანილი აქვს ადგილი პროფ. მიხაკო წერეთლის ნაშრომიდან, რომელშიც ლაპარაკია ვინმე ებრაელ იულიუს ოპერტზე.

ი. ოპერტის ფოტოსურათი და ბიოგრაფია გამოქვეყნებულია **„იუდეურ ენციკლოპედიაში“** (დაიბადა გერმანიაში, გარდაიცვალა 1905 წელს). ი. ოპერტმა დააარსა მსოფლიო იუდეველთა საზოგადოება და იყო მისი პირველი თავმჯდომარე; საფრანგეთის მთავრობის დავალებით არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა სამხრეთ საქართველოში და სახელი გაითქვა. და აი, ეს მკვლევარი, – წერს ნ. ფოფხაძე, – **„ენგურისა“ და „ინგირის“** ნაცვლად ლურსმულიდან თარგმნისას წერდა **„შუმერეთს“.** ლურსმულ ტექსტში თავდაპირველად ნახსენები ყოფილა **„ენგური“ და „ინგური“,** მაგრამ ი. ოპერტს რატომღაც (ეტყობა, საქართველოთი უკმაყოფილომ) ქვეყნის სახელწოდება **„ენგური“** შეუცვლია სიტყვით **„შუმერი“,** ხოლო ქვეყნის მცხოვრებთა სახელი **„ენგურელები“** – სიტყვით **„შუმერელები“.** ე. ი. ოპერტს სიტყვები **„ენგური“ „ენგურელი“, „მენგურელი“** ანუ მეგრული შეცვლილი აქვს **„შუმერით“.** მის მიერ **„შუმერად“** წოდებული სახელმწიფო არის სამეგრელოს სამეფო (ნ. ფოფხაძე). **„ენგური“, „ეგრი“,** როგორც მდინარის, ისე ქვეყნის სახელწოდებაა (თ. ბერაძე), თავდაპირველად მდინარეს რქმევია **„ეგრი“** (ვახუშტი ბატონიშვილი). **„ქართლის ცხოვრებაში“,** ლეონტი მროველის მიხედვით, **„ეგერი“** ქვეყნის – დასავლეთ საქართველოს სახელწოდება ყოფილა **(„ფარნავაზ მეფედ იქნა ქართლისა და ეგურს ზედა“).** ჩანს, რომ **„ენგირ-ინგირ-ინგური“** უძველესი დროიდან სამეგრელოს ფართოდ გავრცელებული სახელწოდება ყოფილა. ისიც ცნობილია, რომ უძველეს ხანაში მაკრისს ეძახდნენ ეგრიბოსს (აკ. ურუშაძე).

შუმეროლოგი, აღმოსავლეთ ცივილიზაციის ანბანური კვლევის ცენტრის **„შუმერის“** პრეზიდენტი ზურაბ ქაფიანიძე წერს, რომ მეგრულს, სვანურს და ქართულს ერთი ფუძე აქვს, ეს სამივე ერთად არის ის ენა, რასაც შუმერულ ენას ეძახდნენ და არის დღესაც. მეცნიერებს ჰგონიათ,– აგრძელებს ზ. ქაფიანიძე,– შუმერული ენა მკვდარი და ხალხი გადაშენებული. საქართველოში კი ენაც ცოცხალია და ხალხიც, ფართო საზოგადოება ამას არ აქცევს ყურადღებას, პირიქით, ებრძვის კიდეც.

„უცოდინარობისა და საქართველოს დაკარგული ისტორიის ბრალია, რომ მეგრულსა და სვანურს ებრძვიან, თითქოს მეგრულზე თუ გადათარგმნე რამე ან სვანურზე დამთავრდა, იშლება საქართველო“.

მეგრულ და სვანურ ენაზე უნდა ითარგმნოს ყველაფერი, რომ შევინახოთ ეს უძვირფასესი სიმდიდრე, ენა. ერთად ქართულ-მეგრულ-სვანური – ეს ერთი ენის შვილები და შუმერების ენაა, რომელმაც დასაბამი მისცა მსოფლიოს ყველა ენას, კულტურას და რელიგიას.

ჩვენი ისტორია 7600 წელზე მეტი ხნისაა,– თხრობას აგრძელებს ზ. ქაფიანიძე,– საქართველოში ეს კარგად არ იციან და ისიც არ იციან, რატომ არის ქართული, მეგრული და სვანური ერთი და იგივე და, რომ ძველი დაკარგული ისტორიის აღდგენას ებრძვიან და არ უნდათ გაიგონ რაშია საქმე. ეს ერთი დედის შვილები – მეგრულ-სვანურ-ქართული – ძვირფასი შუმერული ენა უნდა შეუნახოთ თანამედროვე და მომავალ თაობას (ზურაბ ქაფიანიძე, რატომაა ქართული, მეგრული და სვანური ერთი და იგივე, გაზ. **„ჯორჯიან თაიმსი“,** 2005, 8-15 სექტემბერი, №35 სხვა შრომებთან ერთად ზ. ქაფიანიძეს აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს საინტერესო ნაშრომი **„შუმერული ანბანი“** თანაავტორობით) და სხვა ასევე მრავალი საგაზეთო სტატია.). (ყველაფერ ამაზე ზ. ქაფიანიძე უფრო მკაცრი ტონით საუბრობს).

ზურაბ ქაფიანიძე წერს: **„შუმერების ანბანი ქართული ასომთავრულია. ეს არის ჩემი ხალხის დედა ენა, ჩემი ქვეყნის კუთვნილება, ჩვენი მემკვიდრეობა და სწორედ მასშია ყველა საკაცობრიო სიბრძნე“.** შემდეგ მიუთითებს: ჩვენი აღმოჩენით ვამტკიცებთ, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე ხდება ჩვენი სამშობლო. ამას ისიც ემატება, რომ ხეთები, კაბადოკიელები, ლაზები, ჭანები ჩვენი ნათესავები არიან... საქართველოს დაკარგული ისტორიის აღდგენა ნიშნავს, აღადგინო კაცობრიობის ისტორიის სათავეები. სწორედ ასეთ ურთიერთკავშირშია საქართველოს და **„კაცობრიობის ისტორია“.**

ქართველ მეცნიერთა **„მამები“** (რა თქმა უნდა ყველა არა, ერთი ნაწილი) მხარს არ უჭერენ ზურაბ ქაფიანიძის და თემურაზ მიბჩუანის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის დასკვნას, რომ **„შუმერული ანბანი ქართული ასომთავრულია“,** რადგან ფიქრობენ, რომ ამ ჭეშმარიტების დამტკიცება ჩრდილს მიაყენებს მათ მეცნიერულ შეხედულებებს.

ზ. ქაფიანიძე ერთ-ერთ ინტერვიუში, თავის ოპონენტების შესახებ ამბობს: **„ვიწვევდი კამათში – კვლევა თუ სუსტია გამაკრიტიკეთ! მეცნიერულად თუ არ ვარგა, თქვით, რომ არ ვარგა! დაასაბუთეთ და მითხარით რა არ მოგწონთ! ვერაფერს მეუბნებიან, ვერ ასაბუთებენ! არადა, უფლებები მათ ხელშია და არ უშვებენ“.** („**საქართველოს მარადიული გადარჩენის გზა და რატომ არ გინდათ დაიჯეროთ ეს?“** გაზ. **„ასავალ-დასავალი“,** 2010, 15-21 თებერვალი, №7, (დასაწყისი №7-ში), გვ.27. ზ. ქაფიანიძეს ესაურა ჟურნალისტი ქეთევან ხამიცაშვილი.) ქართველ მეცნიერთა **„მამები“,** უკანასკნელ წლებში, ის რაც არ მოსწონთ (მნიშვნელობა არა აქვს კარგია თუ ცუდია), დუმილით ხვდებიან, ხმას არ იღებენ და ამით იგნორირებას უკეთებენ ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას. ზ. ქაფიანიძის აღმოჩენა საქართველოს ღირსებაა – იციან, რომ სიმართლეს წერს, მაგრამ მაინც არ უჭერენ მხარს. ზ. ქაფიანიძემ თავის ინტერვიუში სათაურად გაუშვა უდაო დებულება: **„საქართველოა მარადიული გადარჩენის გზა და რატომ არ გინდათ, დაიჯეროთ ეს?“.** ზ. ქაფიანიძე აგრძელებს: **„ამერიკელებმა, ინგლისელებმა, ფრანგებმა გადათხარეს ერაყი, მაგრამ რასაც ერაყში ეძებენ საქართველოშია, რომ შუმერეთი სამეგრელოა, რომ პირველი ენა, პირველი ანბანი, ქართულ-კოლხურია, პირველი დამწერლობა ქართულ-კოლხურია, მსოფლიოს ცივილიზაცის აკვანი საქართველოა (კოლხეთია). ქართველ მეცნიერთა „მამები“ სანამდე დამალავენ ამას – მუდმივად ამის დამალვა შეუძლებელია. მას მზის შუქი მოეფინება. ამას გააკეთებენ ზურაბ ქაფიანიძე და მისი მსგავსი უშიშარი ქართველი რაინდები. ყველაფერი ამას – ამ უდიდესი აღმოჩენების აღიარებას, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ქართველი რაინდი ზ. ქაფიანიძე (ამბობს, რომ მოვხუცდიო) და ამ შეხედულების დღევანდელი გამზიარებლები, შეიძლება ვერ მოესწრონ, მაგრამ ჭეშმარიტების თესლი ღვივდება და წარმატებით ამობიბინდება მსოფლიოს დასანახად. ზ. ქაფიანიძე ხაზგასმით წერს „საქართველოა კაცობრიობის ისტორია“... ამერიკელი შუმეროლოგი კრამერი აღნიშნავს: „შუმერები წარღვნამდე ზეციდან მოვიდნენ და დაარსეს ხუთი ქალაქი: ერიდუ, ბადითბირა, ლარაკი... ეს შუმერული, იგივე მეგრული ქალაქებია... რასაც ეძებდნენ ერაყში. აგერ არ არის!“** – ასკვნის ზურაბ ქაფიანიძე. აქვე ჩვენ ისიც ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველები კი არ არიან **„შუმერების პირდაპირი შთამომავლები“,** არამედ, პირიქით, **„შუმერები“** არიან ქართველების (კოლხების) **„პირდაპირი“** შთამომავლები.

„ჩვენ არ უნდა დაუშვათ, რომ მეგრული ან ნებისმიერი სხვა კოლხური ენა გაქრეს. ეს დანაშაული იქნება არა მარტო გეორგიანული მოდგმის, არამედ კაცობრიობის წინაშე“ – წერს საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, კ. ნადარეიშვილი.

უფრო გვიან, 2010 წლის მაისში, ზურაბ ქაფიანიძე ხაზგასმით წერს: **„ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შუმერების ენა და ხალხი ცოცხალია! ესაა საქართველო ენითა და ხალხით! დიახ, საქართველო არის ცივილიზაციის სათავე და ამის მოსპობა უნდათ!“**

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ქართველები ქართულ ენაზე, როგორც მეტყველებენ, ისე წერენ. მსოფლიოში ცნობილი 14 დამწერლობიდან, ქართული ენა ენათა შორის დედა ენაა. მეცნიერებაში დადასტურებულია, რომ მხოლოდ ქართული ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურა იძლევა საშუალებას უნაკლოდ განხორციელდეს ზეპირი სიტყვიერი დიალოგი, ამიტომ ამბობენ, რომ ქართული ენა არის სამყაროს ენა.

ბარონ ფონ ლისტენბერგი წერს: **მე დაუფლებული ვარ მსოფლიოს ბარე ოცდაოთხ ენასა და ასეთი ლამაზი ასოები, ასეასეთი პრაქტიკული ზუსტად გამომხატველი ყოველი ბგერისა, მე სხვა ალფავიტი არ მეგულება.**

პეტრე უსლარი ამბობს: **ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილია არსებული ალფავიტებს შორის; ხოლო პროფესორი რიჩარდ მეკელაინი (ქართველოლოგი) მიუთითებს: გამოხატვის საშუალებებით ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია, ის სიტყვის მარაგით არ ჩამოუვარდება ყველაზე უფრო განვითარებულ ენებს; ასევე, ცნობილი ქართველოგი, პროფესორი, რენე ლაფონი აღნიშნავს, რომ ქართული ენა მშვენიერი ენაა, ზუსტი და მოქნილი, ორიგინალური.**

ლეიბნიცი აცხადებდა, რომ ის გააოცა ქართული ენის დროთა და კილოთა სიუხვემ, ჩვენი თანამემამულე, აშშ-ში მოღვაწე, პროფესორი, დოდონა კიზირია ამბობს: **ქართული ენა მსოფლიოს მერვე საოცრებაა.**

ჩვენი მხარის, მეფის ანმარეს დროსაც და შემდგომ ათასწლეულებშიც **„ქიმეთ-ქიმეთი“** ერქვა. აღსანიშნავია მეგრულ-სვანური სიტყვა **„ქი“, „ქიმ“** რომელიც ქიმეთშიც (ქემეთშიც) მიწას, ქვეყანას, სახელმწიფოს ნიშნავდა (ასევე, მეგრულ-სვანურში-ქიმეთი ნიშნავს გეორგიას).

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ?

რაც უფრო გვიახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, მით უფრო დიდია იმის ინტერესი, თუ ვინ გახდება საქართველოს მომავალი პრეზიდენტი. მსურველი იმდენია, დასათვლელად თითები ხელსა და ფეხზე არ გვყოფნის. საზოგადოებას სურდა, რომ შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატთა შორის აშკარა ფავორიტები პოლიტოლოგი ბატონი ალ. ჭაჭია და მომღერალი პაატა ბურჭულაძე ეხილათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ორივემ თავი შეიკავა...

საქართველოში საპრეზიდენტო ინსტიტუტის არსებობის მოკლე პერიოდში პირველად იქნა გამოთქმული მოსაზრება ხელოვანის (მომღერლის) პრეზიდენტის კანდიდატად წამოყენების თაობაზე. ესეც ერთგვარად წინ გადადგმული ნაბიჯად ჩაითვლება. მუსიკოსების, მწერლების, მხატვრების, ჟურნალისტების რიგებიდან ადრე არავის რგებია ამგვარი პატივი.

ბევრი ფაქტორი ქმნის წინაპირობას საზოგადოების სურვილისა, რომ შემოქმედი გახდეს ქვეყნის პირველი პირი. მსოფლიოში ამგვარი პრაქტიკა არსებობს და საკმაოდ წარმატებულიც.

სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში თუ ვინმე, დაიჩაგრა, უპირველესად – შემომქმედებითი ინტელიგენცია. სწორედ ისინი მოჰყვნენ **„ნაცების“** უგუნურების **„წნეხში“**, სწორედ მათ შეეხო წინა ხელისუფლების **„შხამიანი“** განაჩენი. ყოფილი ხელისუფლება ყინულის კედელით გაემიჯნა ღვაწმოსილ ადამიანებს და დაივიწყა კი არა, ისეთი რამ აკადრა მათ, რომელიც არ ჯდება არც ქართულ ტრადიციულ მენტალიტეტში და არც ზრდილობისა და ქცევის ფარგლებში.

ერთხელ დავწერე და მინდა გავიმეორეო: პრეზიდენტს კაბინეტში უკიდია ერის ღირსეული შვილის ილია ჭავჭავაძის პორტრეტი. ეტყობა იგი არასდროს შეჩერებულა ამ პორტრეტთან და ერთხელაც არ დაფიქრებულა, თუ როგორ დაგვმოძღვრა იმ დიდებულმა ადამიანმა. არც ფრანცისკო გოიას ნააზრევი იცის, რომელიც ამბობს: **„გონებას მოკლებული ფანტაზია ურჩხულებს ქმნის; გონებასთან შეერთებული ფანტაზია კი ხელოვნების მშობელი დედა და მის სასწაულთა წყაროა.“**

სააკაშვილსა და მის მოძალადე ხროვას **„გონებას მოკლებული ფანტაზია“** აწუხებდათ, თორემ, მათ მოსწონდათ თუ არ მოსწონდათ, ერს ვინც ჰყავდა და ჰყავს ღვაწლმოსილი ადამიანები, სწორედ მათ არგუნა უფალმა უფროს თაობად ყოფნა და საზოგადოებას დაავალდებულა მათი დაფასება.

უბრალოდ, განსაცვიფრებელია, რად არ მოსწონდათ **„ნაცებს“** და მათ ლიდერს ჩვენი წარსულის დიდების გვირგვინად ქცეული ქართული ფილოსოფიური აზროვნების კორიფე – იოანე პეტრიწი, ან დოგმატური ქრისტიანული მსოფლმხედველობის დამცველი პეტრე იბერი, ან ამ კორიფეების ნაღვაწზე აღზრდილი ჩვენი კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი ქართულ აზროვნებასა და შემოქმედებას?

ღიმილისმომგვრელი ფორმალობა გახლდათ სააკაშვილის მიერ საპრეზიდენტო ფიცის დადება დავით აღმაშენებლის საფლავთან, თორემ, განა აღმაშენებელმა არ გააღრმავა საგანმანათლებო საქმე საქართველოში, განა მან არ შექმნა ახალი საგანმანათლებლო კერები (გელათი) და სხვა ჩვენს სათაყვანებელ მიწაზე? გეგმაზომიერად რად ანგრევდნენ და შეგნებულად რად აუფასურებდნენ მე-20 საუკუნის მოღვაწეთა საქმიანობას **„ნაცები“**? განა მათ მხრებზე არ გადაიარა ქართული კულტურისა და სულიერების სიმძიმემ იმ მძიმე წლებში, როცა ხელთუქმნელი ძეგლის შემქმნელისათვის შეიძლებოდა მკლავი მოეჭრათ? რად ამოჭრა პანღური სააკაშვილმა და მისმა უგუნურმა და უმადურმა ამფსონებმა იმათ, ვისგანაც ეზიარნენ სწავლა-განათლებას?

მხოლოდ თავხედი და მატრაკვეცა თუ იტყვის, რომ კომუნისტური ყოფის ქართული აზროვნება და ხელოვნება, მხოლოდ ვიწრო პარტიული მსოფლმხედველობას ემსახურებოდაო. ამის საპირისპიროს საილუსტრაციოდ კმარა ტაბიძის, გამსახურდიას, ხორავას, თაქთაქიშვილის, თოიძის და სხვათა მსოფლიოში აღიარებული ნაღვაწი.

როდის იწყება ადამიანის გადაგვარება და დეგრადაცია? როცა უგრძნობია, როცა იგი სულით ბინძურია, როცა ხელეწიფება ყველაზე წმინდას შებღალვა.

ერთი კანონზომიერება მყარად მოქმედებს – ვინც გაემიჯნა ხელოვნებას, ვინც ხელჰყო სულიერება და შემოქმედება იგი სატანას ემსახურება. საქართველო კი ოდითგან ითვლებოდა მოწინავე იდეების ქვეყანად. ამაზე მეტყველებს მრავალი რამ, განსაკუთრებით კი ეს შუა საუკუნეებში დადასტურდა, როცა ევროპაში, სარწმუნოებრივი საკითხებში დადგენილი წესებიდან სულ მცირე გადახვევისთვის, ინკვიზიცია კოცონზე წვავდა ასეულობით ადამიანს. უმეცრებასა და ფანატიზმს ფრთები ჰქონდათ გაშლილი, ჩვენში კი სრული ჰარმონია სუფევდა. ცნობილია, რომ ინკვიზიციის უმაღლესი მიზანი გაცხადებული იყო იეზუიტთა ორდენის წესდებაში: **„თუ ეკლესიამ დაადგინა, რომ ნივთი, რომელიც თეთრად გვეჩვენება, შავია, მაშინვე შავად უნდა ვაღიაროთ“**. ამ საბაბით ცეცხლზე წვავდნენ მწერლებს, სწავლულებს, მეცნიერებს, და ე.წ. რწმენის აქტი – აუტოდაფე, ტარდებოდა საჯაროდ, თითქმის საზეიმო ვითარებაში.

მითხარით ბატონებო! ცეცხლზე დაწვის გამოკლებით, სხვა რა დააკლო სააკაშვილის ხელისუფლებამ შემოქმედ ადამიანებს?... ხომ წაართვა თავშეყრის სახლები, გაუყიდა სამკურნალო დაწესებულებები, გააუქმა ჟურნალ-გაზეთები, აკადრა უკადრებელი! **„ჩარეცხილები“, „ჯუჯაები“** და **„მიტმასნილები“** უძახა: ჭაბუა ამირეჯიბს, რეზო ჩხეიძეს, ნონა გაფრინდაშვილს, რობერტ სტურუას, ანა კალანდაძეს, ოთარ მეღვინეთუხუცესს, ივანე კიღურაძეს და სხვა ღვაწმოსილ ადამიანებს, რომელთა შრომის შედეგია ჩვენი ერის შემოქმედებითი წარმატებები. ალბათ კარგა ხანს წელში ვერ გაიმართება დაბეჩავებული და ბედის ანაბრად მიგდებული ქართული კულტურა და ხელოვნება.

ამ მდგომარეობაში პაატა ბურჭულაძისა და ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას კანდიდატურების წამოყენება იქნებოდა შველა მოსახლეობის ყველაზე ინტელექტუალურ ნაწილისთვის, რომელსაც პირობითად ინტელიგენციას უწოდებენ. არა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მზად იყო მათთვის დაეჭირა მხარი. იქნებ წინასწარ იგრძნეს, რომ ივანიშვილი ასე ნაუცბადევად წავიდოდა, რაც აუცილებლად შექმნის პრობლემებს ქართულ პოლიტიკაში.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ევროპული და ამერიკული უხამსი, ჩვენი კულტურისა და ტრადიციებისთვის მიუღებელი ყოფის **„კოპირების“** მოსურნე **„სააკაშვილები“** აცხადებენ, რომ გვეზიზღება სიტყვა **„ინტელიგენტი“**, რადგან იგი რუსული წარმოშობისაო. დიახ, რუსული წარმოშობისაა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს იმას თუ სად იშვა ესა თუ ის სიტყვა, თუ მან სიცოცხლე შეიძინა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა?! ამ სიტყვაში მოიაზრება სამეცნიერო-ტექნიკურ, მეცნიერულ-ჰუმანიტარულ, კულტურის, ხელოვნებისა და სხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები.

ჩვენში მიღებული საერთაშორისო სიტყვები ან ბერძნულია, ან რომაული, ან არაბული, ან ლათინური და ასე შემდეგ. განა შეიძლება, რომ ისინი წარმოშობის მიხედვით გვძულდეს ან გვიყვარდეს?

ერთი უმეცარი **„ნაციონალი“** წერს **„ფეისბუქზე“**: **„იმ სიის გამოქვეყნებამ, ვინც წლების განმავლობაში დახმარებას იღებდა ფონდ „ქართუსაგან“, ჩემთვის ნათელი მოჰფინა ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას და მიმახვედრა, თუ რატომაა, რომ ქართველი ეგრეთ წოდებული ინტელიგენცია ბოლო წლებში მნიშვნელოვანსა და ღირებულს არ ქმნის“**-ო. დახეთ, რა მიხვედრილი გულთმისანი ყოფილა ეს **„მიშისტი“**?..

მე არ ვიცნობ იმ სიას, ვის ეხმარებოდა ბანკი **„ქართუ“**. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, ვინც დახმარებას იღებდა, მათი უმრავლესობა ასაკოვანი ადამიანები იყვნენ და არ შეეძლოთ გაუსაძლისი ცხოვრების პირობები დაძლევა. ისინი იყვნენ ის შემოქმედნი, რომლებმაც უკვე თქვეს საკუთარი **„სათქმელი“**, **„დაიხარჯნენ“** და გაუსაძლის სიბერეს იმსუბუქებდნენ ქველმოქმედებით, რადგან ისინი სააკაშვილის ხელისუფლებას ჩალის ფასადაც არ უღირდა.

როცა საუბარია **„შემწეობის“** ანუ **„სტიპენდიის“** დაყვედრებაზე, იმაზე, რომ მათ თითქოს ჰქონდათ შექმნილი ლაღი ცხოვრება და არ ესაჭიროებოდათ შემოქმედებითი საქმიანობაო, ეს ხომ მტკნარი სიცრუეა. ამ მონაჩმახის თავხედი ავტორი ერთ სიტყვას არ დაიცდენს ბაგიდან, თუ რატომ გაიკრიფნენ ნიჭიერი შემოქმედნი საზღვარგარეთ? რატომ იყო **„ჩაწიხლული“** მართალი სიტყვის მთქმელი? რატომ იყო იგნორირებული ყველა ხელოვანი და ასე ცინიკურად რატომ დახვრიტეს ქუჩაში ცნობილი მეცნიერი და მწერალი გურამ შარაძე? რატომ მოიკლა თავი ათობით მწერალმა, მხატვარმა მუსიკოსმა?.. რატომ ხარჯავდა სააკაშვილი მილიონებს, მის **„მესაწოლე ხელოვანზე“** და საზღვარგარეთიდან **„ჩამოთრეულ“** საეჭვო ყოფაქცევის ადამიანებზე, და რატომ არ შეძლებოდა გარკვეული სუფსიდია გამოეყო სახელმწიფოს 70 წლს გადაცილებულ შემომქმედზე, როგორც ეს ბევრ ქვეყანაში ხდება?

ერთი დემაგოგი **„ფეისბუქელი“** აცხადებს, რომ ღვაწლმოსილი შემოქმედებით ინტელიგენციის წარმომადგენლები საბჭოთა მენტალიტეტის მატარებლები არიან და ამიტომ გამართლებულიაო მათი უარყოფაო. **„საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციას კოლექტიური მეხსიერების შენახვისა და გადაცემის ფუნქცია ეკისრებოდაო“.**

უფალო, გვიხსენი ამ ცინიზმისაგან! განა მატერიალური დაინტერესების გამო ქმნიდნენ შედევრებს გალაქტიონი, ტერენტი გრანელი, გოგლა ლეონიძე, გურამ ფანჯიკიძე და სხვები?

განა მკრეხელობა არ არის იმის თქმა, რომ **„დასავლეთში არ გადის ჩვენი სულიერი პროდუქცია და მხოლოდ რუსეთში იყიდებაო“?!** ამიტომ, თითქოს, მხოლოდ რუსული გვენატრებაო. თურმე, გამომდინარე აქედან, ყველაფერ რუსულზე უარი უნდა ვთქვათ და მხოლოდ ამერიკული და ევროპული ღირებულებები მივიღოთ. **„თურმე კულტურულ და რელიგიურ ფუნდამენტალიზმს, იზოლაციონალიზმს, ქსენოფობიასა და რასიზმს ვართ ამოფარებული და ვაჟკაცობისა და ქალიშვილობის ინსტიტუტის სადარაჯოზე ვდგავართ“!**

რასაკვირველია, ამგვარმა იდეოლოგიამ უკვე **„ჩაყვინთა“**. ნაცების ამგვარი ყალბი მოწოდება წყალმა წაიღო. მათი ფარისევლური მორალი ყველაზე უფრო დაცულად და კომფორტულად სიბინძურის პროპაგანდასა და ყველაფერ ამორალურის ხელაღებით მიღებაში იყო დაცული (ჰომოსექსუალიზმი, გარყვნილება, ტრადიციების უარყოფა, რელიგიური ავანტურა), მაგრამ, უფლის წყალობით, ერი გონიერია, იცის რა მიიღოს და რა არა.

სავსებით ვეთანხმები ავტორს, რომელიც წერს **„საქართველოს ახასიათებს ის, რაც სრულიად ბუნებრივია ყველა კულტურული სახელმწიფოსათვის: მას არ შეუძლია სხვათაგან იზოლირებულად ცხოვრება, პირუკუ, აქტიურ ურთიერთობათა და კულტურულ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლით მუდამ იმაღლებს საკუთარ კულტურულ დონეს, ადგილობრივ ნიადაგზე გადახარშავს ყველაფერს, რასაც სხვათაგან იღებს და ქმნის საკუთარს, ქმნის ისეთ კულტურულ ფენომენს, რომელსაც აშკარად განსხვავებულია და ქართული ჰქვია“.**

მიუღებლის ძალადობრივი მეთოდებით თავზე მოხვევა არ გამოვიდა. არც გამოვა, თუმცა, მიზნის მისაღწევად **„ნაცებმა“** ცხოვრების ყველა სფეროდან 40 წელს გადაცილებული ადამიანი გააძევეს. განათლების სისტემა გადასცეს ამერიკის სასწავლებლის კურსდამთავრებულებს. უარი თქვეს უფროსი თაობის გამოცდილ პროფესორ-მასწავლებლებზე (გარდა სააკაშვილის დედისა), გარიყეს რეჟისორები და შემოქმედებით ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამ ნაბიჯებით დაიწყო განათლების დეგრადაცია. ევროპიდან ჩამოიყვანეს უმუშევარი, საეჭვო ყოფაქცევის მქონე ინგლისურის **„მასწავლებლები“**, მოახდინეს ინფორმაციის საშუალებების მონოპოლიზება. მოინდომეს დაემკვიდრებინათ თავისუფალი ცხოვრების სტილი, გააქტიურეს სექსისა და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა, უარი თქვეს ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დაცვაზე, მართმადიდებლური ღირებულებებზე, როგორც **„არქაულსა“** და **„ჩამორჩენილზე“**. გამოაცხადეს ყველა უცხო ფსევდორელიგიური სექტების მიმართ **„ღია კარის“** პოლიტიკა.

ქართველი ხალხის გაბითურება ასე მარტივად არ ხერხდება. თუმცა, **“ნაცებმა”** მოინდომეს ერის გახლეჩა, შეიმუშავეს და დანერგეს ეროვნული თვითშეგნების დათრგუნვის ტექნოლოგიები, რასაც ანალოგი მხოლოდ გერმანიაში, ფაშიზმის დროს, ჰქონდა. ამიტომ გაემიჯნა ხალხი ყოფილ ხელისუფლებას.

ამ გაუსაძლისი მდგომარეობის შემსუბუქებას ცდილობს ივანიშვილის ხელისუფლება, თუმცა გასაკეთებელი ჯერაც ბევრია. ამიტომ, მსოფლიოში აღიარებული ხელოვანის პაატა ბურჭულაძის, ან ცნობილი პოლიტიკოსის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას არჩევა პრეზიდენტად, იქნებოდა შემოქმედებითი ინტელიგენციის არა მხოლოდ გადარჩენის საშუალება, არამედ ახალი შემოქმედებითი მიღწევების დასაწყისი.

თუმცა ბედი არ გვწყალობს.

მწერლისა და კრიტიკოსის თამაზ წივწივაძის ახლახან გამოთქმული მოსაზრებას ვემხრობი: **„ბატონი ბიძინა, სად მიდიხართ, თუ კაცი ხართ – ახლა უნდა მოდიოდეთ და თქვენ მიდიხართ?“**

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ,
ᲐᲙ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ

“ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲐ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲙᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲦᲔᲑᲔᲜ, ᲐᲠ ᲒᲐᲓᲛᲝᲓᲘᲡ”

ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი თამაზ ბაკურიძე აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ავთანდილ ბერიძეს პატივმოყვარე და ახირებულ ადამიანად ახასიათებს.

“ეს კაცი ასეთია, სამსახურში მანქანით რომ მივა, სანამ კარს არ გაუღებენ, არ გადმოდის, სანამ დაცვა შენობის კარს არ გაუღებს, გარეთ არ გამოდის სამსახურიდან. არადა, ბერიძე ასლან აბაშიძეს აკრიტიკებდა, ზედმეტად თავმოყვარეაო. ასლანის კაბინეტში რომ შეხვიდოდი, არ არსებობდა, ფეხზე არ წამომდგარიყო. ის არც მანქანიდან გადმოსვლისას ელოდებოდა დაცვას. ხან დარეკვა ავიწყდებოდა, თუ მანქანა არ იყო, დაადებდა თავს და სამსახურში ფეხით მიდიოდა. ამის მერე შეფუცხუნდებოდნენ ხოლმე და იყო ერთი ამბავი. ახლა თანამდებობრივი კუთხით თუ მივუდგებით, ბერიძე ასლან აბაშიძის რანგის მოხელეა და როგორც კი მოჯდა, რა დაიწყო? ჟურნალისტების გამოყრა, თუ პრესკონფერენციაზე ვინმეს დააგვიანდა, აღარ უშვებს. ამ 10 თვის განმავლობაში ყველაზე მეტი გაუგებრობა ჟურნალისტებთან, გაწევ-გამოწევა და უბედურება ამას აქვს. გარდა ამისა, ხდება სასაცილო რამ, ბერიძის უნიჭო და უშინაარსო პრესკონფერენციებს აჭარის ტელევიზია გადასცემს პირდაპირ ეთერში. ვერ გავიგე, ვის რაში აინტერესებს საქართველოს სხვა კუთხეებში ბერიძის ერთკვირიანი მუშაობის შედეგები? ის არ ჯდება სამსახურის მანქანაში, თუ არ არის მისი ნომერი “001”, სწორედ ამაზე ამბობენ აჭარაში, უნახავმა რა ნახაო...”, – აცხადებს ბაკურიძე.

აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი აცხადებს, რომ ავთანდილ ბერიძე ძმები ბერძენიშვილების გუნდის წევრია და თანამდებობას მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს უნდა უმადლოდეს, ვინაიდან ბათუმში ავტორიტეტით არასდროს სარგებლობდა.

“ავთანდილ ბერიძე და ძმები ბერძენიშვილები არიან ერთ “სასტავში” და იმთავითვე ებრძოდნენ ასლან აბაშიძეს. ესენი ხალხში რაღაც ავტორიტეტით არასდროს სარგებლობდნენ, რომ არა ივანიშვილი, ვერც ბერიძე გახდებოდა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და ვერც დანარჩენები მიიღებდნენ სკამებს”, – ამბობს ბაკურიძე.

როგორ ჟურნალისტები გვაცნობებენ, 15 სექტემბერს ბათუმში საერთაშორისო კინოფესტივალი გაიხსნა, სადაც სიტყვით ავთანდილ ბერიძე გამოვიდა, რომელიც ტრიბუნასთან **”მექოლგელაქიასთან”** ერთად მივიდა. ამ ამბავს სოციალურ ქსელებში ინტერნეტ-მომხმარებლები ორი დღის განმვლობაში აქტიურად განიხილავდნენ.

ორი კვირის წინ პრესა წერდა, რომ ხშირად ავთანდილ ბერიძე ბათუმის ბულვარში მანქანით დადის. გარდა ამისა, ინტერნეტით გავრცელდა ბათუმის ლეიბორისტული პარტიის წევრის, დავით რობაქიძის მიერ გადაღებული ფოტო, სადაც ავთანდილ ბერიძის მანქანა, ბულვარში მანქანებისთვის აკრძალულ ტერიტორიაზე დგას. მოგვიანებით ავთანდილ ბერიძის პრეს-სპიკერმა, მარინა კუპრეიშვილმა ამ ფაქტის თაობაზე განაცხადა, რომ ავთანდილ ბერიძის დაცვის სამსახური არის VIP და ნებისმიერ ადგილას მისვლის უფლება აქვს.

ᲡᲐᲙ.ᲘᲜᲤ.

ჭიდაობის საკრალური ძირები

ქართველი ერი უძველეს დროში სხვა ფასეულობებთან ერთად ქმნიდა სპორტულ და მოძრავ თამაშებს: ლელო და ისინდი, ცხენბურთი და მარულა, ყაბახი, დოღი, ფარიკაობა, მშვილდოსნობა და მრავალი სხვა, რომლებიც ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეს ემსახურებოდნენ.

ქართველებს განსაკუთრებით უყვარდათ და უყვართ ჭიდაობა.

თაობიდან თაობას გადაეცემოდა ჭიდაობის ილეთები, იხვეწებოდა და მდიდრდებოდა ფანდების არსენალი, მაგრამ არ იცვლებოდა ჭიდაობის შინაგანი ბუნება – ჰუმანურობა, მოწინააღმდეგის ღირსების პატივისცემა.

ჭიდაობისას ამაღლებული სულისა და სიჩაუქის გამოვლენა ხიბლავს მაყურებელს. ჭიდაობის ამ ბუნების გამო, საქართველოში ყველა ჯანმრთელი მამაკაცი ჭიდაობდა და მაყურებელი გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც პატივს ერთნაირად მიაგებდა.

თავდაპირველად ჭიდაობას საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა და მისი დანიშნულება ღვთაებებთან კავშირის დამყარება იყო, გარესამყაროსთან ჰარმონიული თანაცხოვრების მიზნით.

უძველეს დროში ჭიდაობის არსებობაზე მიუთითებს უამრავი არქეოლოგიური მონაპოვარი, ეთნოგრაფიული მასალა და ლიტერატურულ-ისტორიული წყაროები.

საყურადღებოა ის, რომ ეს მასალები მოპოვებულია პროტოიბერიელთა განსახლების მთელ არეალზე. მათი განსახლების არეალი კი მოიცავდა პირენეის ნახევარკუნძულს, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებს, იტალიას, საბერძნეთს, ეგეოსის ზღვის აუზს, კავკასიას, მცირე აზიას... ერთი მოდგმისა და მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ბასკებს, ეტრუსკებს, პელაზგებს, კოლხებს, მოსხებსა და სხვა ქართველურ ტომებს ჰომოგენური მსოფლმხედველობა ჰქონდათ და ამიტომ მათ მიერ შექმნილი უძველესი ცივილიზაცია და კულტურა ერთგვაროვნებით ხასიათდება.

პროტოიბერიელთა მოდგმის დასუსტების შემდეგ მათ საცხოვრისს ინდოევროპული ტომი დაეპატრონა, რომელმაც აბორიგენი მოსახლეობის ასიმილაციის პროცესში მათი ცივილიზაციის და კულტურა აითვისა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

შლიმანისა და სხვათა არქეოლოგიურმა გათხრებმა და აღმოჩენებმა დაადასტურა ევროპელი დიდი მეცნიერების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ელინებამდე არსებობდა უფრო ძველი ცივილიზაცია, რომ ელინებმა ზოგიერთი ღმერთი და მითი პროტოიბერიელთაგან გადაიღეს და გააბერძნულეს.

შემორჩენილია ეტრუსკთა მიერ კედელზე დახატული ფალავნები ჭიდაობისას...

შემორჩენილია კუნძულ კრეტაზე მინოსის სასახლეში კედელზე გამოსახული ხართან შერკინების სცენები...

ანატოლიაში არქეოლოგებმა იპოვეს დიდი სტელა (ჩვ. წელთაღრიცხვამდე 250 წელი), რომელზეც გამოსახულია შერკინების მომენტი და იგი ძალიან წააგავს ქართულ ჭიდაობას...

მესოპოტამიაში ნაპოვნია ბრინჯაოს მცირე პლასტიკა (ჩვ. წელთაღრიცხვამდე 2.600 წელი), რომელსაც **"შუმერ მოჭიდავეებს"** უწოდებენ.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, შუმერი მოჭიდავეების დგომა და ხელის ჩავლება ძალიან გვაგონებს ქართულ ჭიდაობას. გარდა ამისა, **"შუმერ მოჭიდავეებს"** საკულტო დანიშნულება ჰქონდათ, რაზეც მორკინალთა თავებზე დადგმული ბარძიმები მეტყველებენ.

ბატონი კ. კოღუა მიუთითებს, რომ შუმერთა ენაზე ჩაჭიდება, ჭიდება გადმოიცემა სიტყვა **"გიდ"**-ით. რადგან შუმერულში დამწერლობის ნიშანი **"ჭ"** არ გადმოიცემა, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **"ჭიდ"** და **"გიდ"** ერთიდაიგივეა. შუმერულად **"გიდ"**, **"კოდ"**, ქართულად **"გდება"**, **"მოკიდება"**, **"ჭიდება"** (კ. კოღუა, **"საინტერესო ნაპოვნი"**. ჟურნალი **"დროშა"**, 1962 წ. გვ. 4).

ბატონი ვ. ელაშვილი თავის პედაგოგიურ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევაში, იმოწმებს რა ავტორებს, აღნიშნავს, რომ შუმერი მოჭიდავეები იყენებდნენ ისეთ ილეთებს, რომლებიც ქართული ჭიდაობის ილეთებია და რომ შუმერული და ქართული სიტყვები, რომლებიც ტანის ნაწილებს და ილეთის სახელწოდებებს აღნიშნავენ, თითქმის ერთნაირად ჟღერენ (**В. Элашвили, "Традиции грузинской народной физической культуры и современность", Тб. 1973 г. стр. 116**).

შუამდინარეთში აღმოჩენილ სტელაზე გამოსახული რკინების მომენტი ძალიან ჰგავს ჭიდაობის სვანურ ვარიანტს **"ლიბურგელს"** და **"ლიბურძგვალს"**, რომლებიც გუნდური ჭიდაობაა (**В. Элашвили, "Традиции...** იქვე).

ჭიდაობის საუკეთესო ვარიანტებია ხევსურეთში: **"მოშ და მოშ"**, **"მუქასრისა ხელის ჩავლებით"**, რაჭაში **"ღოჯური"**, მთიულეთში **"მთიულური"**.

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ **"მთიულურს"** ქალებიც ჭიდაობდნენ (ვ. ელაშვილი. გაზეთი **"ლელო"**, 1963 წლის ივნისი).

სვანეთში იმართებოდა წარმართული დღესასწაულები **"მურყვამობა"**, **"ადრეკილათ"**, **"საქმისაი"**, **"მელიათ ტელეფიათ"**, **რომლებიც სქესობრივი განაყოფიერებისა, შვილიერებისა და საერთოდ მოსავლიანობის მფარველი ღვთაების კვირიას თაყვანისცემისა და დღესასწაულის ნაშთია. ამ დღესასწაულის მიზანს განაყოფიერების ორგანოს საღიანობისა და ძლიერების ლოცვა-ვედრება და განსახიერება შეადგენდა"** (ივ. ჯავახიშვილი, **"ქართველების წარმართობა"**, თხზ. ტომი 1, თბ. 1973 წ. გვ. 115).

ეს წარმართული დღესასწაულები აუცილებლად მთავრდებოდა ჭიდაობით. დამარცხებულ მხარეს თოვლის კოშკს გადააქცევდნენ და მომავალი მოსავლის ვითარებას არკვევდნენ (ივ. ჯავახიშვილი, იქვე).

მთელ საქართველოში წარმართულ დღესასწაულების რიტუალებში ჭიდაობას თან ახლდა ფალოსის კულტი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჭიდაობა დაკავშირებულია მამაკაცური ძალის და მისი მეომრული სულის მფარველ ღვთაებასთან.

ომიანობის ღვთაების (მარსის) პლანეტას ქართველურ ფუძე ენაში **"ერკინა"** ერქვა, ხოლო პლანეტა-ღვთაების დღეს **"ერკინაჩხა"** (ივ. ჯავახიშვილი, იქვე).

იქნებ სიტყვა **"რკინება"**, **"შერკინება"** ომის ღვთაება პლანეტის დღის **"ერკინაჩხადან"** წარმოდგება?

ქართველურ ტომში გავრცელებული იყო ხარებთან რკინება. ხარებთან რკინებას მეგრულად **"კურული"** ჰქვია (სიტყვა **"კურადან"**).

სვანეთში ხარის მსხვერპლად შეწირვის წინ ამ ხარს ერკინებოდნენ (**В. В. Бардавелидзе. Древнейщие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб. 1957**).

სამეგრელოში კურულს მართავდნენ კვირადღეს. ხართან რკინების დროს წესებს მკაცრად იცავდნენ. არ შეიძლებოდა ხართან იარაღით ბრძოლა. მორკინალს უფლება ჰქონდა ხარისთვის ხელი ყურებში, ბეჭებზე ჩაევლო და მიწაზე ისე დაეგდო – ხართან რკინების შემდეგ იმართებოდა ჭიდაობა.

კურული ანალოგს ნახულობს კრეტა-მინოსის კულტურაში.

ქალბატონი მაია ჩქვანავა წერილში **"კორიდა ქართულია?!"** აღნიშნავს, რომ კუნძულ კრეტაზე მინოსის სასახლეში აღმოჩენილ ფრესკაზე დახატულია ხარი, რომელზეც ქალ-ვაჟი მალაყს გადადის, ზოგიერთი კი ხარის წინ დგას და მათი პოზა ძალიან მოგვაგონებს ესპანურ კორიდას.

ესპანურ **"კორიდას"** ბასკურ ენაზე **"კურიდა"** ჰქვია. თუ ბასკურ **"კურიდას"** და მეგრულ **"კურულს"** მწარმოებელ სუფიქსებს ჩამოვაშორებთ, დაგვრჩება სიტყვის ძირი **"კურ"**, რომელიც ქართული **"კურადან"** წარმოდგება (მაია ჩქვანავა, გაზეთი **"ლაშარის გორი"**, №1, 1996 წელი).

პროტოიბერიელებისგან ინდოევროპელებმა ბევრი რამ გადაიღეს, მათ შორის ხართან რკინება იგივე ტერმინით, თუმცა ბასკური კურიდა და ესპანური კორიდა ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ კორიდაში ხარს დაშნით კლავენ, კოლხურ სამყაროში კი ხარს უიარაღოდ ერკინებოდნენ.

ალავერდის ტაძრის კედელზე დახატულია ორი მოჭიდავე. ეს ეკლესია წარმართული ტაძრის ადგილზეა აგებული. ალავერდობის დღესასწაულს ქართველებთან ერთად კავკასიის მაღალ მთებში მცხოვრები სხვა ეროვნების მუსლიმანებიც აღნიშნავენ.

ქრისტიანების და მუსლიმების მიერ ქრისტიანული დღესასწაულის, ალავერდობის ერთად აღნიშვნა შეიძლება იმით აიხსნას, რომ ქრისტიანობამდე რეგიონის მოსახლეობას საერთო წარმართული ღვთაება ჰყავდათ. დარჩა ალავერდობის ერთად აღნიშვნის ტრადიცია, მაგრამ ბოლო დროს სხვა ტრადიციებთან ერთად ეს ტრადიციაც იკარგება.

ალავერდობის დღესასწაულზე აუცილებლად იმართებოდა შეჯიბრი ჭიდაობაში, ცხენოსნობაში, მშვილდოსნობაში, მოგვიანებით – ტყვიით სროლაშიც...

ქართლის სოფლებში გვიანობამდე შემორჩა ამგვარი ტრადიცია: მამაკაცის დაკრძალვის მეორე დღეს, მის საფლავს ღვინოს მოაპკურებდნენ, შენდობას იტყოდნენ, შემდეგ ჭიდაობდნენ...

შემორჩენილი იყო ამგვარი ტრადიციაც: სიძეს ან მაყარს სოფლის ფალავანთან უნდა ეჭიდავა...

ქრისტიანულ რელიგიაში ქორწინება საიდუმლოა და იგი შესაბამისი რიტუალით აღესრულება. წარმართებთანაც ქორწინებას საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა და შესაბამისი რიტუალით სრულდებოდა.

ზემოთ ნახსენები ტრადიცია, ქორწილის დროს პატარძლის სოფლის ფალავანთან სიძის ან მაყრის ჭიდაობა ხომ არ არის წარმართული რიტუალის გამოძახილი?

ვფიქრობ, ყოველივე ეს წარმოადგენს კოლექტიურ არაცნობიერ ხსოვნას იმ შორეული წარსულისას, როდესაც ჭიდაობა დაკავშირებული იყო წარმართულ მისტერიებთან.

საყოველთაოდ ცნობილია ქართველი ფალავნების ფენომენალური წარმატებები ჭიდაობის ნებისმიერ სახეობაში. მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავეების წარმატებათა საიდუმლო არა მარტო ქართული ჭიდაობის უნივერსალური ილეთებით, არამედ ქართულ გენებში ჩაბუდებული ჭიდაობის სულის არსებობით აიხსნება.

თენგიზ კუბლაშვილი

"ხელმოცარული მონადირეები ელექტროგადამცემი ხაზის იზოლატორების მსხვრევითა და სადენებზე დამიზნებით სროლით ერთობიან"(?!)

ალბათ დედამიწაზე არ მოიძებნება მეორე ქვეყანა, სადაც მოქალაქეები დივერსიულ აქტებს გართობის მიზნით სჩადიან, მაგრამ საქართველოში წარმოუდგენელიც წარმოსადგენია,– ნადირობაში ხელმოცარული მონადირეები გზად შინისკენ, მაღალი ძაბვის გადამცემი ელექტრონაძების იზოლატორებზე სროლაში ვარჯიშობენ. გმირობად ითვლება რაც შეიძლება მეტი იზოლატორის დამსხვრევა და ჩამოგდება. ვიმედოვნებთ, მონადირეები ვერ ხვდებიან, რა საფრთხეს ქმნიან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ანძის დაზიანების შედეგად, და რომ მათი ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულია. მეტიც, შესაძლებელია დივერსიად დაკვალიფიცირდეს. ეს ადამიანები ანძებს მხოლოდ სამიზნეებად როდი იყენებენ, ძარცვავენ კიდეც. კომპანია **"საქრუსენერგოს"** განცხადებით, ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი ანძიდან ათზე მეტი კუთხოვანა, ე.წ. უგოლნიკები იკარგება. სამწუხაროდ, დაბალი სამოქალაქო თვითშეგნების მქონე საზოგადოებისგან ანძების დაცვის ეფექტური მეთოდი ჯერ არ არსებობს. უზარმაზარ ტერიტორიებზე გაბნეულ ანძებს დაცვას ვერ დაუნიშნავ. ერთადერთი დაცვა დამნაშავეების დასჯაა.

რომეო მიქაუტაძე, "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორი: – ანძის გაძარცვის ფაქტს პოლიციას ვატყობინებთ, მაგრამ ამაოდ... ძნელია ტრიალ მინდორში ჩადენილი დანაშაულის მოკვლევა. პრევენციის სახით ჭანჭიკებს უბრალოდ კი აღარ ვამაგრებთ, ვადუღებთ, რომ ვეღარ მოხსნან, მაგრამ შეცვლა რომ დაგვჭირდეს, ძალიან ძნელია მიდუღებულის მოჭრა. არადა, იძულებული ვხდებით მივადუღოთ. საზოგადოებას არ ანაღვლებს, რომ სხვის ქონებას აზიანებს, იმაზეც არ ფიქრობს, რომ ეს ქონება მის სამსახურშია. ანძებიდან კუთხოვანების მოხსნის შედეგად მნიშვნელოვნად სუსტდება კონსტრუქციის მდგრადობა, რაც შეიძლება ანძის წაქცევით დასრულდეს.

– სამიზნეებადაც ხშირად იყენებენ ანძებს და მაღალი ძაბვის ელექტროხაზებს?

– სამწუხაროდ, ხელმოცარული, მაგრამ ტვინგაცხელებული მონადირეები ელექტროგადამცემი ხაზის იზოლატორების მსხვრევითა და სადენებზე დამიზნებით სროლით ერთობიან. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის გამო ხაზის ავარიული გამორთვის თავიდან ასაცილებლად, რამდენჯერმე დაგვჭირდა ეგხ (ელექტროგადამცემი ხაზი) **"იმერეთის"** თითოდღიანი გამორთვა... ამის ჩამდენს არ ესმის, რომ ეს იზოლატორები ზედმეტი სამშვენისი არ არის ანძებზე. ის უზრუნველყოფს იზოლაციას სადენსა და ელექტროგადამცემ ხაზს შორის. დაზიანებები ასევე შესაძლოა გამოიწვიოს გარემო პირობებმა, ჭექა-ქუხილმა, წვიმამ, სეტყვამ და ა.შ. მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა და ამ დროს ანძასთან ტყვიის ცარიელი მასრები არ გვხვდება.

ხაზი რომ არ გაითიშოს და არ მოჰყვეს აბონენტების ჩაბნელება, ვაწარმოებთ შემოვლა-დათვალიერებებს. ძნელია დროულად აღმოაჩინო 900 კილომეტრზე გადაჭიმულ ხაზზე დაზიანებები. თანაც ეს ყველაფერი დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ერთი ცალი იზოლატორი 40 ლარი ღირს. ეს ბოროტმოქმედებაა. რომ ვხედავდე, ვინმე იპარავს, ან აზიანებს, ავუხსნი, რას სჩადის... მაგრამ აბა, სად წააწყდები ასე დაბარებულივით?

– იქნებ გამგეობებისთვის მიგემართათ, ხალხს აუხსნან, რომ არ შეიძლება ანძების დაზიანება, რომ ეს ისევ მათ ვნებს.

– მივმართეთ, მაგრამ ხალხს მაინც ვერაფერი შეაგნებინეს. ვერც ის, რომ არ შეიძლება ანძების მიმდებარედ სახნავსათეს მიწებზე ბალახისთვის ცეცხლის წაკიდება.

მოსავალს რომ აიღებენ, ნარგავების ნარჩენებს ცეცხლს უკიდებენ, რათა ჩაიწვას და მიწა გაანაყოფიეროს. არადა, ხანძარი და კვამლი სახიფათოა, როგორც ენერგოსისტემის მდგრადობის, ისე ადამიანების სიცოცხლისთვის. ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში ხანძრის გაჩენის შედეგად ავარიულად გამოირთო ეგხ **"იმერეთი"**. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის ტერიტორიაზე ეგხ-ს დაცვის ზონაში 5 ჰექტარზე ცეცხლი ეკიდა ჩაის პლანტაციას. ხანძარს 4 სახანძრო ეკიპაჟი 5-6 საათის განმავლობაში აქრობდა. ამ დროში ეგხ **"იმერეთი"** გამორთული იყო. მაგრამ კოკა ყოველთვის ხომ არ მოიტანს წყალს?

ე. ლომიძე

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

კარგად რომ გათენდა, ავდექი, ჩავიცვი, მოვწესრიგდი. ბიქტორი შემოვიდა ოთახში და მეუბნება — ჩემო გვანჯი, ერთი საათით ქალაქში უნდა გავიდე და ეხლავე დავბრუნდებიო. მე შევაჩერე — ჩემო ბიქტორ, არ წახვიდე, მე ვიცი, შენ რატომაც მიდიხარ, რადგან შემთხვევით ყური მოვკარი შენს საუბარს ცოლთან... მე ფული არ მიჭირს. შემიძლია, თუ გჭირდება, პირიქით, დაგიტოვო ფული — ვუთხარი და ჯიბიდან ასი მანეთი ამოვიღე, გავუწოდე. ამაზე გაწითლდა, თავი უხერხულად იგრძნო და მკითხა: აბა, რით შემიძლია, ჩემო გვანჯი, დაგეხმარო?!.

მაშინ მე ვუთხარი: ირკუტსკში ჩასასვლელად შენი პასპორტი მჭირდება. ჩავალ თუ არა, იმ დღესვე უკან დაგიბრუნებ-მეთქი. სიამოვნებით, თუკი ამის საჭიროება არისო და არც დაფიქრებულა, პასპორტი ისე გადმომცა. საღამოს ავიღე ბილეთი, უშიშრად ჩავჯექი მატარებელში და გავემგზავრე ბაქოსკენ, სადაც ლავრენტი ჯაში უნდა მენახა. ბაქოში რომ ჩავედი, სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა ახალი დამთავრებული იყო.

სადგურში ჩასვლისთანავე პოლიციელების სიმრავლე შევნიშნე, ბლომად დათარეშობდნენ. მეეტლეებიც მრავლად იყვნენ. მე განზრახ რუსი მეეტლე მოვიხმე და რიხიანი ხმით ვუბრძანე, სასტუმრო „მოსკვაში“ წავეყვანე. დავბინავდი იქ და სულ მალე ტელეფონთან მიხმეს. ყურმილში ვიღაც ქართულად დამელაპარაკა — გამარჯობა შენი, ვინ ხარო. ბიქტორ ლოლუა ვარ-მეთქი, ვუპასუხე. ბიქტორი კი არა გვანჯი ხარ ბიჭო, ახლავე მოვალო. სახტად დარჩენილი, გაკვირვებული რომ ვიყავი, რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდა ჩემი სკოლის ამხანაგი პლატონ ბასილაია. გადავეხვიეთ ერთმანეთს. მას სცოდნოდა, ბაქოში რომ ვაპირებდი ჩასვლას და ჩემს მოლოდინში ყოფილიყო. პლატონს ვუთხარი, რომ ჯაშის ნახვა მინდოდა. წავედით, ვნახეთ ალექსანდრე კობახიძე, ლავრენტი ჯაში, სხვა ქართველებიც, დიდი ქეიფი მოაწყვეს, დაუვიწყარი პატივი მცეს. მერე გამაცილეს სადგურზე. იქ შევხვდი ალექსანდრე მაჭუტაძის შვილს, ოფიცერ კოლია მაჭუტაძეს, რომელიც პეტერბურგში მიემგზავრებოდა. კოლიას ვთხოვე ჩემთვის აეღო ოფიცრის ბილეთი, რაც მან სიამოვნებით გააკეთა. ბალაჯარაში დავშორდით ერთმანეთს. დიდებულად ვიმგზავრე. კონტროლი უბატონოდ ხმას არ მცემდა, როგორც ოფიცერს. ასე უხიფათოდ, მშვიდობიანად ჩავედი ირკუტსკში და ერთხანს ღამეს ვათევდი საჩინო საჯაიას ბინაში. იქ გავიცანი აბელ გომართელი, რომელიც მეორე დღეს ხარბინში უნდა წასულიყო. მე შევადგინე დეპეშის ტექსტი, რომელზედაც პასუხი უნდა მიმეღო მისგან, ვისაც ვუგზავნიდი. აბელ გომართელს ვთხოვე, დეპეშა ხარბინიდან გაეგზავნა ზუგდიდში ისე, რომ პასუხი მიმეღო ირკუტსკში, რადგანაც ირკუტსკის მისამართს ვაძლევდი. ჩემი შედგენილი დეპეშის ტექსტი ასეთი იყო:

“ზუგდიდის მაზრის უფროსს
პოლკოვნიკ სიდოროვს

ვთხოვ თქვენს კეთილშობილებას, გამოიჩინოთ კაცთმოყვარეობა და მაცნობოთ ჩემი მშობლის — ალექსი ჩიქოვანის ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა”.

რამდენიმე დღეში მივიღე პასუხი: ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელები არიან.

ირკუტსკში მეორედ ყოფნის პერიოდი

ირკუტსკში დაბრუნებული, ჩემი ნაცნობ-მეგობრების ძებნას შევუდექი. ბევრი მათგანი იქ აღარ დამხვდა. ბინაზე ისევ პლატონ კალანდარიშვილმა წამიყვანა. საწყალ ნესტორ გვათუას საქმეები ცუდად წასვლოდა. მის ძეხვის წარმოებას წაეგო, ნესტორს ვალები დასდებოდა. დარდისგან ავად გამხდარიყო, ჭლექი შეჰყროდა და შუა აზიაში წაეყვანათ, რათა კუმისით ემკურნალათ, მაგრამ იქ მალე გარდაცვლილიყო და ამ დიდებული კაცის უკანასკნელი სურათიც მივიღეთ ირკუტსკში მყოფმა ქართველებმა. მელიტონიც სადღაც წასულიყო. იქ დამხვდა იოსებ მკერვალი.

ახლა საჭირო იყო სამუშაო მომეძებნა, მაგრამ ვიდრე სამუშაოს ვიშოვიდი, საბუთის საქმე უნდა მომეგვარებინა. ხელთ მქონდა მხოლოდ უბნის ბოქაულის მიერ გაცემული ძველი ბილეთი. ვიტგენშტეინის მიერ მოცემული მოწმობა კი ჩემი პარტიზანულ ბატალიონში მონაწილეობის შესახებ, როგორც უკვე ვთქვი, მამაჩემმა შეწყალების თხოვნასთან ერთად პრინც ნაპოლეონ მიურატს გაატანა მეფისნაცვლისთვის გადასაცემად. მივმართე ისევ ზაგჟევსკის, რომელმაც კატორღიდან გამოსვლის შემდეგ, პირველად მომცა უფლება მეცხოვრა ირკუტსკში. ზაგჟევსკი კვლავ დამეხმარა და ამაღებინა ახალი საბუთი, რომელზედაც ისეთივე წარწერა იყო — მეძლეოდა ქალაქ ირკუტსკში ცხოვრების უფლება.

იმხანად ირკუტსკში გადასახლებული იყო ქუთაისელი ქალი ნატალია მოსეს ასული მღვდლიევა (მღვდლიშვილი), რომელსაც ბრალად ედებოდა დაზღვეული სახლის წინასწარი განზრახვით დაწვა. ნატალიას გაცნობის შემდეგ ხშირად დავდიოდი მასთან ოჯახში. იქ გავიცანი ერთი ქალი, გვარად შალკოვნიკოვა. გარეგნული შესახედაობა ამ ქალს არ ჰქონდა სასიამოვნო, თითქოს მახინჯადაც შეიძლებოდა ჩაგეთვალა, მაგრამ დაახლოვების შემდეგ უმალ დარწმუნდებოდი, რომ არაჩვეულებრივად სანდომიანი და კეთილი ბუნების ადამიანი იყო, ცდილობდა, რითაც კი შეძლებდა, ყველას დახმარებოდა. ერთხელ ამ შალკოვნიკოვას ქალმა მითხრა, რომ მას სურს გამაცნოს ერთი ძლიერ მდიდარი და საქმიანი კაცი ხან ხასაევი, ტომით ბურიატი, რომელსაც ცოლად რუსის ქალი ჰყავსო. ასე დამიმედა — დარწმუნებული ვარ, გაგიცნობს თუ არა, ძალიან მოეწონები, როგორც შესანიშნავი ვაჟკაცი და სამუშაოს გიშოვნისო.

მეორე დღეს, შალკოვნიკოვას ქალმა ბაღში გამაცნო სასეირნოდ და დასასვენებლად გამოსული მშვენიერი ქალი, მადამ ხან ხასაევა, თანაც მანიშნა, რომ ამ ქალთან თამამად ვყოფილიყავი. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ ქალმა თავაზიანად მთხოვა, ოჯახში გავყოლოდი სტუმრად. მე მორიდებულად გავყევი. ბაღიდან გასვლისთანავე წინ შემოგვხვდა უზარმაზარი ახმახი, ბანჯგვლიანი, არასასიამოვნო სახის მქონე მამაკაცი. მან შეაჩერა ქალი და ჰკითხა, თუ სად მიდიოდა. ქალმა კეკლუცი ღიმილით მიუგო, რომ მიდიოდა სახლში და მივყავდი მე, უცხო და საპატიო სტუმარი. წაბრძანდით და მეც მალე დავბრუნდებიო, უთხრა ქმარმა. ჩვენ მალე მივედით მდიდრულად მორთულ სახლში, რომელსაც ირგვლივ საკუთარი ეზო-ბაღი ეკრა. ქალბატონმა მოსამსახურე ქალს უბრძანა, დატრიალებულიყო და ცოტა ხანში მშვენიერი საუზმე გაიწყო. მე ყველაფერი ვუამბე მადამ ხასაევას და ჩემი გასაჭირიც ვუთხარი. იგი დამპირდა, რომ ქმარს ეტყოდა ჩემს სათხოვარს, დახმარება აღმითქვა. მეორე დღისთვის, 2 საათზე დამიბარა. დანიშნულ დროს მივედი მათთან, ქმარიც შინ იყო. ამ უჟმური შესახედაობის პირქუშმა და უხეშმა კაცმა ძალზე თბილად და გულისხმიერად მიმიღო. ცოლს უკვე ჩემს მისვლამდე ეთქვა, რაც მჭირდებოდა. მეც მოკლედ გავუმეორე ჩემი თხოვნა. იგი იყო მთელი ციმბირის ხორცის მრეწველობის ფირმის პატრონი. რუსეთის ცენტრალური და დასავლეთ რაიონებიდან იღებდა შეკვეთებს და ამ რაიონებს ახალი, საუკეთესო ხორცეულით ამარაგებდა. ხან ხასაევმა ასე მითხრა — საქმის მცოდნე და გამოცდილი რომ იყო, მოზრდილ თანამდებობას მოგცემდი, მაგრამ ახლა შემიძლია ერთი საქმე მოგანდო — ჩემს კანტორაში მონგოლეთიდან მიიღებ დეპეშებს ხორცით მომარაგების თაობაზე, აქედან კი შემკვეთებს შეატყობინებ ცოცხალი წონის, საქონლის მიღების და სხვათა შესახებო. მეორე დღეს წამიყვანა თავის კანტორაში, პრაქტიკულად გამაცნო ჩემი მოვალეობა და შევუდექი სამსახურს. ხან ხასაევი ჩემი მუშაობით მეტად კმაყოფილი იყო. ყოველთვიურად ასორმოცდაათი მანეთი მეძლეოდა. მალე პლატონ კალანდარიშვილის ბინიდანაც გადავედი — თვეში თხუთმეტ მანეთად ერთი პოლონელისაგან ოროთახიანი ბინა ვიქირავე; მირეცხავდნენ და ტკბილი ჩაითაც მიმასპინძლდებოდნენ. ხან ხასაევის ოჯახის დიდი მეგობარი გავხდი; ცოლ-ქმარი გამორჩეული პატივისცემითა და სიყვარულით მეპყრობოდა.

1907 წლის ზამთარში მოულოდნელად ნესტორ კალანდარიშვილი მესტუმრა. სახელი და გვარი გამოეცვალა. მშვენივრად იყო ჩაცმული, კოხტად გამოწყობილი. ჩემი მისამართი, ირკუტსკში ჩამოსულს, ერთი ლუდით მოვაჭრე სომხისგან გაეგო. ნესტორი, რაღა თქმა უნდა, ჩემთან დავაბინავე. მალე მას გავაცანი ვეტოშკინი და სხვა რუსი და ქართველი რევოლუციონერები. ნესტორმა მერე თვითონვე გაიცნო ყველა იქ მყოფი რევოლუციონერი. მეტად ფრთხილად იკრიბებოდნენ ჩემთან და გამოსთქვამდნენ იმედს, რომ, მართალია, რეაქცია დროებით ზეიმობს გამარჯვებას, მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა ძლევამოსილი რევოლუცია ძირმომპალ ცარიზმს დაამხობსო.

ნესტორთან ერთად უთუოდ უნდა მოვიხსენიო მეტად გაბედული რევოლუციონერი და კარგი ადამიანი ყარამან ტუსკია, ვის ბინაშიც, აგრეთვე, ხშირად ვიკრიბებოდით და მრავალ საჭირბოროტო საკითხზე ვმსჯელობდით. ირკუტსკი ისეთი ადგილი იყო, სადაც თავს იყრიდა ბევრი რუსი და კავკასიელი გადასახლებული რევოლუციონერი. მე და კიდევ ორი-სამი კაცი თავს არ ვზოგავდით, რათა ამ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ამხანაგებს როგორმე დავხმარებოდით. ერთხელ ნესტორმა წინადადება წამოჭრა — საჭიროა ჩამოვაყალიბოთ წრე და გამოვნახოთ საარსებო საშუალება, ვინაიდან შეუძლებელია ამოდენა დახმარების ტვირთი რამდენიმე კაცს დაეწვეს კისერზეო. მართლაც, ყველამ გაიზიარა ნესტორის მოსაზრება და ნესტორისა და ყარამანის თავკაცობით შეიქმნა არალეგალური წრე. მოლარეობა ყარამან ტუსკიას დაეკისრა.

მალე ეს წრე ორასამდე კაცს აერთიანებდა და ფარულად ვავრცელებდით რევოლუციურ ლიტერატურას. წრის წევრები შეძლებისდაგვარად იხდიდნ ფულს და შეიქმნა სათანადო ფონდი, რომელიც დახმარებას უწევდა კატორღაში მყოფ და შორეულ კუთხეებში გადასახლებულ რევოლუციონერებს. ერთ დღეს, ნესტორის დავალებით, ყარამანისათვის საიდუმლო წერილები უნდა გადამეცა. დავალება შევასრულე, თავისუფლად მოვდივარ ბაღში და უცებ ერთი პოლიციელი მიახლოვდება, მეუბნება, რომ უბნის პოლიციაში უნდა წავყვე. მე მიზეზი ვკითხე. მიპასუხა, მიზეზი არ ვიცი, მხოლოდ ბრძანება უნდა შევასრულოვო. ჩემი მდგომარეობის გამო წინააღმდეგობის გაწევა, გაძალიანება არ შეიძლებოდა და გავყევი. პოლიციელმა უბნის განყოფილებაში მიმიყვანა, იქ კი ვახმისტრმა ბრძანება გასცა ჩემი დაპატიმრების თაობაზე. საპატიმროში როცა შევედი, დავინახე, რომ ჩემი ამხანაგები, ორმოც კაცამდე, მათ შორის ნესტორიც, იქ არიან. შესვლისთანავე ნესტორმა მომაძახა, გვანჯი, ხომ არ დავიღუპეთო. მას ეგონა, გამჩხრიკეს და საიდუმლო კორესპონდენციები მინახეს. მე დავამშვიდე, ნუ გეშინია, ჩემო ნესტორ, ყველაფერი რიგზეა-მეთქი. გახარებული გადამეხვია, დაწყნარდა.

დაკავებიდან მესამე დღეს გამოგვიძახა ჟანდარმთა როტმისტრმა სამოხვალოვმა და ყველანი, ორმოცივე, ზაუშაკოვსკის მკაცრ იზოლიატორში გადაგვაგზავნა — ნესტიან, ცივ საკანში, სადაც პოლიტპატიმართა დიდი ჯგუფი იმყოფებოდა. მათ, აუტანელი რეჟიმისა და სასტიკი მოპყრობის გამო, ადმინისტრაციის მიმართ პროტესტი ჰქონდათ გამოცხადებული. მანამდე არეულობა მოუწყვეს ციხის ხელმძღვანელობას და ეს ასოცი კაცი ამ საშინელ საკანში გადმოეყვანათ დასასჯელად. აქ ისინი, პროტესტის ნიშნად, ფეხზე არ დგებოდნენ და ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შემოსვლის დროს, არაფერზე პასუხს არ სცემდნენ. ჩვენ როცა შევედით, ამ პოლიტპატიმართა ხელმძღვანელმა, ნიკოლაევმა გვითხრა: ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს პროტესტს. თქვენ რაც შეგეხებათ, თქვენი მოქმედება თვით თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენ არა გვაქვს უფლება და არც შეგვიძლია გთხოვოთ, რომ ჩვენს პროტესტს შეუერთდეთო. ნესტორი მაშინვე მე შემეკითხა, როგორ მოვიქცეთო. მე უყოყმანოდ ვუპასუხე, რომ შევერთებოდით იქ დამხვდურ პატიმართა პროტესტს, მათი ხვედრი გაგვეზიარებინა. ასედაც მოვიქეცით. ნესტორს და სხვებსაც მოეწონათ ეს გადაწყვეტილება და ჩვენ მხარი ავუბით ნიკოლაევის ჯგუფს. ამან სულ გაამხეცა ციხის ადმინისტრაცია. შემოვიდა უფროსი ზედამხედველი ზაიცევი და თან შემოჰყვა ციხის პროკურორი. ზაიცევი სასტიკად გვაფრთხილებს და წინადადებას გვაძლევს, მოვხსნათ პროტესტი. ჩვენ გადაჭრილად უარს ვუცხადებთ. გაანჩხლებული ზაიცევი ჩემკენ იშვერს ხელს და მეუბნება — თქვენი მონაწილეობა ამისთანა საქმიანობაში და ასეთ ხალხთან სამარცხვინოა. თავადიშვილს, კეთილშობილი შთამომავლობის კაცს რა გაქვს საერთო ამ უწესოებთან, ქვეყნის ამრევებთანო. მე მტკიცედ ვუპასუხე, რომ ვამაყობ ამ ხალხთან ჯდომით და მზადა ვარ, მათთან ერთად ვიბრძოლო ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ, მით უმეტეს, არავის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის-მეთქი. ამ პასუხის შემდეგ ზაიცევი და პროკურორი კიდევ უფრო გაბოროტდნენ, განრისხებულებმა მოგვაძახეს, თქვენს მოქმედებას განანებთო და წავიდნენ. მართლაც, ერთი საათის შემდეგ, საკანში შემოვარდნენ გამხეცებული ზედამხედველები და საშინელი ლანძღვა-გინებით, მუჯლუგუნების კვრით, ცალ-ცალკე ჯგუფებად აშმორებულ, ჯოჯოხეთურ კარცერებში გადაგვიყვანეს. ორი თვე პურის ნატეხზე და წყალზე გვამყოფეს, აუტანლად ვიტანჯებოდით. ბევრი მძიმედ დაავადდა. ზოგიერთებს, ნამეტანი სუსტად რომ იყვნენ, მე და ნესტორმა მოვახსნევინეთ პროტესტი და საერთო საკანში გავაყვანინეთ. ირკუტსკის ჟანდარმთა სამმართველომ ჩვენი საქმე შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს სტოლიპინს გადასცა. სტოლიპინს გამოეთხოვა დოკუმენტური მასალები ჩვენი ჯგუფის დანაშაულის შესახებ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მეგრული (იბერიული) ენა ქართული ენის დიალექტი, თუ გლოტოგონიური ფენომენი?

საყურადღებოა, რომ „ქალდი” დღესაც ჰქვია უძველეს ქართულ კუთხეს ტრაპიზონის მთებში, სადაც ოდითგან ცხოვრობდნენ ლაზები. „ქალდეად” ლაზურ-ჭანურ სივრცეს მოიაზრებს დიდი მენციერი პავლე ინგოროყვა. ამ ტოპონიმთან დაკავშირებით კი პირველი ინფორმაცია ჩვენს წერილობით წყაროებში ლეონტი მროველთან გვხვდება... სიტყვა „ქალდიდან” უნდა იყოს ნაწარმოები ჩვენი ერის ეთნონიმი „ქართიც”, რომელსაც ალბათ უფრო ინფორმაციის უქონლობის გამო, მეცნიერთა დიდი ჯგუფი მხოლოდ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად მიიჩნევდა. სინამდვილეში „ქალდი” საერთო ქართული სამყაროს, კოლხეთის ცენტრს, მის გულს ერქვა. გვიანდელ პერიოდში კი, უცხოტომელთა ზეწოლის შედეგად, ამ ცენტრმა ქართული ტომებითვე დასახლებული ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში, იმავე კულტურის წიაღში, გადმოინაცვლა და შეიქმნა ქართლის სამეფო, რომლის სახელწოდებაც, როგორც დიდი ილია ვარაუდობს, სწორედ „ქალდიდან” მომდინარეობს. ამდენად, ქალდი-ქართი-ქართლი-ქართველი, ჩვენი ერის ისტორიული გზის, ჩვენი ერთობის გამომხატველი ტერმინებია (იხ. 2012წ. 4 იანვრის კედლის კალენდარი).

აქედან კარგად ჩანს, რომ „ქალდი” იბერიულ-კოლხური მოდგმის ტომია, მაგრამ, რატომღაც, ზოგი „ქართველი” თანახმაა, ოღონდ იბერთა შთამომავალი არ იყოს და, ქურთთა და არმენთა შთამომავლად აღიარონ თავი.

ცხადია, **ქალდი-ქართი** ერთიდაიმავე წარმომავლობისაა, მაგრამ გასაკვირია, რატომ არ ინტერესდებიან ვინაა **ქალდი-ქართის** წინაპარი, თუნდაც ურარტუელნი.

რამდენჯერმე აღვნიშნე ჩემს სტატიებში, რომ **ქართები** იბერიულს აზრდილი ტომია და ეს ჭეშმარიტება იბერიულ-ქართული ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზითაც ირკვევა-მეთქი, რასაც მოწმობს **ქალდი-ქართის** წინარე სიტყვა **ქარდი** (აეზარდე), რომლისგანაც წარმოდგა **ქალდი-ცა** და **ქართი-ც** (**ქარდი→ქალდი**; **ქარდი→ქართი**), რაც ფონეტიკურადაც უფრო კანონზომიერია, მაგრამ ეს ჭეშმარიტება მათი სურვილის საწინააღმდეგოა და ამიტომ არ სწავლობენ ქართველი მეცნიერები **ქართის** წარმომავლობას.

ამავე აზრისა იყო ცნობილი მეცნიერი მიხაკო წერეთელი, როცა წერდა: „... იყო ერთი ტომი მეგრულ-ლაზური, რომელსაც ერქვა „კარდუხი” – რაც „ქართუ-ხი”-ს უდრის. ამ „ქართუ”-დან წარმოსდგა სიტყვა ქართველი, რომელიც შემდეგ სახელწოდება შეიქმნა ყველა ქართველთა, ამგვარად, მტკიცდება ერთობა ჭან-მეგრელთა და ქართველთა შორისაც” (იხ. ერი და კაცობრიობა, 1920, გვ. 229).

ტარიელ ფუტკარაძეც ამბობს მეგრელები და ქართველები ერთნი არიანო, მაგრამ ენათმეცნიერი არ ინტერესდება, რაა ამ ერთობის ჭეშმარიტი საფუძველი და პოლიტიკური მოტივაციით ცდილობს პროტო-ქართულის დიალექტის დიალექტად აღიარებინოს მსოფლიოს, კაცობრიობის გლოტოგონიური ფენომენი, – მეგრული [დამახინჯებული იბერიული (იბერი→იგერი→ეგერი→ეგრი→მეგრი)] ენა. მაგრამ პოლიტიკა მხოლოდ მაშინ იმარჯვებს, როცა ჭეშმარიტ საფუძველს ეყრდნობა.

არც მეუფე ანანია ინტერესდება ჭეშმარიტების დადგენით. არცერთ ავტორიტეტულ მეცნიერის აზრს ის არ ითვალისწინებს და არც პატრიარქის აზრის იზიარებს.

როგორც ვხედავთ, იმდენი შრომა გაუწევია, იმდენი უჭყლეტია ტვინი „ღვთისმსახურ” ანანია ჯაფარიძეს ქართველი ერის ისტორიის გასაყალბებლად, რომ ლეონტი მროველსაც შეშურდებოდა, მაგრამ მთლიანად ისიც ვერ გაექცა ჭეშმარიტებას და აღიარებს, რომ ოდესღაც ერთიანი ენის მქონე წინაპართ უხსოვარი დროიდან ჰქონდა დამწერლობა და მწერლობა, მაგრამ ამ წინაპართ, დღეს, უკვე, მათთვის ნამდვილად უცხო ენაზე (იბერიულზე), იმ ხანად „იბერები” და ქვეყანას „იბერია” ერქვა. ნამდვილად ასეა. მე-11 საუკუნიდან მოყოლებული იმდენი იმუშავეს ქართველი ერის გარეშე, თუ შინაურმა მტრებმა, **იბერები** და **იბერია** უცხო გახადეს არამარტო ქართი ტომისათვის, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობისთვისაც. სავალალო კიდევ ისაა, რომ ქართველი ერის ისტორიის ასე ტოტალურად გაყალბებას მეცნიერები და, მათ შორის, მეგრული წარმოშობის მედროვენი უჭერენ მხარს.

სწორედ, რომ ისეთი მაღალი რანგის მღვდელმსახური, როგორიც ანანია ჯაფარიძეა, საქართველოს წარსულს და ეკლესიის ისტორიას თავის სურვილებს უდებს საფუძვლად, ამიტომაა, რომ „კარგად გვაქვს საქმე” და „ჰყვავის” საქართველო.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ტ. ფუტკარაძე და სხვები ჭეშმარიტი ქრისტეანენი რომ იყონ, თავიანთ ეგოისტურ ვნებებს და სურვილებს კი არ აჰყვებოდნენ, არამედ დაინტერესდებოდნენ ჭეშმარიტებით, ირწმუნებდნენ მის ძალას და შეეცდებოდნენ ეპასუხათ ჩვენი ქვეყნის ისტორიის გაყალბების შედეგად წარმოშობილი, მრავალჯერ დასმული და უპასუხოდ დატოვებული კითხვებისათვის, ან აღიარებდნენ დაშვებულ შეცდომებს და პატივს მიაგებდნენ ჭეშმარიტებას, მაგრამ ეკლესიაში შეპარულ სატანას ჭეშმარიტება კი არ აინტერესებს, არამედ ღვთიური კანონების თავდაყირა დაყენებაა მისი მიზანი.

პატივცემულო მკითხველო, მერწმუნეთ ძალიან მძიმეა ჩემთვის სამღვდელო პირის მიმართ ასეთი პირდაპირობა, მაგრამ ბევრი პატიოსანი მღვდელმსახური ლაპარაკობს დღეს რუის-ურბნისის მსგავს საეკლესიო სამსჯავროს მოწყობის აუცილებლობაზე. ეტყობა, ანანია ჯაფარიძე ქმნის ამინდს საპატრიარქოში, თორემ მის მიერ „გენიალური” ლოგიკით ჩამოყალიბებული სიცრუის ისტორიის სახელმძღვანელოში შეტანისათვის ორდენით არ დააჯილდოვებდნენ აკად. მარიამ ლორთქიფანიძეს.

მრავალჯერ დასმული და უპასუხოდ დატოვებული კითხვები კი ასეთია:

თუ იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა; თუ ქართის ტომი ძვ.წ.აღ-ით მე-3 ათასწლეულის შუა ხანებიდან დაწინაურებული ტომია; თუ „წმინდა შუშანიკის მარტვილობა” და სხვა წერილობითი ძეგლები V საუკუნეში და დედანში ქართულ ენაზე დაწერილი ძეგლებია; თუ იბერები და ქართები ერთიდაიგივე ტომი იყო და მათი სამეტყველო ენა ქართული; თუ პეტრე იბერის მშობლიური ენა ქართული იყო; თუ ქართული ენა ფარნავაზის, თუ უფრო ადრინდელი დროიდან სახელმწიფო და სამწერლობო ენა იყო, ხოლო მეგრული (იბერიული) მისი კილოკავი, უკეთეს შემთხვევაში დიალექტი; თუ **იოანე ზოსიმეს** მიერ „გადმოჩხიბული” თხზულება **ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ** დედანში მართლაც, ასეთი სათაურით და ქართული ენის მისამართით იყო დაწერილი და არა XI საუკუნის დასაწყისში (1008წ.) ნამდვილად დაწუნებულ-უარყოფილი იბერიული ენის მისამართით და „ამას ენასა სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიან”, მაშინ:

– რატომ აქვთ ზოგიერთებს ასეთი გენეტიკური შიში ე.წ. მეგრული ენისა და რატომ ებრძვიან მას ასე თავგანწირულნი?

– მაინცდამაინც ეგრის-აფხაზეთისა და ქართლის გაერთიანების (1008წ.) და ქართლური ენისათვის საერთო სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების შემდეგ, პეტრიწის წინარე ხანაში, რატომ მომრავლდნენ „უნიჭო და უმეცარი” მთარგმნელები, რომელთა თარგმანებს შორის „შეუსაბამობათა უსაზღვროობა დაულეველი იყო”, ხოლო ასეთს მანამდე აღარასოდეს ჰქონია ადგილი?

– რატომ დარჩა პეტრიწის ეპოქამდე (1050-1125), თოთხმეტი და მეტი საუკუნის განმავლობაში, ქართული ენა მდაბიოთა ენად, როცა პეტრიწის ეპოქიდან რუსთაველის ეპოქამდე, ერთ საუკუნეში, ისეთი რეფორმის გატარება ყოფილა შესაძლებელი, რომ მდაბიოთა ენა (იხ. იოანე პეტრიწი, შრომები II, ს. ყაუხჩიშვილის და შ. ნუცუბიძის რედაქციით, 1937, გვ. 220) კლასიკურ ენად ქცეულიყო?

– რატომ დამდაბლდა და გაუხეშდა დედანში „შუშანიკის წამების” „დამწერი” ქართული ენა მდაბიოთა ენამდე?

– რატომ გამოეყვნენ ქართები იბერებს და ექვსი მეფის მეფობის განმავლობაში აღარ ემორჩილებოდნენ? (იხ. ჟ-ლი მნათობი, 1948წ., №8, ექვ. თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?).

– რატომ ერქვა ფარნავაზის სამეფო ქვეყანას იბერია?

– რატომ გააყოლეს ბიზანტიაში 11 წლის ყრმას, მაინცდამაინც იოანე ლაზი (იბერი), რომ მშობლიური ენა არ დავიწყებოდა (იხ. შ. ნუცუბიძე, **პეტრე იბერი და ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობა**)? ნუთუ ქართლში ვერ მოიძებნა საკუთარი მშობლიური ენის იბერზე უკეთ მცოდნე?

– საიდან და როგორ განუვითარდა „კილოკავს” ძირეულ ენაზე მრავალჯერ მეტი სააფიქსაციო საშუალებები და, შესაბამისად, რამდენიმე ათასჯერ მეტი ლექსიკური მარაგი?

რატომ ამტკიცებს თვით ე.წ. ქართული ანბანი (მხედრულიცა და ასომთავრულიც) თავის არა ქართლურ, არამედ კოლხურ-იბერიულ წარმომავლობას?

– რატომ ვერ ხსნის ქართული ენა ტერმინის **ლაზარე** ეტიმოლოგიას და ქართული ენა „... შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული,...” რა დროიდან, რისთვის და ვისგან იქნა დაწუნებული?

მოკლედ, ეპისკოპოს ანანიას მსჯელობებსა და დასკვნებში საკუთარი სურვილებისა და მედროვე მეცნიერებთან წინასწარ შეთანხმებული აზრის განვითარება უფრო იგრძნობა, ვიდრე მეცნიერული არგუმენტებით ჭეშმარიტების დადგენის მცდელობა. მისი სურვილი კი ისაა, რომ „იბერია” უცხო ტერმინი იყოს და „ქართლს” ნიშნავდეს; ქართული ენა, არა XI საუკუნის დასაწყისიდან (1008 წლიდან), არამედ თოთხმეტი საუკუნის წინა ხანიდან, ფარნავაზის დროიდან წარმოადგენდეს საერთო სახელმწიფო და სალიტერატურო ენას, ხოლო მეგრული და სვანური ქრისტეს შემდეგ წარმოშობილი დიალექტები იყოს, რომლის საერთაშორისო აღიარებისათვის თავგანწირული იბრძვის ბ-ნი ტარიელ ფუტკარაძეც. და საინტერესო კიდევ ისაა, რომ აღნიშნულ სიყალბეთა დოგმად მიღებისათვის იბრძვიან არც ისე პროფესიონალი ავტორები და არა მეცნიერული მეთოდებით, არამედ პოლიტიკური მოტივაციით (ტ. ფუტკარაძე), ხოლო ცნობილი მეცნიერები, რომლებიც უფრთხილდებიან თავიანთ ავტორიტეტს, სიყალბეების დაცვისა და დამკვიდრების ფუნქცია დააკისრეს მეუფე ანანიას და ბატონ ტ. ფუტკარაძეს, თვითონ კი კულისებიდან უთვალთვალებენ მოვლენების განვითარებას. ამიტომ წერს ბ-ნი ტ. ფუტკარაძე თავის ინკოგნიტო მეგობარს:

„საქმე იმაშია, ჩემო... რომ ჩვენ არ უნდა შევცვალოთ პოზიცია. ყველამ მშვენივრად იცის, რომ მეგრულიც და სვანურიც ენებია და ჩვენი თეორიის საპირისპიროდ ამის დამტკიცება თუ მოახერხეს, ჩათვალე, რომ ქვეყანა თავზე დაგვექცა. არც ერთი ნაბიჯით უკან არ დავიხოოთ და ვეცადოთ, რომ მივაღწიოთ მეგრულის დიალექტად საერთაშორისო აღიარებას. სვანური არ არის ისე საშიში, როგორც მეგრულია. ამიტომ მცდარია თუ არა ჩვენი პოზიცია, ახლა უკან დახევა ქვეყნის ღალატის ტოლფასი იქნება. საპატრიარქო სრულად იზიარებს ჩვენს აზრს და მხარდაჭერას გვპირდება, რაც ჩვენი თეორიის აღიარების გარანტია. საპატრიარქოსთან დაპირისპირებას ერიდებიან ეს ახლად აღმოცენებული კუთხისტები, თორემ აქამდე გადაგვივლიდნენ.

აქ გემშვიდობები ჩემო მეგობარო. ღვთის მადლი გფარავდეს”. ტარიელი”. (იხ. გ-თი ილორი, №90, 2-9 ოქტომბერი, 2012, გვ. 11).

რომ არ ვიცოდე იბერებთან (მეგრელებთან) ქართების კონსოლიდაცია და ერთობლივი ძალისხმევით საერთო სახელმწიფო ძლიერებისათვის ზრუნვამ რა დონეზე აიყვანა ბაგრატ III დროიდან (1008 წლიდან) საქართველოდ წოდებული ქვეყანა (გავიხსენოთ დავით აღმაშენებელ-თამარ მეფის ეპოქა) და შემდეგ რა დონეზე დაიყვანა იგივე ქვეყანა ე.წ. მეგრელთა (იბერთა) წინააღმდეგ სახელმწიფოებრივ დონეზე გამართულმა ბრძოლამ და მისი სულიერ-ზნეობრივი განვითარებისა და ეროვნული თვითშეგნების მოშლა-განადგურებისათვის მიზანმიმართულად გატარებულმა ღონისძიებებმა [ამას მოწმობს რუსთაველის (მის იბერიულ წარმოშობას, თავის მხრივ, მოწმობს „ვეფხისტყაოსნის” ძველ გამოცემებში უხვად არსებული წმინდა იბერიული სიტყვები)] შემდეგ მე-19 საუკუნემდე იბერიული წარმოშობის მოღვაწეთა უჩინარობა, იბერ (მეგრელ) მოსახლეობაში არასრულყოფილების სინდრომის მიზანმიმართული შთანერგვა, რაზეც ბევრჯერ აღმინიშნავს და რაზეც ზვიად გამსახურდიაც ამახვილებდა ყურადღებას, და კიდევ, სხვა მაგალითები იბერიული კვალის წაშლისა, შეიძლება, დავფიქრებულიყავ, რატომ უნდა დაგვექცეს ქვეყანა თავზე, თუ მეგრული ენის დიალექტად საერთაშორისო აღიარება ვერ მოხერხდება. მაგრამ, როცა ცხადია, ქართის ტომის ძვ.წ.აღ-ით III ათასწლეულის შუა პერიოდიდან დაწინაურება სიცილის მომგვრელია და „იბერია”, რომ ქართლის ელინური სახელწოდებაა – ზღაპარი; როცა ქართლი მუდამ იბერიის ქვეშევრდომი იყო და სახელმწიფოებრიობა მე-10 საუკუნემდე აღარასოდეს ჰქონია; როცა სომხებს ისტორიკოსები მე-5 საუკუნიდან ჰყავთ და ჩვენთვის უცნობია კიდევ რა ცნობებს ფლობენ ისინი, ხოლო ჩვენი ქვეყნის ისტორია XI-XII საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები ლეონტი მროველის მიერ დაწერილ „ცხოვრება ქართველთა მეფეთას” ეყრდნობა, რომლის მიხედვით ფარნავაზმა განავრცო ქართული ენა მთელს ქართლში (ქართველ „პატრიოტთა” მიხედვით იგივე იბერიაში) და რომელზე დაყრდნობით საქართველოს ძლიერებისათვის „მზრუნველმა” ქართველებმა, ავტორიტეტულ მეცნიერთა იგნორირებით, თავდაყირა დააყენეს ქართველი ერის ისტორია; როცა იგივე ლეონტი მროველის მიერ მოჭორილი სიცრუე, მაგრამ, უკვე, ცხრა საუკუნის შემდეგ, ისტორიული საფუძვლის მქონე ცნობა, რომ „კავკასიის ნახევარი, უმჯობესი მიწები, სომეხთა ეთნარქის – ჰაოსის კუთვნილება იყო” (პერიფრაზი ჩემია, კ.ფ. იხ. „ქართლის ცხოვრება”, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 4) და „...ქართლოსიანთა ენა სომხური...” (იქვე, გვ. 16), ე.ი. ქართლელები სომეხთა ქვეშევრდომები იყო, რის საფუძველზეც მათ შეადგინეს „დიდი არმენიის” რუქა და, უკვე, პირდაპირ, აშკარად, წართმევით გვემუქრებიან; როცა სომეხ ხელისუფალთა ოცნება იყო და არის დედაქალაქის ქუთაისში გადატანა და ამ მიზნით იქნა პარლამენტი ქუთაისში გადატანილი სომხური წარმოშობის სააკაშვილის მიერ; როცა დასაბამიერი ადამურ-იაფეტურ-იბერიული (იგივე მეგრული) ენა იქნება დიალექტად აღიარებული, საქართველო დაემსგავსება უსაძირკვლო ტაძარს და ე.წ. მეგრული ენა ფარად არ ეყოლება ქართულ სამყაროს, როგორ, რის საფუძველზე და რა ძალით შეძლებს მეგრულმოძულებული საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე, მოსალოდნელ ავანტიურისაგან, სამართლებრივად, თუ ფიზიკურად თავდაცვას?

ჩვენთვის ნათელია და მთლიანად ვეთანხმებით მსოფლიოში ცნობილ მეცნიერებს, მამა-შვილს – მამანტი და ცირა ძაძამიებს, რომ „...ისევე, როგორც არ შეიძლება ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთდროულად მეფობდნენ რამდენიმე ძმა ან და-ძმა, შეუძლებელია ერთ სახელმწიფოში ყველა ტომობრივი ენა სახელმწიფო ენა იყოს, მაგრამ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ტომობრივი ენები საერთოდ არ უნდა იყვნენ, არ უნდა არსებობდნენ, ისევე, როგორც და-ძმათაგან ერთ-ერთის გამეფება არ ნიშნავს სხვა დანარჩენების საერთოდ არ ყოფნას, მითუმეტეს, მათს ძალადობრივ დახოცვას” (გ. თი ელორი, 25 ივნისი – 2 ივლისი 2013). რატომ არის საშიში განსაკუთრებით მეგრული ენა? სვანი მოსახლეობა 15-16-ჯერ ნაკლებია მეგრელებთან შედარებით, ამდენად, საშიში არაა, ხოლო ნამდვილად საშიშია თუ არა მეგრული ენის არსებობა, ეს მეორე საკითხია და აუცილებლად გასარკვევია, მაგრამ, ცხადია, ზოგ ქართველ მეცნიერს, რომელიც სამეცნიერო ხარისხის არამქონეს, მაგრამ გენიალური გამოკვლევების მქონეს დილეტანტს ეძახის, ისეთი შიში აქვს მეგრული ენისა (ტ. ფუტკარაძე, რეზო შეროზია და ზოგი სხვა ეთნიკურად მეგრელი მეცნიერი), რომ ზუგდიდში, მ/წლის 29 მაისს „მეგრული ენის დღის” ჩატარებას ტრაგედიად აღიქვამს. მაინც რა უნდა იყოს მიზეზი ასეთი შიშისა და არსებობს თუ არა სინამდვილეში ასეთი შიშის საფუძველი?

გ. ნებიერიძისა და მ. და ც. ძაძამიების ანალიზით ქართულის არმცოდნე მეგრელისათვის ქართული მეტყველება 14% გასაგებია, მეგრულის არმცოდნე ქართველისათვის კი მრავალმილიონიანი სიტყვის მომცველი მეგრული მეტყველება, ალბათ, მთლიანად გაუგებარია. საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკის 50%-ზე მეტი უცხო და ნასესხებია (აკაკი შანიძის მიხედვით), ხოლო 50%-მდე ეროვნული წარმოშობისაა. საყურადღებოა, რომ ეროვნული წარმოშობის საერთო სალიტერატურო ლექსიკის ძირისეული ფორმების მნიშვნელობას და ეტიმოლოგიას სინქრონულ – დიაქრონულ დონეზე ხსნის მეგრული ენა, ხოლო ქართული ენისათვის ეს შეუძლებელია (ძირისეული ფორმების მნიშვნელობათა და ეტიმოლოგიის გარკვევა ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეუძლებლად მიაჩნიათ). გამოდის, რომ ეროვნული წარმოშობისად მიჩნეული სიტყვებიც მეგრულის არმცოდნე მეცნიერისთვისაც კი ისეთივე უცხოური და ნასესხებია, როგორც მაგალითად სპარსული, ან ბერძნული. ე.ი. ქართული სალიტერატურო ენის ეროვნული წარმოშობის ლექსიკა მეგრელი მკვლევარისთვის უფრო მშობლიურია, ვიდრე მეგრულის არმცოდნე ტიტულებით დახუნძლული ქართველი ენათმეცნიერისთვის. ამიტომ აბსოლუტურად სწორია მამანტი და ცირა ძაძამიები, როცა ამბობენ: „შეიძლება ურთიერთგაგებინების დონის ასეთი ვითარება იყოს ერთ-ერთი გარკვეული მიზეზი იმისა, რომ მეგრელებს არასოდეს შეპარვიათ ეჭვი თავიანთ ქართველობაში, ხოლო საკუთრივ ქართველთაგან, არც ისე მცირედნი მიიჩნევენ მეგრელებს არაქართველებად და უჭირთ კიდეც ერთიან ქართულ სივრცეში მათი წარმოდგენა, რასაც არც კი მალავენ, და, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათად ვერ ჰგუობენ და ებრძვიან კიდეც მათ” (იხ. გ-თი ილორი, 25 ივნისი – 2 ივლისი 2013).

კუკური ფიფია,
აკადემიკოსი,
(გაგრძელება იქნება)

გოშაძე-გოშუა-გოშუანთა სახელოვანი საგვარეულოს ისტორია

„წმინდაო გიორგი, დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას და სული
მხნედ არი!
შემუსრე უწმინდურ დრაკონთა
ორგია
იხსენი სამკვიდრო შენი – გეორგია.
დიდების უფალი მართალთა მწედ
არი.
წმინდაო რაინდო, გველი არ დაინდო
მოგვმადლე იმედი და უფლის სვე-
დარი“.
ზვიად გამსახურდია

ᲝᲠᲘ ᲬᲐᲫᲐᲠᲘ

ამ ბოლო ხანებში მართლმადიდებელი ეკლესია-მონასტრების აღდგენა-აღორძინება და გაძლიერება ჩვენი ერის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. მრავალი ტაძარი, რომელიც ათეიზმსა და უღვთობის მძიმე დროში დაინგრა ან დაიკეტა, ნელ-ნელა იბრუნებს თავის ნამდვილ სახეს და დანიშნულებას. დედა-ეკლესია ეძახის სარწმუნოებისაგან განდგომილ ადამიანებს, დაყოვნებული ღვთისმსახურობა განახლებას ითხოვს.

ღვთისმსახურთა ქადაგება და გულით მოტანილი უფლის სიტყვა კი ქრისტესმიერ სიყვარულს აღანთებს. სამღვდელოება ერის ნაწილია, იმ აზრით, რომ იგი ერიდან არის წამოსული და მისთვის სისხლხორცეულია ყველაფერი, რაც აღავსებს და ახარებს ერს. ერის სამსახურს, ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის, მეფის და სამეფო სახლის ლოცვა-კურთხევას უძღვნა თავისი სულიერი შემოქმედება გოშუების გვარიდან გამოსულმა არაერთმა მღვდელმსახურმა.

როგორც ზემოთ ითქვა, – „გოშუების პირველი სათავადოების ჩამოყალიბება XV საუკუნეში უნდა ვივარაუდოთ. უფრო გვიან, დაახლოებით XVIII საუკუნისათვის, მომძლავრებულმა ჩიქვანთა სათავადომ სძლია გოშუებს და ამ უკანასკნელთა საგვარეულო იძულებული გახდა მიმოფანტულიყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გოშუების ერთი შტო კი დაფუძნდა დაუსახლებელ ადგილას, რომელსაც დღეს სოფელი კირცხი ჰქვია [ჩხოროწყუს რაიონში]. კირცხში მოსვლისთანავე ააშენეს პატარა ქვიტკირის ტაძარი, თემის ტაძარი, რომლის დამაარსებელი და სულიერი მოძღვარი გახდა თომა უთუთის ძე გოშუა. იქვე უთუთის მთაზე მოქმედებდა მეორე ეკლესია, რომელსაც გოშუების კარის კლესია ერქვა“.

ᲣᲗᲣᲗᲘ ᲒᲝᲨᲣᲐ.

(*მთხრობელი მამანტი კვირტია*):

„აზნაური უთუთი გოშუა დაიბადა 1801 წელს. დიდებული სასახლე ჰქონია მაღლობზე ხობისწყლისა და ჭანისწყლის ჭალების სამზერზე. ამ კირცხებული მაღლობის ზემოთა ტაფობზე აღმართული ყოფილა ქვიტკირის ორსართულიანი შენობა პირით აღმოსავლეთისაკენ. ამ სახლის წინ, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე, ხელოვნურად შექმნილ გორაკზე მდგარა კარის სამლოცველო, რომელიც შემორაგული ყოფილა ძელქვისა და „უჩა კაკალის“ სამკურნალო მცენარეებით და ჩრდილოეთის დავაკებაზე ბუჩქნარით [„ზაკალონი“].

ეს მაღლობი, რომელიც ტოპონიმთა საძიებელში უთუთის ფერდის სახელითაა ცნობილი, თავისი მდებარეობითა და მცენარეული საფარით ადრიდანვე უცვნიათ „ჭლექიანთა“ სამკურნალო ადგილად.

უთუთი მრისხანე მებატონე ყოფილა. მისთვის სარჩო-საბადებელი შემოგარენში მცხოვრებ ყმა-გლეხებს ზურგით უნდა აეტანათ. სასმელი წყალიც კი ფერდობის დასავლეთით დავაკებაზე გამომდინარე წყარო ჩახრალიადან [ოხარჩალე] მორიგეობით ამოჰქონდათ თურმე გლეხებს.

დღეს ამ ფერდობზე, უთუთის სასახლის ნაფუძარზე აგებულია კირცხის საშუალო სკოლა, რომლის საძირკველი ჩაიყარა 1927 წელს. ამ ფერდობის კალთებზე მოწყობილია სოფლის ცენტრის დაწესებულებები – სასოფლო საბჭო, საავადმყოფო, აფთიაქი, სავაჭრო ფარდულები და სხვა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები“.

ზეპირი გადმოცემებით ირკვევა, რომ უთუთი მაღალი გემოვნების ფეოდალი ყოფილა, შინაყმებიც მრავალი ჰყოლია.

უთუთის ზეგანზე ორ კილომეტრზე სწორი ზედაპირია, რომლის შუა ადგილას აღმართულია ხელოვნური გორაკი, რომელიც გადმოპირქვავებულ ქვაბს მოგვაგონებს. ეს ადგილი შემორაგული იყო ძელქვის ხეებით, რათა მიწაყრილი არ მოშლილიყო. გორაკის თავზე მდგარი გოშუების სასახლის კარის სამლოცველო და მისი სენაკი მოხატული ყოფილა. იქვე ესვენა წმ. გიორგის ხატი. ამ სამლოცველოს საძირკვლის კონტურებიც ჩვენს დრომდე შეიმჩნეოდა ეკალ-ბარდებში; მისი ნანგრევების შუა ადგილას ჩადგმული ყოფილა ქვის სვეტი, ალბათ, გეოდეზიური წერტილი, რომელსაც მოხუცები ძალიან უფრთხილდებოდნენ, სახელად კი **„ნაუყუდუს“** ეძახდნენ.

* * *

„სოფელ კირცხში გადიოდა შუა სამეგრელოს სამხედრო გზა, რომელიც სამაზრო ცენტრს, დაბა ზუგდიდს აკავშირებდა საგუბერნიო ცენტრთან – ქუთაისთან. ამ გზით ზუგდიდიდან ქუთაისს ჩავიდა ხელმწიფე-იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე რომანოვი 1837 წელს. ამ გზაზე მაშინ დიდი მოძრაობა იყო“.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ – ᲗᲝᲛᲐ I ᲒᲝᲨᲣᲐ

ცისკარი – ასეთი პოეტური სახელით მოიხსენება ქართულ ენაში განთიადი, (მეგრულად: გუმათანე) ღამის წასვლა და ნათლის შემოსვლა მზის ამოსვლამდე. **„ცისკრის“** ჟამს ეკლესიაში სადღღამისო საღვთისმსახურთ ციკლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განგება სრულდება უძველესი დროიდან.

განთიადის შემოსვლას ქრისტიანები ხვდებიან ნათლის მომცემელი ღვთის მიმართ დიდების აღვლენით: **„დიდება შენდა, რომელმან მოგვფინე ნათელი“, რასაც მოსდევს ანგელოზთა გალობა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“** (ლუკა 2, 14).

კვირა დღის ცისკრის ლოცვაზე ქრისტეს აღდგომის მაუწყებელი საცისკრო სახარება იკითხება, ათერთმეტთაგანი, ხოლო ცისკრის ლოცვას დღის ჟამთა გალობა და წმინდა ჟამისწირვა მოსდევს, რომელზედაც ქრისტიანები საღვთო საიდუმლოს ეზიარებიან.

ამ წმიდა მსახურების ღირსეული აღმასრულებელი იყო მოძღვარი თომა გოშუა – **„სოფლის ცისკრის“** სახელით

ცნობილი მღვდელთმსახური. განგებამ მას მიანიჭა დიდი მადლი ტრაპეზთან მიახლებისა და **„სოფლის ცისკრად“** წოდებისა. სოფელი კირცხი, წმიდა გიორგის სახელობის მცირე ეკლესია... აქ XVIII საუკუნიდან აღესრულებოდა წირვა-ლოცვა.

ამ ეკლესიის პირველი წინამძღვარი კეთილმოწესე-დეკანოზი თომა გოშუა იყო. მღვდელი შუამდგომელია ღმრთისა და კაცთა შორის, და ეს დიდი მისია ღრმად ჰქონდა გათავისებული დეკანოზ თომას.

საარქივო მასალები, საეკლესიო მოწმობები მეტყველებენ მის უმწიკვლო სამსახურზე, სათნოებაზე, მეტადრე მშობლიურ ენაზე სახარების საგანგებოდ კითხვაზე, იმ დროს, როცა იგი თითქმის აკრძალული იყო.

სრულიად ყრმა, 10 წლისა, ეზიარა თომა ეკლესიურ ცხოვრებას. აქვე მიიღო ცოდნა-განათლება, რამაც გააღრმავა მისი სულიერება. საღმრთო წერილის კითხვამ, საღმრთო საგნებზე სჯა-ბაასმა, ენისა და აზრის ვარჯიშმა დაასვა ეკლესიური ბეჭედი მის სულსა და გულს. ადრიდანვე აუღო ალღო სარწმუნეობრივ მეცნიერებას არა მარტო სიტყვით, არამედ ზნეობრივად და ასე ჩამოიძერწა მომავალი მოძღვრის სულიერი სახე.

თომა მოძღვარს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ეკლესიის არსი და დანიშნულება. მწყემსი კეთილის მიმბაძველის – თომა მოძღვრის პირადი მაგალითის, მისი მოღვაწეობის დასტურია ის გადმოცემები და საეკლესიო ჩანაწერები, რომელთაგანაც საცნაური ხდება მისი ბიოგრაფიის უმთავრესი პუნქტები.

დაბადების ადგილი: სოფელი კირცხი, 1827 წელი.

სამეგრელოს მეტად ცნობილი თავადების, კერძოდ, უთუთი გოშუას ერთ-ერთი მემკვიდრე. საქართველოს არქივში დაცული საეკლესიო წიგნი თომა გოშუას იხსენიებს 1840 წლიდან, ანუ იმ დროიდან, როცა პირველ დაწყებით განათლებას იღებს ეკლესიაში, 1869 წელს კი ხდება კირცხის წმიდა გიორგის ეკლესიის კეთილმოწესე-დეკანოზი. მის მედავითნედ დასახელებულია იესე კვირტია, ხოლო შემდეგ – დიმიტრი ჯიქია.

1887 წელს კეთილმოწესე თომას დიაკონი გამხდარა მისი ხორციელი შვილი სოლომონ გოშუა, მასთან ერთად იხსენიება გრიგოლ ჭილაძე.

ფრიად საინტერესოა თომა მოძღვარის ოჯახური ბიოგრაფია: მეუღლე – თათია სვიმონის ასული. შვილები: ნინო, პეტრე, სალომე, მაკრინე, სოლომონი, დავითი. თომას უფროსი ქალიშვილი 21 წლისა ქორწინდება აზნაურ ფარნაოზზე. სიძეც – 21 წლისა ყოფილა. ქორწინების თარიღია 1873 წლის 7 იანვარი – ნათლისღების დღესასწაულის მეორე დღე.

1880 წლის 24 თებერვალს ჯვარს იწერს თომას მეორე ქალიშვილი სალომე, თავად დოროთე ზურაბის ძე აფაქიძეზე. 18 წლის სასძლოსა და 21 წლის სიძის ქორწინების საიდუმლოს აღავლენს მღვდელი იოანე ცაავა.

იგივე საეკლესიო წიგნი გვამცნობს, რომ 1864 წლის 9 იანვარს დაიბადა თომა მოძღვრის მესამე ქალიშვილი მაკრინე, რომელიც მოუნათლავს შტაბს-კაპიტანს პეტრე გიორგის ძე მხეიძეს.

1878 წელს გარდაიცვალა თომას ხორციელი ძმა ნიკოლოზი. უძლურებაში მყოფი ხორციელი ძმის აღსარებას თვითონ იბარებდა თურმე მოძღვარი თომა გოშუა. სიკვდილის წინ მასვე უზიარებია მომაკვდავი. თომა გოშუას, როგორც წმიდა გიორგის ეკლესიის დეკანოზის, ხელმოწერები დაფიქსირებულია 1848-1893 წლამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი დიდი კრძალვით ემსახურებოდა საეკლესიო საქმეს და თავის მრევლს.

იმდროინდელი პოლიტიკური ვნებათაღელვის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ყოფნა-არყოფნის საკითხის აქტუალურობის დროს, ცდილობდა თავისი მრევლის დაცვას ეროვნული და სოციალური შევიწროებისაგან.

სამეგრელოში, სადაც მოციქულთა დროიდან ქართული იყო საეკლესიო და კულტურის ენა, წირვა-ლოცვაც ამ ენაზე მიმდინარეობდა.

შორეულ წარსულში კოლხები უფრო ფართოდ იყვნენ ქვეყანაზე გაფენილნი. უძველესია კოლხური (მეგრული-ლაზური) ენაც. იგი წყაროების მიხედვით, კოლხეთის სხელმწიფო ენა იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. XVIII საუკუნეებში. ცნობილ ენათმეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის – თამაზ გამყრელიძის მტკიცებით, ძველი კოლხეთის (იგივე **„აია“**-ს) მეფე აიეტი და მისი გრძნეული ასული მედეა მეტყველებდნენ კოლხურ (მეგრულ-ლაზურ) ენაზე. ბერძნები ყველა უცხოელს ბარბაროსებს ეძახდნენ, კოლხებს კი – მზის შვილებს.

კოლხთა ოქროს საწმისი ცოდნის სიმბოლო იყო. სწორედ ოქროს საწმისის თქმულება და „ქართლის ცხოვრება“ გვიჩვენებს, როგორი იყო კოლხი ქუჯისა და იბერი ფარნავაზის ურთიერთობა და ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად.

დიახ, მეგრულ-ლაზური და სვანური ენები ქართველურ ენათა ფენომენია, მაგრამ ეს ფენომენი არამც და არამც არ იყო რუსი ეგზარქოსების დაინტერესების სფერო.

* * *

გურია-სამეგრელოს ეპარქიის კირცხის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურების ძველ ნამსახურთა ნუსხაში, ე. წ. „Формулярный список“-ში, წარმოდგენილია თომა, პეტრე და სოლომონ გოშუების მსახურების სია, რომელიც 1895 წლითაა დათარიღებული. თომა უთუთის ძე გოშუაზე წერია, რომ მას წმიდა წერილის, საეკლესიო კანონების ცოდნა, წერა-კითხვა და გალობა შესწავლილი ჰქონდა ერთ-ერთ მონასტერში. შემორჩენილა მისი დიაკვნობის დროის – 1846 წლის წერილობითი მიმართვა ეგზარქოსისა სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოს ჭყონდიდელ ანტონისადმი, რომელშიც ნათქვამია:

ქუთაისის გუბერნიის სამეგრელოს სამთავროს, ზუგდიდის მაზრის სოფელ კირცხის წმიდა გიორგის ეკლესიაში მღვდლად ხელთდასხმულ იქნას თომა უთუთის ძე გოშუა და მიეცეს მას მღვდელმსახურების უფლება და შეიმოსოს ოლარით, სარტყლით და ფილონით.

უფრო გვიანდელ საბუთებში აღნიშნულია მღვდელ თომა უთუთის ძე გოშუას დეკანოზის ხარისხში აყვანა, კეთილმოწესე-დეკანოზად განწესება და დამსახურებისთვის საგვერდულისა („ბენედიკის“) და ენქერის გადაცემა.

1853-56 წლებში, ეპისკოპოს გერონტის დროს კი იგი დაუჯილდოებიათ ბრინჯაოს ჯვრით და განსაკუთრებული ორდენითა და სიგელით.

ძველი ნამსახურების ნუსხაში წერია: „არის ქვრივი და ჰყავს ორი ვაჟი: პეტრე – 41 წლის, სოლომონი – 33 წლის. ხელს აწერს გურია-სამეგრელოს და ფოთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი. წარდგენილი იყო ოქროს ჯვრით დასაჯილდოებლად, რასაც ვერ მოესწრო გარდაცვალების გამო.

ᲨᲔᲣᲑᲦᲐᲚᲐᲕᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ – �პᲔᲢᲠᲔ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲫᲔ ᲒᲝᲨᲣᲐ

დეკანოზ თომა გოშუას დარჩა ორი ვაჟი – სოლომონი და პეტრე. პეტრე დაიბადა 1851 წელს. მან იმთავითვე თომას გზა აირჩია, სოლომონიც ეკლესიის მსახური იყო. პეტრე იერარქიით მამის ტოლი გახდა.

საეკლესიო წიგნი, რომელიც შემონახული და დაცულია საქართველოს საარქივო ფონდში, პეტრეს 1874 წლამდე მოიხსენიებს დიაკვნად, 1875 წელს კი, 21 წლის ასაკში, აღყვანილია მღვდლის ხარისხში.

1893 წლის მაისიდან იგი მოხსენიებულია როგორც კეთილმოწესე-დეკანოზი. მღვდელმსახურ პეტრეს, როგორც მისი ახლობლები იგონებენ, ჰქონდა არაჩვეულებრივი ადამიანური ხასიათი და თვისებები. წირვის შემდეგ, როცა მამა პეტრე სატრაპეზოდ გავიდოდა, უპირველესად ოჯახის ყველა წევრს მოიკითხავდა ხოლმე. იყო მეტად გულისხმიერი და ყურადღებიანი, სათნო და ქველი.

მამა პეტრე, და საერთოდ, იმდროინდელი საერო საზოგადოება და სამღვდელოება დიდ პატივს მიაგებდა ნათელ-მირონობის ინსტიტუტს, ანუ, როგორც მას სამეგრელოში უწოდებენ – **„მორდუობას“.** ეს იყო პატივსაცემი მოვლენა, რომელიც დიდსა და პატარას სისხლში ჰქონდა გამჯდარი. მამა პეტრესა და მისი ძმის, სოლომონის, გამზრდელი ყოფილა გუტა კვირტიას ოჯახი. პეტრეს საყვარელი ადამიანი ყოფილა მღვდელი ანტონ ვეკუა, რომელიც, თურმე, მათთან ცხოვრობდა, იქვე თავისი სენაკი და სამლოცველო ჰქონია.

თავად პეტრეს მამისეული სახლი, რომელიც, როგორც ამას სერგო მალანია იგონებს, ფორმით და შინაარსით იყო თავადური. იმასაც კი ამბობდნენ, რომ სახლის ვეება ფანჯრები ცისფრად იყო შეღებილიო.

სახლს ორი დიდი კარი და სამი დიდი ფანჯარა ჰქონია.

სასტუმრო ოთახი 80 კვ. მეტრი ყოფილა. ყველა ოთახს ძვირფასი ხალიჩები ამშვენებდა. ჭერზე მდიდრული ჭაღი ეკიდა. სისუფთავე უხვად ერწყმოდა თავადურ სიმდიდრეს და ქათქათებდა ირგვლივ ყველაფერი. წელიწადის ყოველ დროს ეზოში სხვადასხვანაირი ყვავილები ყვაოდა, რომელსაც საგულდაგულოდ უვლიდა დაქირავებული მებაღე. სახლის გვერდით უნაბის ხე მდგარა და ზაფხულობით მის ძირში ორმოცდაათი კაცისთვის სამყოფი მაგიდა სატრაპეზოდ იშლებოდა.

ᲪᲘᲐᲚᲐ ᲒᲝᲨᲣᲐ
ნაწყვეტები წიგნიდან
“ᲒᲕᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ”

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

სად გაქრნენ კარგი ქართველი ფორვარდები?

ახლახან შემოგთავაზეთ სტატია **"ფიფას ასიანთა კლუბის"** შესახებ, რომელშიც ეროვნულ ნაკრებებში 100 და მეტი მატჩის ჩამტარებელი ფეხბურთელები მოხვდნენ.

გამორჩეულთა შორის მხოლოდ ერთი ქართველია – 100-იანთა კლუბშია ლევან კობიაშვილი, ბერლინის **"ჰერტას"** ქართველი ლეგიონერი. ვნახოთ, კიდევ რომელი ქართველი ფეხბურთელები არიან ახლოს **"ასიანთა კლუბთან"**.

10 მატჩი და წელიწადნახევარი მიზნამდე

თემურ ქეცბაიას გუნდის 6 და 10 სექტემბრის ბატალიები ჩავლილია. საქართველო მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპს (და ამით მუნდიალსაც) 15 ოქტომბერს დაასრულებს, როცა მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთის ნაკრებს ესტუმრება.

საქართველოს ნაკრების თავკაცი, მას მერე, რაც ლევან კობიაშვილმა მე-100 კეპი **"მოირგო"**, მას აღარ იძახებს ნაკრებში. კობიაშვილის უახლოესი **"მდევარი"** კი ზურაბ ხიზანიშვილია. 31 წლის მცველის ანგარიშზე 90 საერთაშორისო მატჩია. ასე რომ, **"ასიანთა კლუბამდე"** მას მხოლოდ 10 შეხვედრა აშორებს.

ხიზანიშვილი ეროვნულ გუნდში 1999 წლიდან გამოდის – 5 ივნისს საბერძნეთთან მატჩის (1:2) 64-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

თეორიულად, ზურაბს აქვს შანსი, 2015 წლისთვის **"ასიანთა კლუბში"** შევიდეს, კობიაშვილის შემდეგ თითქმის 4 წლის თავზე.

90 მატჩიდან 29 ხიზანიშვილმა მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამართა (4 სხვადასხვა მუნდიალის – 2002, 2006, 2010 და 2014).

მიზერული შანსები

უახლოეს ხანებში **"ასიანთა კლუბს"**, სამწუხაროდ, სხვა ქართველი ვერ შეავსებს – მესამე ადგილზე კახა კალაძეა, რომელიც უკვე პოლიტიკოსია და თავის 83 კეპს (ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩი) ვეღარაფერს შემატებს.

ტოპ-5-ში მესამე-მეხუთე ადგილებზე მოქმედი ფეხბურთელი მხოლოდ ალექსანდრე იაშვილია (67 კეპი), რომელსაც ეროვნულ ნაკრებში აღარ იძახებენ.

ნაკრების მოქმედ ფეხბურთელთა შორის ყველაზე მეტი მატჩი ხიზანიშვილის შემდეგ დავით კვირკველიას აქვს. თუმცა 33 წლის კვირკველიასთვის 54 კეპი იმას ნიშნავს, რომ მას **"ასიანთა კლუბში"** მოხვედრის პრაქტიკული შანსი არა აქვს.

მეტი პრაქტიკული შანსი ნაკრების კაპიტან ჯაბა კანკავას (45 კეპი) აქვს, რომელიც 27 წლისაა.

მოკლედ, ჩვენი გამოთვლით, უახლოეს 5 წელიწადში, ხიზანიშვილის გარდა, 100-იანთა კლუბს ალბათ ვერავინ შეავსებს.

კატასტროფული მდგომარეობა

2014 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლში (ევროპის ზონას ვგულისხმობთ) საქართველოს ნაკრები გოლებით მხოლოდ ორ ნაკრებს უსწრებს – ანდორას (ნული გოლი) და სან მარინოს (1 გოლი). ჩვენსავით 3-3 გოლი გაიტანეს ლიხტენშტაინმა და ფარერის კუნძულების ნაკრებმა.

მთლად კატასტროფული მდგომარეობაა ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მეგოლეებში. ყველა დროის ბომბარდირი კვლავ შოთა არველაძეა, რომელმაც ეროვნული გუნდის მაისურა ბოლოს 2007 წელს მოირგო!

მიუხედავად ამისა, ტყუპისცალს კიდევ კარგა ხანი ვერავინ დაეწევა. შოთამ 61 მატჩში შეძლო 26 გოლის გატანა (0,42 შეხვედრაში), რაც შეიძლება ზოგადად დიდი ვერაფერი შედეგიანობაა, მაგრამ ჩვენთვის დიდებული მაჩვენებელია.

მეორე ადგილზე 16 გოლით თემურ ქეცბაია გახლავთ, ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი, რომელიც მხოლოდ 1 გოლით უსწრებს ალექსანდრე იაშვილს, რომელსაც ქეცბაია წინა შესარჩევი ციკლის შემდეგ აღარ იძახებს.

12-12 გოლი აქვთ გიორგი დემეტრაძეს და ლევან კობიაშვილს. 10 გოლზე მეტი ნაკრებში კი მხოლოდ ამ ხუთ ფეხბურთელს აქვს გატანილი, იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს ნაკრები უკვე 23 წელიწადია, არსებობს!

დღევანდელი ნაკრების მთავარი მეგოლეები ჯაბა კანკავა და ვლადიმერ დვალიშვილი არიან... 4-4 გოლით!

იცით თუ არა, რომ...

* საქართველოს ნაკრებმა ყველაზე მეტჯერ ალბანეთის ნაკრებს მოუგო – ჯამში 8-ჯერ. შემდეგ მოდიან მალტა და მოლდოვა – 4-4-ჯერ.

* ყველაზე მეტჯერ საქართველოს ნაკრებმა ფრედ უკრაინასთან ითამაშა – 3-ჯერ.

* ყველაზე მეტი მატჩი საქართველოს ნაკრებმა იტალიასთან წააგო – 7. 6-ჯერ საბერძნეთის ნაკრებთან დავმარცხდით, 5-5-ჯერ კი ირლანდიასა და უკრაინასთან.

* ყველაზე მეტჯერ საქართველოს ნაკრები ალბანეთს ეთამაშა – 13-ჯერ.

* საქართველოს ნაკრების ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება სომხეთის ნაკრებთან აქვს – 7:0 (1997 წელი, ამხანაგური მატჩი).

* საქართველოს ნაკრები ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით დანიასთან დამარცხდა – 1:6 (2005).

* მათგან, ვინც ეროვნული ნაკრების მაისურა მოირგო, ყველაზე ასაკოვანი გოჩა ჩიქოვანია – ის დღეს 50 წლისაა.

* ყველაზე ახალგაზრდაა მერაბ გიგაური – 20 წლის, მასზე თვეებით უფროსია ჯანო ანანიძე.

* ნაკრებში ყველაზე მეტჯერ შეცვლაზე შევიდა გიორგი დემეტრაძე – 17-ჯერ.

* ლევან კობიაშვილმა ეროვნულ გუნდში 100 მატჩი ისე გამართა, ყოველთვის სასტარტო შემადგენლობაში იყო.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი



საქართველო-რუსეთის საზღვარზე განახლებული საბაჟო-გამშვები პუნქტი გაიხსნა

საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე განახლებული საბაჟო-გამშვები პუნქტი **"ყაზბეგი"** გაიხსნა. მის გახსნაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და შემოსავლების სამსახურის უფროსმა ლაშა ხუციშვილმა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე.

მრავაწლიანი საუბარი იმის თაობაზე, რომ აუცილებლად უნდა აღსდგეს სავაჭრო და ეკონომიკური კავშირები საქართველოსა და რუსეთს შორის, საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯების შედეგად თანდათან ხორციელდება. აღნიშნულს კი, როგორც ცნობილია, სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ნაციონალთა აშკარად არანაციონალური მთავრობა, რითაც დიდ ზიანს აყენებდა საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების მეტად მნიშვნელოვან საქმეს.

"საქართველო არ არის სატრანზიტო ქვეყანა მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთზე, საქართველო არის ჩრდილოეთ-სამხრეთის კორიდორი. სამწუხაროდ, დღეს ეს არის ერთადერთი, მაგრამ ძალიან სერიოზული პუნქტი იმისთვის, რომ საქართველომ საავტომობილო გადაზიდვებით ეს სერიოზული ფუნქცია შეასრულოს", – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ბატონმა ნოდარ ხადურმა.

საბაჟო-გამშვები პუნქტი **"ყაზბეგის"** მშენებლობა ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მისი საპროექტო ღირებულება დაახლოებით 10 მლნ. ლარია. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შექმნილია რეაკრეაციული ზონები, მგზავრთა მოსასვენებელი, საკონფერენციო სივრცე, **"დუტი ფრი"** და სხვ. რეაბილიტაციის ფარგლებში ამჟამად მიმდინარეობს სატვირთო მანქანების დასათვალიერებელი რამპისა და პარკინგის მშენებლობა, ცოტა ხანში კი დასრულდება ორ სასაზღვრო პუნქტს შორის არსებული ერთკილომეტრიანი გზის მონაკვეთის რემონტი.

იუმორი

* * *

ქმარი ოთახში შევარდა და ცოლს მთელი ხმით დაუყვირა:

– მე ყველაფერი ვიცი!

ცოლი არ დაიბნა:

– ყველაფერი?! აბა, მითხარი, როდის მოხდა ტრაფალგარის ბრძოლა?

* * *

ექიმის კაბინეტში ძლივს შეეტია ჭარბწონიანი ქალბატონი.

– ცოტა უნდა ჭამოთ, – ეუბნება ექიმი.

– ქმრისა და შვილების დატოვებულ საჭმელს ვჭამ...

– ღორი შეიძინეთ!

– ღორის საჭმელი არ მიყვარს!..

* * *

– ძვირფასო, ჩაირბინე, რა, სურსათის მაღაზიაში.

– რას ამბობ, ისეთი თავსხმა წვიმაა, პატრონი ძაღლს არ გააგდებს გარეთ!

– შენც ნუ წაიყვან ძაღლს.

* * *

ტელეფონის ზარია:

– ალო, გისმენთ!

– როგორ ხართ?

– გმადლობთ, კარგად.

– უკაცრავად, ეტყობა, სხვაგან მოვხვდი.

* * *

– ო, როგორი ბრმა და ყრუ ვიყავი, როცა შენ გამოგყევი ცოლად!

– ხედავ, რა სერიოზული დაავადებებისგან განგკურნე?!

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge